


)

მაია მარგოშვილი

თეთრი ღამეების
კავკასიური სონატა



მარა მარგოშვილი

თეთრი ღამეების
კავკასიური სონატა



გამომცემლობა „მერიდიანი“
2018

რედაქტორი:	ფარიელ ხარხელაური მარინა ხარხელაური
დოზაციერი	თუმი დიშნი (ნონა ხანგოშვილი)

გარეკანზე: „კავკასიონის მთები. ჩეჩენია“ (აბდულაშ ბერსაევის ფოტო).

ყველა უფლება დაცულია.

© მაია მარგოშვილი, 2018

ISBN 978-9941-???????????

გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47.

☎ 239-15-22; E-mail: meridiani777@gmail.com

რედაქტორისგან

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, ბევრის შემოქმედებას გავცნობიგარ, ბევრის ნააზრევი შემხარბებია... შემხარბებია სამყაროში მოგზაურის სითამამე, მომწონებია სამშობლოსადმი ერთგულებაც, მაგრამ ყოველთვის მრჩებოდა იმის განცდა, განსაკუთრებით ემიგრანტელ მწერლობაში, რომ რაღაც აკლდა, კიდევ რაღაც სჭირდებოდა გარდა მონატრებისა და ტკიფილისა; ცოცხალი მაგალითები, როცა სამშობლო კი არ გეჩვენება, არამედ მუდმივად გიხმობს... სწორედ ასეთი მაგალითების სიმრავლემ და დამაჯერებელმა თხრობამ გამაოცა. ვაჟასი არ იყოს: - „მეც ამატირა ბევრჯერა, შენს თვალზე ცრემლის დენამა“...

აქ იმდენად გულწრფელი ვარ, იმათაც კი არ შეეპარებათ ეჭვი, ვის მუდმივ საქმიანობასაც სხვათა ნამოქმედარის ჩხრეკა წარმოადგენს, ამისა საბაბს მაიას შემოქმედება არ იძლევა.

ყოველთვის ვფრთხილობ, სიტყვა „შემოქმედება“ ნაკლებად შევაწუხო, რათა მერე ბოდიშების მოხდამ არ მომიწიოს, თუმცა, არც იმის განცდა მაქვს – ჩემს ასეთ ხმამაღალ განცხადებას მოწინააღმდეგენი არ გამოუჩნდებიან. ამჯერად, ეს ყველაზე ნაკლებად მაღარდებს, რაღაც ჩემ წინ დგას ავტორი და, მომიტევოს ყველამ, თუ მხოლოდ ავტორთან მომიწევს საუბარი; ავტორთან, რომელთანაც ბევრი რამ მაახლოებს, თუნდაც ჩემეული განცდა სამშობლოსი ...

ძნელია ისაუბრო იმაზე, რაც ჩემი თვალის გადავლებით ასე აკლია ახლანდელ დროში ჩაკეტილ მწერლობას და არა მხოლოდ





მწერლობას, ამ შემთხვევაში კი მე ერთ ჩვეულებრივ რიგითს, უზო-
მოდ ტკივილამდე შეყვარებულს სამშობლოზე, მაია მარგოშვილ-
ზე მოვიწადინე მესაუბრა... მადლობა რომ ჩემი წუთისოფლის
მიმწუხრისას - სამშობლოს სიყვარულში ისეთი თანამოზიარე
გამომიჩნდა, რომელიც მთელი არსებით გაგრძნობინებს - თუ
როგორ უნდა გიყვარდეს, როგორ უნდა გრძნობდე, როგორ უნდა
გტკიოდეს, როგორ უნდა გენატრებოდეს სამშობლო...

მადლობა კიდევ ერთხელ, ქისტის ქალო! - ჩვენი მამულის იმ
დაუყვედრებელი სიყვარულისათვის, რომელიც შენს შემოქმედებას
ესოდენ მძაფრს ხდის...

ჩემი მიზანი არ არის იმ ღირებულებებზე საუბარი, რაც მაია
მარგოშვილის შემოქმედებას ახასიათებს, ამას ჩემს დაუხმარებლა-
დაც იოლად იგრძნობთ, იოლად გაერკვევით და უფლება კი თქვე-
ნია, გაიზიარებთ თუ არა ჩემს თუნდაც სუბიექტურ შეხედულე-
ბებს.

ტარიელ ხარხელაური

ახლა სპექტაკლი იწყება, ოღონდ რეალური გმირებით... დო-
კუმენტური ფილმივით მართალი, სრულიად შეულამაზებელი და
აშკარად დაუჯერებელი... პირველი აქტი: - 90-იანი წლები, ქა-
ოსი, ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილი, უწონობის მდგომარეობაში
მყოფი მოსკოვი-ბაბილონი, ყველა ჯურისა და რჯულის ხალხი,
ყველაფრის დეფიციტი, ყველა გაყიდვის ოპციით, მყიდველობის
ტოტალური უნარდაკარგვით, ხვალინდელი დღის გაფერმკრთალე-
ბით და მხოლოდ ახალგაზრდული ოპტიმიზმით... მე - პატარა
შვილებით მოვლენების ორომტრიალში, პროდუქტების რიგში, მე-
ტროში გაჩერებულ ესკალატორზე, დაყაჩაღებულ კაფეში, პირველ
«მაკდონალდსში», პუტჩის ლამეს ოპერაში, ნახევარფაბრიკატების
სექციებში, ბიბირევოს მეტროსთან ბაზარში... ჭრელი-ჭყეტელა
დრო მკვეთრი დისონანსით საზოგადოებაში... ბაზარი ყველას
თავს უყრიდა, ყველა მოვლენას ფქვავდა, ყველას აპურებდა და
აცმევდა... დამხმარე არავინ მყავდა, ბეჭია-პაპების ინსტიტუტი
ჩვენთვის დაკეტილი იყო, ამიტომ ყველგან პატარა შვილებთან ერ-
თად თუ მიხილავდით... გამოუვალ მეგომარეობაში კი გვერდით
ერთგული მეგობრები მედგნენ, დღესაც ჩემთვის ფასდაუდებელი
ამაგით, ღირსეული ოჯახებით, სახელიანი შვილებით... ჩემი გულო
და ჩემი ლია... ჩემი საყვარელი ია მასწავლებელი... ჩემი ბიძაშვილი
ძარო... ღვთისნიერი ხალხი... ყველაფერი ჩვენებური მინდოდა და
მენატრებოდა: - ლაპარაკი, საჭმელი, პრესა, მუსიკა... ბაზარს კი
უფრო კავკასიური სული ედგა, დღევანდელივით აზიური კი არა...
ჰოდა, შვილებთან ერთად, საგანგებოდ გამოწყობილი მივდიოდი
ჩემი ამ ბაზარში, რომლის ერთი ნაწილი ტანსაცმლის სექციებს
ეკავა, მეორე ნაწილი კი პროდუქტის დახლებს... მწვანილეულთან



ახლოს ეგრეთნოდებული ელექტროტექნიკისა და აუდიოაპარატურის პატარა პავილიონები ჩამწერივებულიყო, რომელთაც საყოფაცხოვრებო ტექნიკის პავილიონები მისდევდნენ... სადღაც მათ შორის, აუდიო და ვიდეოკასეტებს ქართველი ბიჭები ყიდდნენ, ამიტომ სულ ქართულ სიმღერებს «ატრიალებდნენ»... რეტრო, პოპსა, ხალხური მელოდიები ყველანაირი გემოვნებისთვის... ყველაფერი მომზონდა და ყველაფერი მიხაროდა...

იმ დღესაც, ჩვეულებისამებრ, გამოვეწყეთ სამივენი და ბაზრისკენ გავწიეთ... ბავშვებს დაპირებული «კუკურუკუ»-ს ვაფლები ვუყიდე და ბოსტნეულის დახლებს მივადექით... კარტოფილს არჩევა რომ დავიწყე, ჩანთაში პარკი მოვიძიე და გვერდით მდგომ შვილებს გადავხედე: – გოგო ვაფლიან ტუჩებს ილოკავდა, ბიჭი კი არ ჩანდა... შიშმა ამიტანა... არადა, რაღაც 5 წეუთის წინ ბიჭი მარცხნივ მედგა, გოგო მარჯვნივ... ვეცი დახლებს, სექციებს... გოგო ატირდა, მიხვდა, ძმა დაეკარგა და სასოწარკვეთილი, ტირილნარევი ხმით – «დევიკო, დევიკო»-ს, მოთქვამდა... პარკებითა და გოგოს ხელჩაჭიდებული დავრბოდი – «დევოო»-ს ძახილით, ჭირის ოფლდასხმული ვეჯახებოდი ხალხს, მებარგულებს, ვტიროდი, ვებოდიშებოდი, ვეკითხებოდი... უშედეგოდ... ბოშები დავლანდე და თვალთ დამიბნელდა, წარმოვიდგინე, როგორ იტყუებდნენ ჩემს შვილს... ხალხი შეიყარა... «ბაღანა დაჲკარგვია, ბაღანა» – უხსნიდა მემწვანილე ქალი წინდების გამყიდველს... «მეიძებნება, რეიზა ტირი» – მანყნარებდა სუნელებით მოვაჭრე, – «ჩეიმი ცოდვა»– ჩამოიხოკა ლოყები შავებში ჩაცმულმა სულგუნის გამყიდველმა და კასეტებით მოვაჭრე ბიჭებს მეგრულად რაღაც გასძახა... ბიჭებმა ბესო კალანდაძის «ტირიფები» გამორთეს და მოვარდნენ... აუდიო-ვიდეო აპარატურის გამყიდველი, შავტუხა ლეკი (კაზბეკს რომ ეძახდნენ) ბიჭი თან მანყნარებდა, თან მეკითხებოდა: – «сестра не волнуйтесь, тут наших много, найдём вашего джигита...

Скажите, как он выглядит?», მე დავიწყე სლუკუნ-სლუკუნით: – «он маленький, Черненкий, кучерявый и очень, очень ... Красивый» და ავბლავლდი... ლეკმა კმაყოფილმა გაისწორა წვერ-ულვაში: «мы все красивые, сестра»... და, მოსაძებნად წავიდა. აზერბაიჯანელმა ბიჭმა აზერბაიჯანული აქცენტით რუსულად სამჯერ გამოაცხადა ადმინისტრაციის შენობიდან: – «потерялся мальчик – Дэви, 3 года... Смуглый, с черными, кучерявыми волосами, в клетчатой рубашке и синих джинсах... Если увидите, Просьба, сообщить охране рынка»... ძებნა და ჩემი მოთქმა ერთ რეზუმში ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როცა გოგომ გახარებულმა გაიშვირა თითო და ყვირილით: – «აი, დევიკო! და გაიქცა... საკმაოდ შორს, დახლებისა და სექციების მიღმა, თითქმის საბარგო მანქანების შემოსასვლელ ადგილას, ჯიბებში ხელებჩანყობილი, აულელვებლად, მშვიდად მოდიოდა ქონდრისკაცი – ჩემი ბიჭი... ვამე, მანქანა არ გამოჩნდეს და არ დაეჯახოს – გავიფიქრე და აკანკალებული მუხლებით, – «დევი, დევი»-ს ძახილით გავვარდი წინ. დაგვინახა, გაუხარდა და ისიც ჩვენები გამოიქცა... მუხლებზე დავეშვი და გულში ჩავიკარი – «где ты был сыночек, мой хорошенекий» ბიჭმა საქმიანად, სერიოზულად მითხრა: – «на женшин смотрел»... ძლივს მივხვდი, ტანსაცმლის ბაზრობას შეერია თურმე და, ქალები რომ იზომავდნენ-ისინჯავდნენ ზმანებს, ეს მოეწონა... მათმა შემხედვარემ ჭუაც დაკარგა და ჩვენც... ხელში აყვანილი რაჯასავით მომყავდა, დაიკო გახარებული მოგვყვებოდა... ნავაჭრი მემწვანილეთა რიგებში მქონდა დატოვებული და იქით გავეშურეთ... ბიჭის პოვნას ქვეყანა მილოცავდა... დაკარგვის მიზეზმა ყველა გაამხიარულა... «настоящий мужчина» – კაცურად ჩამოართვა ხელი კაზბეკმა და «სნიკერს-ტვიკს»-ები ჩაუყარა ჯიბებში... მემწვანილე ქალმა ტყემლის ტყლაბი აჩუქა... აზერბაიჯანელმა ბიჭმა ბრონეული... კასეტების გამყიდველმა ქართველმა ბიჭმა ფერადი ბუშტი უყიდა, გაბერა და ხელში დააჭე-



რინა... გულაჩუყებული, ცრემლიანი გაუთავებლად ვიმეორებდი: «спасибо... Благодарю ... Спасибо за помощь...» მადლობთ... დიდი მადლობა... გაიხარეთ»...

— «ცეკვა იცი ბიჭი? «მთიულურს» ჩაგირთავ»— ამხნევებდა საცეკვაოდ კასეტების გამყიდველი მეორე ახალგაზრდა... ვერ დაითანხმა და მე მომიტრიალდა: — «ჩემო დაო, საცეკვაო მელოდიებით კასეტას მოვძებნი ახლა, ჩემგან საჩუქარი იყოსო»... ვიუარე, მეხათრებოდა, თან კლიენტები მოადგნენ – იმათაც ემსახურებოდა... მაინც მოძებნა, შემომაჩეჩა ხელში წარწერით: — «Грузинские мелодии» და ბიჭს ლოყაზე უჩქმიტა: — «ძამია, ალარ დაიკარგოო»...

მოვედით სახლში, დავისვენეთ, დავლაგდით... მე შიშის, დარდის, სევდისა და სიხარულის ნაზავი სული ჯერ კიდევ მითრთოდა და მარტობად იღვრებოდა... კასეტა გამახსენდა... ეს იქნება ჩემი წამალი-მეტქი, გავიფიქრე და ჩავრთე... საცეკვაო მელოდიის მაგივრად «ბინდისფერია სოფელი...» გაისმა, დავეშვი სკამზე... «უფრო და უფრო ბინდდება, რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გავვიფრინდება»... ავქვითინდი...სწორედ ეს მინდოდა თურმე, მჭირდებოდა თურმე ეს სიტყვები, მელოდია... კათარზისის განცდა იყო, ნოსტალგიის, ჭეშმარიტების... ამომეტირა ჩემიც და დავისვენე თითქოს... კვლავ გადავახვიე და თავიდან რომ დაიწყო სიმღერა, ავყევი და ავყევი... «ბინდისფერია სოფელი...»

მეორე აქტი: — ივლისი, 2017 წელი, სანკტ-პეტერბურგი... მზე გვყავდა ეს დღეები სტუმრად და ვხალისობდით... ვიყავით ერთ ამბავში და გადაპატიუებაში ქუჩები, უბნები, კვარტალები... რეგლამენტიანი სტუმარია მზებატონი, თავს არ მოგაწყენს, პირიქით, მოგესალმება თუ არა, თითქმის მაშინვე გემშვიდობება, ნაუცბათევად დაგიკაცნის სახეს, ჩაგხედავს თვალებში, საყვარლად მოგაჭუტინებს და უკვე გაქცევაზეა, სულ სამხრეთისკენ მიეჩერება... არადა, ჩრდილოეთის დედაქალაქში რომ მასზე უზომოდ

შეყვარებული სამხრეთელი ასული ცხოვრობს, ვითომ არ იცის... ეჲ, ჩემი თხოვნა სითბო-სინათლეზე, უფრო «ხმა მღალადებლისა უდაბნოსა შინა»-ს წააგავს, ამიტომ ყველანაირ სხივსა და ათინათს ძვირფასი სამკაულივით ვიხდენ... ქალაქს რომ არასოდეს არ სძინავს, თქვენც იცით... ზაფხულში უფრო მეტად... ღია სარკმელში იჭრება ეს სიფხიზლე და თბილ ჰაერს შერეული ქუჩის პოლიფონია... ავტომანქანების ნაკადურ ტალღას თავისებური ხმოვანება აქვს ღამის სიჩუმეში, მუხრუჭებისა და სიგნალ-საყვირების სოპრანოთი გაფორმებული... გვიანი მგზავრების ნაბიჯები მოკრძალებულია და იმ მაღალი ტონალობის ფონზე ძილისპირულ მელოდიასავით ისმის. «არაფორმალური» ხმებიც ირთვება: — სიცილი, კამათი, ბილწისტყვაობად ამოხეთქილი ბოლმა, ტელეფონით საუბარი და ნიჭიერად ან უნიჭოდ ნამღერი კუპლეტები... ტოლკიენის «სილმარილიონი» თუ განცხადდა დღევანდელობაში და ზეპირველმა-სინათლემ და ზემეორე-ბგერამ მეგაპოლისის ბინადართა შორის იდუმალი კასტინგით მე ამირჩიეს... ასე ხდებიან დაუჯერებელი, მაგრამ რეალური ისტორიები ვილაცის წილზედრი... საერთოდ ფრთხილი ძილი ვიცი, მაშინაც კი როცა დალლილი ვეხუტები ბალ-იშს და მჩატე პლედი სერიიდან «ეიფორია» მეფეება და მათბობს.

ერთი ჩვეულებრივი საღამო იყო, სასიამოვნოდ თბილი, ამიტომ სარკმელი ღია დავტოვე... მზე ვითომ ჩასული იყო და ვითომ მთვარე მეფობდა უკვე მუქ ცაზე, მაგრამ ნარინჯისფერიც შეინიშნებოდა შორს, დასალიერზე... ჩვენს 16 სართულიან კორპუსს წინ ასეთივე ტანადი მონოლიტური კორპუსი უდგას, უამრავი სადარბაზოთი, ლამაზად შემინული აივნებითა და ფანჯრებით... კეთილმოწყობილი ეზო და ავტოსადგომი ორივე კორპუსს საერთო გვაქვს და რა ვიცი, მგონი ვეგვიპრობთ, ყოველ შემთხვევაში ვმეზობლობთ მაინც... პარასკევი საღამო იყო, ბნელი სარკმელები შენობებში მიუნიშნებდა, რომ უმრავლესობა აგარაკზე ბრძანდებოდა,

სამხრეთელი

სამხრეთელი

თუმცა არც ძილისა და მოსვენების ფაქტორი იყო გამორიცხული... მანცდამაინც იმ საღამოს არ ენთო ეზოში ლაპბიონები და ორივე კორპუსი და ეზო სიბნელეს მოეცვა. გვიანი შეულამე იქნებოდა, რომ გამელვიძა (ან რამ გამალვიძა?) პირველი, რაც დავაფიქ-სირე, იყო მოწითალო სინათლის სხივები, სახეზე რომ მანათებდა. მეუხამუშა და გვერდი ვიცვალე, გადმოვტრიალდი... მერე სიმღერა ჩამესმა, ვითომ მღეროდნენ და თანაც ქართულად... გამოვფხი-ზლდი... მივხვდი რომ რეალობაში ვიყავი, ოთახი წითლად ღუოდა და, აშკარად ქართულად მღეროდა სარკმელს მიღმა სამყარო... ხა-ლათმოსხმული გავვარდი აივანზე და კანტიკუნტად განათებულ ფანჯრებს მივაშტერდი. ეზო სიბნელეში ჩაძირულიყო, ორივე კორ-პუსიც თითქმის, რამდენიმე ბინის გარდა... აი, ერთ-ერთი ბინიდან მოდიოდა ეს ხმა, აკომპანიმენტის გარეშე, აშკარად ქართული სუ-ფრა იყო. გამოფხიზლებულს სიგრილემ დამკრა თუ ღვთაებრივის აღქმა იყო, ვერ გეტყვით, გავშეშდი... ხმა პოლიფონიად იქცა: – «იმასაც მოკლედ უვლია, ვინც გრძლად ეგონა, იარა, თოფს უანგი შესჭამს, უანგს მინა, კაცის გულს – დარდი იარა, მოვა სიკვდილი უჩინო, ერთ წამში აგვირის იარალს, ჩვენ რას წავიღებთ იმქვეყ-ნად, სხვას არა წაულია რა.» კანი წამში ხორკლით დაიფარა, გულს ბაგაბუგი გაპქონდა... უნებურად წელში გავიმართე, ასე ალბათ ჰიმნს უსმენენ ფეხზე მდგარნი და სუნთქვაშეკრულნი. მშვენიერი ხმები ავსებდნენ ეზოს, სახლებს, მგონი დაკეტილ ფანჯრებშიც შეაღწიეს. რადგან თვალი უკვე შეეჩვია სიბნელეს, უამრავ აივანზე დავლანდე ადამიანთა კონტურები, გარინდებულნი... არავინ ხმას არ იღებდა, ჩემსავით უსმენდნენ... როდესაც საბოლოო აკორდი მი-წყდა, რამდენიმე წამი სიჩუმე ჩამონვა და პირველი ბравო! გაისმა... ატყდა ტაშისცემა, «Молодцы ребята!», «это грузины поют, точно, грузины», «спойте ещё что нибудь», «браво Грузия», «выходите на балкон и так спойте, пожалуйстааа», შეძახილები და ტაში ერთ-

მანეთს ცვლიდა... დავინახე, როგორ გამოთეთრდა ერთ – ერთი აივანი თეთრმაისურიანებით, როგორ გაპკვეთა ჰაერი ჰირველმა ბგერამ კვლავ სიჩუმეში და გამეფდა «მუხამბაზი». უბედნიერესი ვიყავი... ტაში ამჯერად უფრო მქუხარე იყო, თან ნათდებოდა... მაშინდა მივხვდი, რომ ცის კაბადონზე მეწამულისფერ ტოგაში გამოწყობილი და მთვარის ნაცვლად გამოჩენილი «უძინართა მზე» სინამდვილეში საქართველო იყო და ტაშიც და აპლოდისმენტებიც მას ეკუთვნოდა...





დილიდანვე ნისლი შემოაწვა ქალაქს ნაღველივით, რძისფერი ფარდებით დაბურა სამზერი სივრცე და აშკარად საღამომდე გააუქმა იმაზე ფიქრიც კი, რომ «დარბებს მიღმა გაზაფხულია»... მიღი და, ამის შემდეგ ენდე ცანცარა მარტს... არადა, მზითა და სითბოთი გაჯერებული დღეები მოგვაყარა, კანფეტის ქაღალდივით ტანსაცმლის ერთი ფენა შემოგვაფქენა და მეოცხებე მზერა დაგვიყენა ფერადი ლინზებივით. ისევ დაიმოკლეს კაბები ლამაზფეხება გოგოებმა, ისევ დაიყენეს თმები და მოიღელეს საყელოები ბიჭებმა, აეწყვნენ და ნაზამთრალი აზრები მჩქეფარე სიჭაბუკედ აქციეს.

მივუყვები ცისქვეშეთის ჩრდილო სეგმენტის ბინადართა ტრაექტორიებს, გავდივარ ტურნიკეტს საყვარელი 13 ნომრით და ვერევი აჩქარებით მიმავალ ნაკადს. ვისუნთქავ და თვალს ვუსწორებ პეტერბურგულ სამუშაო კვირას, რომლის კვინტესენცია მოულოდნელობა და მოლოდინია, დაღლაა და იმედი. აქურ გაზაფხულს მერამდენე წელია ხასიათს ვუფარდებ და მიღებული შედეგით ზაფხულის ვაკანსიებს ვეუფლები. მსხვერპლიცა ვარ და მეხოტბეც, მოძულეცა და ქალაქზე უზომოდ შეყვარებულიც. ჩამოსვლისთანავე საჯარიმოსავით ჰაიმორიტი მატაკა, რომ გავუძელი, გაუხარდა და დიდსულოვნად სურდოთილა მცდის მას მერე ყოველ გაზაფხულს. სამაგიეროდ მე «დავუფასე» – შევრჩი და შევეთვისე, წუნუნ-ბუზ-ლუნით, საყვედურნარევი ხუმრობებით, თბილის-საქართველოსთან მუდმივად შედარებით. მაგრამ «დიდი ერთგულებით, სიყვარულითა და პატივისცემით». პეტერბურგი ჩემი ძვირფასი, დიდებული მეგობრების ქალაქია, ჩემი პროფესიული ფორმაციის სულიერი ნათლია. საქართველოდან «წამოღებულ» ისტორიებს დღემდე ვუყვები შეპრეზადასავით, არც მას ბეზრდება და არც მე ვიღლები. იცის, რომ

ქართული იების სურნელია ჩემი მშობლიური გაზაფხულების არომატი, რომ მთისძირას დავტოვე ბავშვობა. ამიტომ მოწინებითა და რუდუნებით მთავაზობს თავის კოლორიტს – ნევის აკვატორიას და ხიდებს-ტრანსფორმერებს, ზღაპრული სილამაზის არქიტექტორულ ნაგებობა-სასახლეებს, მჩქეფარე შადრევნებს, კამერული მუსიკის საალდგომო ფესტივალს და ექსკლუზიური არომატით – «კიოტოს სუნის მქონე თევზით კორიოდა-თი სიმბოლიზირებულ გაზაფხულს. ჩემთვის დრო საგნებით, სახეებითა და ემოციებით ქმნილი სუბსტანცია, გაზაფხულიც ამ დროის ნაწილია, ოღონდ მარად ფერადი, მარად ახალგაზრდა და უმოწყალოდ ლამაზი. სევდასავით დაჰკერავს სიგრილე და შემოდგომისაგან განსხვავებით საზრდო სჭირდება, რომ კვლავ და კვლავ სიცოცხლედ აფეთქდეს. მეც საზრდო მაკლია – ჭეშმარიტად სულიერი, საკუთარ გულისფერებასავით მშობლიური, ყოვლისმომცველი, ყოვლისმფარველი, წაუშლელი და უქრობი. გაზაფხულზე მძაფრდება ურთიერთნდომა, სიცოცხლის სურვილი და წყურვილი. ამას მონატრებას ვეძახით და ყველაფერში დროს ვადანაშაულებთ. თუ მოხდა და, ცა ვერცხლისფერ ძაფებად ჩამოიძენა, ბინდისფერი დღეებისა და თალხისფერი, ნოტიო ლამების სიჭარებს ვსაყვედურობთ, თითქოსდა წუთისოფლის ფერების გადამღებავი ფუნჯი გაგვაჩნდეს. დრო სარკასტულად იღიმის და მიღის, ხშირად სამუდამოდ.

ისინი ორნი იყვნენ... ორივე ჩემი სისხლ-ხორცნი, თან გამორჩეულად ახლობლები სულით, გონებით, აზროვნებით, ინტერესებით, შეხედულებებით... განსხვავებულნი გარეგნობით ქერა და უღალსახიანნი... მსგავსნი ყველაფრით – მამაკაცურად ლამაზები, ცხოვრებასა და სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულები... გამჭრიახი გონება და ხალასი აზროვნება მათი არსენალი იყო, დაუგვიანებელი კვიმატი პასუხი და ხატოვანი იუმორი კი დიდსულოვნების ატრიბუტები. წიგნთმკითხველნი და ინფორმაციულად მომზადებულნი ამოუნურავი ერუდიციით; დღესასწაულივით გან-

შეკრისტონებული

შეკრისტონებული

წყობილებით, პოეტურები, რომანტიკულები, გამოუსწორებლად ოპტიმისტები; ოდნავ უფროსები, ცოტათი ადრე და ცოტათი მეტად სამყაროს მხილველნი ჩემთან შედარებით; ჩემი სიყრმის კეთილი მეციხოვნენი. სახლის ზღურბლს მიღმა, ეზოს კარიბჭის იქით მშობლები ჩემს თავს მხოლოდ მათ ანდობდნენ, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, მათ გვერდით უშიშრად ვგრძნობდი თავს, ამოუცნობი სამყარო უვნებელი ხდებოდა და მორჩილი. მათ ნაკვალევს მივყვებოდი ამაყი და ბედნიერი ... გოგო ვიყავი და მათი გატაცებები მერჩიგნა საკუთარს... ბეგრ რამეში ვგაძავდი... ფეხბურთი მათ შემაყვარეს, ფილოსოფიური დებატები და პოლიტიკის მიმართ ინტერესი ჩვენი შეხვედრების სახე იყო.... ექსპრესიულები იყვნენ, ტემპერამენტიანები... ვბჭობდით, ვკამათობდით, ვხუმრობდით ხმამაღლა, რიხიანად, თავისუფლად... ვექილიკებოდით ერთმანეთს და ბეგრს ვიცინოდით. ჩემი პირველი ლექსების პირველი მკითხველები, პირველი რეცენზინტები... რა თქმა უნდა, ყველაფერი მოსწონდათ, მაქებდნენ, მაქეზებდნენ, მეფერებოდნენ და ბავშვებივით ხარობდნენ. უმშვენიერესი წიგნიერი ქართულით მეტყველებდნენ უბადლო სიტყვის უბადლო ოსტატები; ჩემი უდალატო გზები, ჩემი სიმაღლეები...

პირველივე კურსზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალნაკურთხ სტუდენტს სემინარზე ლექტორმა გვარიდან გამომდინარე მკითხა: – მერაბ მარგოშვილს თუ იცნობთ, საუკეთესო სტუდენტი იყო. მოულოდნელი სიხარულისა და სიამაყისაგან სუნთქვა შემეკრა – აქაც მისი სახელი დამხვდა.

ჩემი სტუდენტობის ხანა უბედნიერესი იყო, ხშირად უწევდა თბილისში ჩამოსვლა სპეციალობიდან გამომდინარე, მოვიდოდა ჩემთან, შეხედავდა მაგიდაზე მდგარ «ბორჯომის» ბოთლებს და ხითხით-ხუმრობით მეტყოდა: – «რა არის მაიკო, სულ პახმელიაზე ხომ არა ხარ, მუდამჟამს «ბორჯომი» გიდგას მაგიდაზე?!» ვეხვენებოდი, ლამით ჩემთან დარჩენილიყო... თუ გადაწყვეტდა დარ-

ჩენას, იმ ლამეს სიცილ-ხარხარში ვათევდით. რამდენჯერ გვიმგზავრია ავტობუსით ერთად ქალაქიდან სოფელში. ჩემი გულისითვის მოიცლიდა, თუ იცოდა რომ მშობლებთან ჩასვლა მინდოდა, ჩამოვიდოდა, მარტოს რომ არ მემგზავრა და ისევ ბრუნდებოდა სოფელში. თუ ორი სიამაყე ერთად დამადგებოდა თავს, აბა, იწყებოდა კულინარული ქაოსი. მერე კინოთეატრებისკენ და სახაჭაპურეებისკენ ვიღებდით გეზს. ლურჯთვალება, ულამაზესი გარეგნობის ედო მაშინვე იქცევდა გოგოების ყურადღებას, მაგრამ არ იმჩევდა, რადგან ფავორიტი გვერდით ვყავდი. ორივეს გალანტურობა, ზრუნვა და ყურადღება ჩემკენ იყო მომართული, მეფერებოდნენ და მანებივრებდნენ. ედო ძალიან ნაკითხი იყო, სასწაულად ლოგიკური აზროვნების მფლობელი, ფენომენალური მეხსიერებითა და სატირაშერეული იუმორით ნებისმიერ მოწყენილ დღეს დაუვინყარ თარიღად აქცევდა. ორივეს ჩინებული თამადა იყო. ექსპრომტი სადღეგრძელოები შეკმაზულ-გაფორმებული ცინცხალი ანეგდოტებითა და პიეტური ფრაზებით დაუვინყარს ჰედიდა ჩაის სმასაც კი. მათი სტუმრობა, მათთან შეხვედრა განსაკუთრებულად მიხაროდა. ჩემზე ადრე დაოჯახდნენ, აქსაკალებს ვეძახდი ხუმრობით, ისინი მახვილებას იბრალებდნენ. შავტუხა ჩემს ბიჭს ხან შავ ბრილიანტს – ეუსებიოს ეძახდნენ, ხან ლეგენდარულ ზამორას და ფეხბურთს ეთამაშებოდნენ. ძმა რომ დაქორწინდა და ჩეჩენი რძალი მოვიყვანა, ჩეჩენ გოგოს ქართულად ლაპარაკს ასწავლიდა ორივე, ასწავლეს კიდეც. თან როგორი მეთოდიკით: – მის წინ სპეციალურად ქართულად საუბრობდნენ და ყოველ შეკითხვაზე, რას წიშნავს ესათუ ის წინადადება, არც მეტი არც ნაკლები რუსთაველს იშველიებდნენ ან გამსახურდიას, თანაც ისე ოსტატურად, რომ ეს ბანალური საუბრები კი არა, ლიტერატურული ბენეფისი იყო. უშიშარნი იყვნენ, მართლისმთემელები, პრინციპულები, გაუტეხელები. ჯიუტად ეჭიდებოდნენ სიძნელეებს. არაფრის დიდებით არ დაიჩივლებდნენ, წუხილსა და ტკივილს არ გამოამზეურებდნენ, არადა,

შესაბამისობა

შესაბამისობა



როგორ იცოდნენ ტკივილის ფასი. ედომ სიყრმიდანვე შეიგრძნო ტკივილი, დიდი ხანი გაუძლო და ბევრიც ებრძოლა, სანამ თვითონ არ ჩაქრა სანთელივით. თედო, როცა ვნახე, ცდილობდა, ფეხის ტკივილს მორეოდა. თუმცა, ფეხის ტკივილი ზღვაში წვეთი აღ-მოჩნდა, რა გაუსაძლის ტკივილებსაც ებრძოდა მერმისში და რა ელდამაც გადაიყოლა... ორივეს არაჩვეულებრივად სათნო, კეთილი, ერთგული, მეოჯახე და მოსიყვარულე მეუღლეები შეხვდათ, რომლებმაც სანაქებო შვილები აღზარდეს. გენეტიკაც არ დარჩა განზე, მამების ნიჭი და გონებრივი პოტენციალი კიდევ მეტად გამომჟღავნდა სასახელო და საამაყო უმცროს თაობაში. ჩემი ედო და ჩემი თედო... გურამ და მერაბ მარგოშვილები მეხსიერებაში ახალგაზრდული სახეებით დარჩნენ, ჯანმრთელნი, უტკივარი ტან-ფეხით, მხიარული განწყობილებითა და ლალი მიხვრა-მოხვრით, უზრუნველი სიცილით, ლირსეული ქცევებით... ასეთები იყვნენ, ასეთებად დარჩნენ, ასეთები დავიმახსოვრე. როცა ისინი თეთრმა სინათლემ წაიყვანა და მარადისობას შეერივნენ, მე შორს ვიყავი. მეგონა, სულ იქნებოდნენ; მეგონა, დრო უხვად გვქონდა. შევხვდებოდით, მოვეფერებოდით ერთმანეთს, შევჩივლებდი-შევტირებდი ჩემსას; მათი რჩევებითა და თანდგომით გამხნევებული კი მუშტს მოვულერდი მომავალს. მათი წასვლით ჩემი ახალგაზრდობა დამთავრდა. ისინი გამორჩეულები იყვნენ, შეუდარებელნი, განუმეორებელნი... ლიმილის ბიჭები... ჯერ კიდევ პატარა გოგოს, მათ მაჩუქეს ტყის იების კონა ადრეულ გაზაფხულზე, თითქოს იის სურნელით დამიღოცეს ცხოვრების გზა.

გაზაფხულია ახლა საქართველოშიც და პეტერბურგშიც... გაზაფხულმა ხასიათის ცვალებადობა იცის, დღეობებზე ამღერებული ლექსივით იბადება მონატრება და სიგრილეს გვაგრძნობინებს სევდასავით.

ჩემს მონატრებას პირველმოწყვეტილი ქართული იების სურნელი აქვს და, სანამ ამ სურნელს ვცნობ, ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ ...

დაბრუნდა ჩვენი გრუმერი ტატიანა ბოდრუმიდან და დაგვირე-კა: – აბა, როგორაა ჩემი ბიჭი, კვირადღეს რომ ჩავწერო, შეძლებთ მოსვლას-ო?. მეც ვიმეორე სხვადასხვა ინტონაციით «კვირადღე», სანამ კონკრეტულ საათს შევათანხმებდით. ამასობაში მთავარი მოქმედი პირი მწუხარე სახის რაინდად იქცა და «აორთქლდა». და-ვიწყე ძახილი, გადავედი ალერსიან რეგისტრზე, დავიარე ოთახ-ები, შევეხვენე და შევდაღადე: – დამენახე, სად ხარ-მეთქი. არ გა-მოჩნდა. ვიპოვე ფარდის უკან, გასუსული იდგა, სველი თვალებით, ნაწყენი და გაბუტული. ახლა კვირადღემდე მაჯლაჯუნები შეა-ნუხებენ სიზმრებში, შფოთიანი ძილი ექნება და უხასიათო დღეები. მერე წავალთ სალონში, მთელი გზა იკრუსუნებს, ტატიანას დანახვაზე ატეხავს ერთ ამბავს, დაიფიცებს და დაგვაფიცებს, რომ ეს ბოლო ვიზიტია და საერთოდ რა მისი საქმეა სპა-პროცედურები. ახლა ვდგავარ და, როგორც ყოველთვის, ვუხსნი: – «მესმის, რომ დაგწინებინან-გატკენენ-გატირებენ. მაგრამ სილამაზეს მსხვერპლი სჭირდება. აბა, მარტო კვირაში ერთხელ ჩვენ რომ გაბანავებთ, მასე წლის საუკეთესო მამაკაცის სტატუსს ვერ შეინარჩუნებ. წვერ-ულვაში, ყურები, ტან-ფეხი მოითხოვს პროფესიონალურ მოვლას, მაგის სასტატი კიდევ ტატიანაა, ქერა და მაღალმკერდიანი, შენ რომ ებუზღუნები, ის ლექსებს გიკითხავს. თან ძალიან უყვარსარ. ჰოდა, მოითმინე ცოტა, სამ თვეში ერთხელ დგება ეს დღე – ტოტალური გაღამაზება&პიგინა და ნუ მღერი ახლა 『თავო ჩემო』-ს მეთქი». მისმინა, მიყურა, მეწუნუნა, ამ დარდსა და ემოციებში დაიღალა და ახლა გათიშულს სძინავს. ხომ მიხვდით, ჩემს გრეფფზე გიყვებით...





ზამთრის სუსხიანი დღეა, ნამდვილი დეკემბრული... აქაური სიცივე კანქვეშ ძვრება და ტანს უცერემონიდ ეკვრება, სინათლის ტოტალური სიმცირის გამო დღეც უძინას ჰეგავს, ნაცრისფერ მარადისობას შეჩვეული პერსონაჟები ავსებენ ქალაქურ პანორამას და ყოველდღიურობაში იბადება სიცოცხლის რაფსოდია «ტრიუმფალური თაღი». ჩრდილოეთში ყველაფერი მოზომილია და გათვლილი, დისტანციურია და პრაგმატული, ჩუმია და ცივი, გულჩაკეტილია და მომჭირნე. კლიმატმა და ნიადაგმა შეინირა ადამიანური სითბო და ღიმილი, ემოცია და რიტმი.

პეტერბურგი ჩრდილოეთის დედოფალი ქალაქია, სითბოსა თუ სულიერებას ყოველთვის კულტურული გავითარების მაღალი დონითა და თავაზიანობით გამოხატავდა, თანამედროვეობას კი გაცრეცილი ფორმა შერჩა – უფროს-უმცროსობა, ქალის მიმართ გალანტურობა, მოხუცის პატივისცემა, ყურადღება და ზრუნვა რამის არქეტიპად იქცა მხოლოდ კანონის ამარად დარჩენილ საუკუნეში. ურბანიზაციამ და მიგრაციამ ბევრი რამ შეცვალა და გაამუქა. დღევანდელი მიგრანტების უმრავლესობა მაქსიმალურად ცდილობს შეეხამოს და მოუხდეს ქალაქს, შეჰმატოს ნათელი სპექტრი. ეს პეტერბურგის მაგიაა, განსაკუთრებულად იმოქმედოს «შვილობილზე», დადებითი ასიმილაციით დაასრულოს შუაზიური, მომთაბარე გენის მოქალაქეობა. კავკასიურ გენთან სულ სხვა «რომანი» აქვს პეტერბურგს: – «თერგდალეული» ბუმბერაზებიდან მოყოლებული, აფხაზეთისა და ჩეჩენეთის ომებს გამოღწეული, გადარჩენილი სიცოცხლის მიმართ; თითქოსდა იცის ამ გენის უნიკალურობა, დიდსულოვნად უყურებს ჩრდილოეთისთვის უცხო ხასიათს და გულის სიღრმეში მოკრძალებასაც კი განიცდის...

სუსხიან დილას სამუშაო დღის სტარტი ჰქვია და მეტროთი გასავლელი გრძელი გზით იწყება. მეტროპოლიტენის სადგურთან წინასაახალწლო მინიბაზრობა აზიური დირიჟირებით უკვე ხმებსა და ფერებშია; თითოეული ხილის ეპითეტი-შეფასება იარლიყადაა წარმოდგენილი და ხორაგის ბიენალეს წააგავს; ძვირფასი ქვებივით მიღიმიან გახლეჩილი ბრონეულები; მანდარინების მრავალსახეობა ოქროსფერ ვარაყს ჰეგავს, ოლონდ სხვადასხვა 『საამქროში』 შექმნილს. მარკო, ესპანეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი – უკურკო და კურკიანი, თხელკანიანი და ტკბილი, პატარა და დიდი... მყიდველი გადაწყვეტს რა არის მისი გემოვნებისთვის შესაფერისი... უუთებში კვერცხებივით ჩაბრძანებულ მანდარინებზე, გაბლენდილები რომ იყურებიან, ნაკლებადაა მოთხოვნა, თუ აფხაზური მანდარინია ახლომახლოს – დახლებზე გროვად დაყრილი, ფოთლებიან-ტოტებიანად დაუნდობლად მოგლეჯილი, მშობლიურ მინას მოხლეჩილი და გადამყიდველის ტყვეობაში... და მაინც, ყველაზე გემრიელი, არომატული და საყვარელი... ტკივილნარევ სიყვარულს წააგავს მისი გემო, ოდნავი სიმუავე ურუანტელივით სდევს სიტკბოსა და სამოთხისეულ სურნელს საქართველოსას.

ნატვრას თბილისამდე მიჰყავხარ, შარდენის ქუჩამდე... იქ, გამოფენაზე, პანკისელი ქალები თავიანთი ხელით მოწეული პროდუქციას სთავაზობენ თბილისელებს, იყიდება რუდუნებით, გემოვნებით, ხარისხიანად შექმნილი ნაწარმი, იგრძნობა ბოსტანბალების ბარაქა, დადებითი ენერგეტიკა და არომატი... მშობლიური, დაუვიწყარი, რჩეული... შრომისა და ნიჭის რეზულტატი ქისტური სულით.

რეალობა მაფხიზლებს, ესკალატორით მიწისქვეშეთში ვეშვები. ელმავალი მიჰქრის, მაგრამ ვაგონში რწევა იგრძნობა. უმრავლესობა კითხვას ჩემსავით წყვეტს და თავის თავში იძირება... მოპირდა-



პირე მხარეს ახალგაზრდები სხედან, ორი თვლემს, ორი საუბრობს, ერთი მუსიკას უსმენს, განაპირას მჯდომი კი მე მათვალიერებს რაღაცნაირი ცნობისმოყვარეობით, თითქოს იმის გაგება უნდა, ვინ ვარ... გაჩერებაზე ჩინელი ტურისტები შემოვიდნენ, ხანდაზმული ქალები, როგორც სჩვევიათ – ზურგჩანთებით. დგანან, უღურ-ტულებენ თავიანთ ენაზე, ქურთუკები მოილედეს, ვაგონში ცხელა. მჯდომარე მამაკაცები ჯიქურ არ ამჩნევენ ზურგჩანთიან ბებიებს, გარდა «განაპირა» ბიჭისა, ნამეტანი თავდაჯერებულობა რომ აწე-რია სახეზე და თამამი მზერა აქვს. ის მაშინვე წამოდგა, ყველაზე ჩია ბებოს ფრთხილად შეეხო მხარზე და ანიშნა – დაჯექიო, თან ზურგჩანთის მოხსნაში დაეხმარა. ჩინელ ბებიას სახე გაუნათდა, მოხერხებულად მოკალათდა და ბიჭს გაულიმა. ის იყო მეც დავა-პირე ერთ-ერთისთვის ადგილი დამეტმო, ბიჭი უკვე დანარჩენ ახალგაზრდებს ძალით აყენებდა: – «Вставайте, уступите место пожилым... Живее... Дома поспите»... მკაცრი გაუხდა ტონი... ეჭვის ნატამალიც არ დამრჩა – ბიჭი აშკარად ჩეჩენი იყო. მთვლემარე თუ მღვიძარე ახალგაზრდები ადგნენ, ზლაზვნით, ბურტყუნით, მოღუ-შული სახეებით, «მოძალადეს» თვალებით შეუკურთხეს, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ. აშკარად გრძნობდნენ რომ უხილავ ძალასთან ჰქონ-დათ საქმე, მათთვის უცხო სული გაფართოებული ნესტოებითა და შეკრული წარბებით დემონსტრირებდა. ჩინელები თოვინებივით დასკუპდნენ, გამხიარულდნენ, სმარტფონები დააძრეს და რა ასაკი – კომპიუტერულ თამაშებში ჩაერთვნენ... გამეცინა... ბიჭი მათი გუშაგივით იდგა, ზემოდან დაჟყურებდა ჭყეტელა «დისპლეებს» და ცდილობდა, გამოეცნო, რას თამაშობდნენ მოხუცი «ბავშვები».

«Невский проспект»-ის გაჩერებაზე ჩინელები წამოცვიდნენ, კოლექტიური ღიმილით გამოემშვიდობნენ ბიჭს და გავიდნენ. ვაგონი საგრძნობლად დაცარიელდა, უმეტესობა ამ სადგურზე ჩამოვიდა. ჩემს გვერდით ადგილიც გათავისუფლდა, თუმცა წუ-

თით – ბიჭი ჩამოჯდა. ძალიან მინდოდა შემექო, თან მერიდებოდა. გავბედე და ჯერ რუსულად შევეეითხე – ჩეჩენი ხარ? გაოცებულმა შემომხედა: – კი-ო. უკვე ჩეჩენურად ვუთხარი: – კარგად აღზრდილი ბიჭი ხარ, ღმერთი იყოს შენი მადლობელი-მეთქი. სახე გაებადრა და ეგ არაფერია, ვალდებულებააო – მიპასუხა, თან კითხვა მოაყ-ოლა: – ქართველი მეგონე, როცა დაგინახე, საიდან იცი ჩეჩენურიო. ვუთხარი: – ვაინახი ვარ, ქისტი საქართველოდან. სიხარულისგან აღელდა: – ძალიან მიყვარს საქართველო, პანკისი, 5 წლის ვიყავი, ომს გამოვექცით და საქართველომ მიგვიღო, შეგვიფარა, დუის-ში ინტერნატის შენობაში ვცხოვრობდითო. ახლა პეტერბურგ-ში ვსწავლობ, იურიდიულზე, ბოლო კურსზე ვარ. ოღონდ ახლა ვარჯიშზე მივდივარ, უნდა ჩავიდე ამ გაჩერებაზე, მაპატიეთ რომ ვწყვეტ საუბარს, ღმერთმა დაგლოცოთ და ხელი მოგიმართოთო... წამოვდექი, რახან ბიჭი წამოდგა... ვაინახურად დავემშვიდობეთ ერთმანეთს და უცბად თავში დამკრასავით – ჩანთაში ხომ დიღით ნაყიდი აფხაზური მანდარინები მეყარა – ჩემი საგზალი. ხელში შე-ვაჩეჩე რამდენიმე ცალი – ქართულია, გემრიელი, ვარჯიშის მერე მიირთვით-მეთქი. მადლობებით დავშორდით ერთმანეთს.

ორი გაჩერების მერე, ჩემს სადგურზე ამოვედი და «каменоостровский проспект»-ს რომ გავუყევი, მაშინდა გამახსენდა დიდი ხნის წინანდელი ისტორია, თითქოსდა წინამორბედი დღევან-დელი უნყინარი ამბისა.

ის დრო იყო, ჩეჩენეთის მეორე ომი ვითომდა დამთავრებულად რომ ითვლებოდა. ჩეჩენები ნათესაობასა და მეგობრობას წმინდად იცავენ და აფასებენ, ამიტომაც თითოეული ჩეჩენური ოჯახი პე-ტერბურგში ცდილობდა, შეეფარებინა და მაქსიმალურად დახმარე-ბოდა თანამემამულეებს. იმ პერიოდში, ჩეჩენი ბავშვები მრავლად იყვნენ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, უმაღლეს სასწავლებლებში კი წაკლებად. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ ჩე-



ჩენთა უმეტესი ნაწილი აქ აღარ ცხოვრობს, ბევრი ევროპაში წავიდა, საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი სამშობლოში დაბრუნება ირჩია. ომის საშინელება, ტრაგიზმი და დარდი სევდად იდგა მათ მზერაში, მაგრამ დათრგუნვასა და სასოწარკვეთას ვერ იგრძნობდით, ვერ შეამჩნევდით და ვერ ნახავდით – პირლია ჭრილობის ხანძარს წააგავდა მათი ემოციური ფონი. მიღიციონერებს დიდი პრობლემა ჰქონდათ, ვერ არჩევდნენ «საშიშ ელემენტებს», ანთროპოლოგიურად ჩეჩენები «лицо кавказской национальности», უფრო ბალტისპირელებსა და გერმანელებს ჰყვანან. აბა, როგორ უნდა მოეძებნათ და დაესაჯათ ცნობილი ატრიბუტით «брюнет», როცა ჩეჩენებს ასეთი ნიშნით თითქმის ვერ იპოვიდნენ. სინამდვილეში, ჩეჩენს ბრძოშიც კი გამოარჩევ ერთი დამახასიათებელი ნიშნით, რომელზეც გენიალურად თქვა გერმან სადულაევმა თავის ნაწარმოებში – «ერთი მერცხლის ჭიკიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს» («одна ласточка еще не делает весны»); – «чеченец всегда держит себя так, как будто сегодня ему принадлежит весь мир, а завтра его все равно убьют»...

სიხარულითა და სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ქსენოფონბური და კრიმინალური კატაკლიზმები ქალაქმა აიცდინა, პეტერბურგის თავისებურება კვლავ დამტკიცდა. მაშინაც ცივი დღე იყო, ახლობელი მოვინახულე საავადმყოფოში და მეტროთი ვბრუნდებოდი სახლში. სადგურ «ყერნა რეცხა»-სთან გამხდარი ბიჭი და შავებში ჩაცმული ქალი შემოვიდნენ მძიმე ჩანთებით. რომ დასხდნენ, ქალმა ისე მძიმედ ამოისუნთქა, თითქოს სული ამოაყოლა. დაღლისგან და სიმძიმის თრევისგან არაქათგამოცლილი ბიჭიც მძიმედ სუნთქავდა. შევამჩნიე, თვალი სტკიოდა, რადგან მოჭუტულივით ჰქონდა და დროდადრო ჩამომდინარ ცრემლს ფრთხილად იწმენდდა. ეტყობა დასცხა, ტყავის ქურთუკი გაიხადა და მუხლებზე დაიდო. ქალმა ქართულად უსაყვედურა: – ოფლიანი ხარ, გაცივდები დედა,

უბერავს აქ, მხრებზე მაინც წამოიხურეო. ბიჭმა თავი გაუქნია იმის ნიშნად, რომ არ შესცივდებოდა, მერე საზურგეს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. ქალმა თვალი მოავლო ვაგონს, მგზავრები შეათვალიერა, მერე თითქოს დაფიქრდა. კვლავ მძიმედ ამოისუნთქა და ჩანთებში რაღაცის ძებნა დაიწყო. მივხვდი, მეტროს სადგურებთან რომ ყიდიან გადაბრუნებულ ყუთებზე დაწყობილ მწვანილებს, სუნელებს, აჯიკას, სანებლებს, დაფნის ფოთოლსა და ნიორს, ხანდახან შებოლლილ სულგუნსა და ლერლილს, ლიმონსა და მანდარინებს შავებით მოსილი ქართველი ქალები, ესაც ერთ-ერთი მათგანი იყო. გვერდით მჯდომმა მოხუცმა კაცმა, ეტყობა, ჩემსავით აღიქვა რეალობა და თითქოს თავისთვის, ან შეიძლება ჩემს გასაგონადაც, ჩაილაპარაკა: – человек не должен так страдать, тем более женщина. თითქმის ყველა მგზავრი იჯდა. ქართველ ბიჭს უკვე ეძინა, გამხდარი სახე კეხიან ცხვირს ამჟღავნებდა, მტკიცანი თვალიდან მსხვილი ცრემლი მოჟონავდა. ქალმა ჩანთიდან რაღაც წამალი ამოილო, გაღეჭა, დაიჭმუხნა, კვლავ მძიმედ ამოისუნთქა და ჩათვლემა სცადა. გაჩერებებზე, სადგურების ვესტიბიულებში, ჩანდნენ პეტერბურგის საფეხბურთო კლუბის «ზენიტის» გულშემატკივრები. მხიარულობდნენ, გაპყვიროდნენ და ამაყად აფრიალებდნენ «ზენიტის» ემბლემიან ატრიბუტიკას. ესე იგი, მოიგო «ზენიტმა»; ნეტავ ვის მოუგო?! – პასუხი ჩემს კითხვას მაშინ გაეცა, როცა შემდგომ გაჩერებაზე მოსკოვის «სპარტაკის» სამი ფანატი შემოვიდა – შემოგლიჯინდა დაუფარავი აგრესით... სისხლჩამდგარი თვალები, ალკოჰოლის მძაფრი სუნი და ხელებში ჩაბლუჯული ჯაჭვები კარგს არაფერს გვიქადდა. შემდგომ გაჩერებამდე გრძელი ინტერვალიც საბედისწეროდ დაემთხვასავით, სად უნდა წავსულიყავი. «სპარტაკელები» უშვერი სიტყვებით ილანძლებოდნენ, უფრო სწორად გვლანძლავდნენ, ერთმა ბოთლში ჩარჩენილი ალკოჰოლი კარებთან ახლოს მყოფ მგზავრებს მიასხურა დემონური სიცილის



თანხლებით; დანარჩენები ჩვენს მხარეს წამოვიდნენ. მე სუნთქვა შევწყიტე და თავდახრილი საკუთარ ჩემის წვერებს დავაშტერდი, ვგრძნობდი, როგორ მეყინებოდა ფეხის თითები. დახრილი მზერით დავინახე, თუ ჯერ ღრიალი მომესმა, არ მახსოვს, რაღაცნაირი ბოროტების ბურანში კი აღმოვჩნდით. ერთმა დეზებიანი «ბოტინკა» დაუნდობლად ჩაარტყა ქართველ ბიჭს წვივში, ჯერ კიდევ ძილისაგან გამოუფხილებელს, მერე დაულრიალა – «ევჯай სვიო ბირიბიჯან» (რატომლაც!), ბიჭი ტკივილისაგან დაიჭმუხნა და მოიხარა. ფანატმა ხელში მყოფი ბოთლი ბიჭის დახრილ თავზე დასარტყმელად ის იყო მოიმარჯვა, რომ ქალი გადაეფარა ბიჭს კივილით: – «не надо, не бейте ... Он болеет ... Не надо, нееет!». იმის გამო, რომ ხელი შეუშალეს, გამძვინვარებულმა ფანატმა ბოთლი იატაკს მთელი ძალით დაახეთქა, მერე ახტა და ორივე ფეხით ქალის ჩანთას რამდენჯერმე დაახტა. დანარჩენი ორი ხარხარებდა და ჯაჭვებს ჰაერში გამომწვევად იქნევდა. ქალი კვლავ აკილდა, როცა შვილის შარვლიდან ჩამომდინარი სისხლი იატაკს დაეწვეთა.

– ხმა ჩაიგდე, თორემ ჩაგაგდებინებთო, – დაულრიალა ერთერთმა ჯაჭვიანმა და მორიგი სამიზნე მსხვერპლისთვის გზა ვაგონის სილრმეში განაგრძო. ცოტათი გაგვცდნენ, ქალს და ბიჭს გვერდით მჯდომები ძალიან ფრთხილად ეხმარებოდნენ, ვინაიდან ეშინოდათ, მათკენ არ მათკენ არ შემოტრიალებულიყო ბოროტება. რადგან გამცდნენ, თავი ავწიე და მზერით დავწყევლე. წამში მოხდა ყველაფერი: – ვიღაცამ ფეხი იმ დროს გამონია, (რა თქმა უნდა სპეციალურად), თავში აგარდნილი ბოროტმოქმედები გინებით რომ ჭერს ურახუნებდნენ, წინმდგარმა წაიბორძიკა და ჯაჭვი ხელიდან გაუვარდა.

– «მამათქვენი მიაკვდა ღორს სულში», საომარი მარშივით გაისმა ჩეჩენური გინება და თან უნისონად დავარდნილი ფანატის კვნესა მიჰყვა. წარბებამდე ჩამოფხატული სპორტულქუდიანმა

ბიჭმა დაუნანებლად დაარტყა ფეხი დავარდნილ ფანატს, სახეში, მხრებზე ჯაჭვი არ დაზოგა. თითქოსდა სპეციალურად, ვაგონი მინისქვეშ გაჩერდა, დანარჩენი ორი იერიშზე გადავიდა, ჯაჭვი ერთერთს ჰქონდა.

კაცის აღწერილი ჩხუბი და ქალის მოთხოვნილი განსხვავებულია, მე აქ შევჩერდები. იმას კი ვიტყვი, რომ წარბგახეთქილი, ქურთუკდახეული და ხელნაღრძნობი ჩეჩენი სისხლმოთხვრილი იდგა და მაშინაც იღმიერდა – გარსშემოხვეულები ჩვენს მხსნელს მდგომარეობას რომ ვეკითხებოდით. ორი ბარბაროსი მესამემ ძლივს გაათრია-გაიტანა ვაგონიდან, ტვინის შერყევა და დალენილი ტანი წაიღეს ავტოგრაფად. მესამეს არ უბრძოლია, ისე დანებდა. ქართველ ბიჭს ჭრილობა ჰქონდა წვივზე, დეზმა გაუჭრა ძარღვი და მეტროს სადგურის სამედიცინო პუნქტში გაუწიეს პირველი დახმარება. მახსოვს როგორ მოსთქამდა ქართველი დედა: – «за что? Почему? В чем мы виноваты». მერე მივარდა ჩეჩენ ბიჭს, ცდილობდა სისხლი მოენმინდა, დახეულ ქურთუკს უსინჯავდა, ტანის სიმთელეზე ეკითხებოდა; ჩანთასთან დაბრუნდა, ბოთლებსა და ქილებს შუა რამდენიმე მთელი ქართული მანდარინი ამოარჩია, თავშლით გაწმინდა და ჩეჩენს შეაჩერა ხვენნით ხელში. ისიც მახსოვს, როგორი გაოგნებული იყო ყველა, როგორი დაზაფრული და უმოქმედო, სანამ ბოროტება ცდილობდა დამკვიდრებას. ყველაზე მეტად კი მახსოვს გვერდით მჯდარი მოხუცის სიტყვები – თავის კანტურით მივიდა ჩეჩენთან, ხელი ჩამოართვა და ჰკითხა: – «Кто вы по нации смелый человек?... Чеченец – убасუხа ბიჭმა. მოხუცი შემოტრიალდა და გაფრთხილებასავით თქვა: – «запомните, этот народ никогда не отступает!» მერე ისევ ჩეჩენს შეხედა: – «если вас будут обвинять, то я ваш свидетель!»

ჩეჩენი ბიჭი რამდენიმე თვის შემდეგ შემხვდა, უფრო სწორად ვიცანი, გახეთქილი წარბი ნაიარევით დარჩენოდა. მარხვის





თვის დასრულების აღსანიშნავად კონცერტი ტარდებოდა «შრომის სასახლეში» და იქ ვნახე. ველური ჟინით ცეკვავდა, როგორც ყველა დანარჩენი. გულს ცეკვით იოხებდნენ, ცეცხლოვანი რიტ-მით სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულს გამოხატავდნენ, მტრის ჯინაზე ცეკვავდნენ, სიკვდილის ჯინაზე. არ შევეხმიანე, შორიდან ვუყურებდი. მას მერე აღარ მინახავს. სამაგიეროდ ფილმი «მან-დარინები» ვნახე უამრავჯერ... დღესაც ვნახავ... ისევ ვიტირებ და, განუწყვეტლად ვიამაყებ...

არ გაგიკვირდეთ, თუ ერთ მშვენიერ დღეს მეგობარი მტრად გაგიხდებათ, მტერი კი მეგობრად – ან გვაფრთხილებს, ან გვამზა-დებს თურქული ანდაზა. ისეთი ძირძველი მეგობრები მყავს, დღე-საც მსოფლიოს ფასი აქვს მათნაირ ურთიერთგაგებასა და სი-ყვარულს. დრო-უამმა მეტი გამძლეობა და ერთგულება შეგვძინა, მტრებს მგონი მოვწყინდით, აღარ გვკბენენ. ახლა ყველას საკუ-თარი «ოფოფები» გვყავს, მაგრამ ისინიც კი აბალანსებენ ემო-ციებს, ამიტომ წყენასა და ტკენას ადგილი არა აქვს – მოსკოვი-სანქტ-პეტერბურგი FOREVER! ანი, რაღა უნდა მოხდეს, რომ მწარე თურქული სიმართლე ვიწვნიო-მეთქი, ხშირად მიფიქრია. ნურას უკაცრავად, საქმე მთლად მეგობრობაშიც არაა... მით უმტეს, როცა დაუდამებლად გათენებულია (ნორმალურ კლიმა-ტურ ზოლში დროის ამ ინტერვალს განთიადი ჰქვია), სახლში მარ-ტო ხარ და რამდენიმე საათში შენი სამუშაო დღე იწყება, ოღონდ სულ სხვა ქალაქში და სულ სხვა ქვეყანაში. გრძელ გზაზე ჯანია საჭირო, მთლად მეფური დანაყრებით თუ არა, გვარიანი ნახემ-სებით მაინც. მწვანე ჩაი ძახველით დოპინგის მაგიერია, ვსვამ და ვცოცხლობ, ეს დილამ უკვე იცის. რაც მაციგარმა გამოიმეტა, ის მოვამზადე. ნაჩქარევი საუზმე ნატურმორტს ჰგავდა – სიმინდის ზეთში მომწვარ-მოშუშული 4 მწვანე გრძელი (ტკბილი) და 1 ნი-თელი გრძელი (მწარე) ნინაკა, წვრილად დაჭრილი ბაქოს პომიდო-რი, ცოტა მარილი და ტყვიასავით დახლილი 2 კვერცხი. ბოლოს, მაჟორული აკორდი – ცოცხალი ქინძი, წითელი-ყვითელი-მწვანე გემრიელობა და მე «ტეტ-ა-ტეტ»... პირველივე ლუქმამ მაგრძნო-ბინა, რომ უცოდველი «ნატურმორტი» მწარე შინაარსისა იყო, მეო-რე ლუქმამ ცეცხლისმფრქვეველ დრაკონად მაქცია, შუბლი დამ-

სამართლებრივი სამსახური

სამართლებრივი სამსახური

იცვარა და გამაშება. მესამე ცდა კამიკაძეობაზე აშკარა პრეტენზია იყო, მაინც ვცადე... სული თვალებიდან სიმწრის ცრემლებად გად-მოდინდა, ტუში ჩამოიყოლა და ლოყებს ღარებად დაჰყვა. დავ-ემსგავსე ჯულიეტა მაზინას პერსონაჟს «კაბირიას ღამეები»-დან... რომ ვთქვა, ვტიროდი, ნიშნავს – არაფერი არ ვთქვა. ხანდარს ვაქრობდი, კოცონს თუ ჭიაკოკონას და არ იყო არსაიდან ხსნა – არც პურით, არც წყლით, არაფრით... ვაი, პირდათუთქულო თავო ჩემო, ეს რა დაგემართა, ეს რა დაიმართე... მზაკვარმა თურქებმა როგორ აგრიეს... არადა, სუპერმარკეტში დაფასოებული ოთხი ხრამუნა მწვანე წინაკა, შავ პლასტზე გაკრული, თურქეთიდან იმ-პორტირებული, მთელი წელია ვყიდულობ, სალათებში ვაჭრი, ისეც მივირთმევთ, არავითარი ყურუმსალობა არ შემიმჩნევია აქამდე, მაინცდამაინც ახლა იქცა ნაღმად. იმას საერთოდ აღარ გავცემ ხმას – მწარე რომ უნდა ყოფილიყო თეორიულად, პრაქტიკულად კი უუნარო აღმოჩნდა – წითელ წინაკაზე ვიძახი, ჩილედან ჩამოტ-ანილს, პირშუშხა ვულკანად რომ იწოდება. აბა, ოთხი გადაცმული თურქი რომ ეტაკა ჩემს პირში ერთ ჩილელ დეზერტირს, რასაკ-ვირველია, იანიჩრებმა გადაბუგეს მიდამო, რუსული ორი კვერ-ცხიც კაპიტულაციაზე დათანხმდა, სადღაც სუვოროვის აჩრდილი ბოლმით აკვენესდა... ბაქოს პომიდორმაც ასპროცენტიანი სიმპათია და მხარდაჭერა გამოუცხადა თურქულ წინაკებს და დავრჩი სომხ-ური ქინძის ამარა ... «დანაელთა საჩუქარმა» ქინძიც შთანთქა და ჩემი განწყობილებაც.

შორი გზა მელოდა, მაცივარმა შემომბლვირა – რაც მქონდა, მოგეციო... ავიღე როზმარინიანი კრეკერების შეკვრა, გადავკარი ანი უკვე ცივი მწვანე ჩაი, ჩავუძახე მტრულ კერძს ნაგვის ვედრო-ში და საკვირიაჟით ხელში გავქანდი მეტროსკენ, 40 წუთში უნდა მიმესწრო კომპანიის მიკროავტობუსისთვის, რომელიც ფინეთში ჩამიყვანდა კოლეგებთან ერთად...

ჩემს კორპუსთან ახლოს, ყოველ მაისობას (ბოლო 7 წელი...) ერთი კეკლუცი ბებია ხსნის პრეზენტაციასავით... ქათქათა თეთრი გრძელი თმა კუს ბაქნის სავარცხელით კეფაზე აქვს დამაგრებული, უბრალო, მაგრამ მოდური ჩარჩოებით მხედველობის სათვალეებს ატარებს (5-6 ნაირს...), მარჯნისფერ, უოლოსფერ, ნარინჯისფერ პომადებს ხმარობს, სულ სასიამოვნო განწყობაზეა და დაზაინერი-ვით გამოიყურება... «ბებიას» მხოლოდ აქ ვუწოდებ, რადგან 76 წლისაა, თორემ ისე ანა იოანოვნა გახლავთ (დედოფალივით), იმ-დენად ლამაზ და ორიგინალურ დემისეზონურ პალტოებს იცვამს, ვგიუდები – დიდი ჯიბეებით, ხალათების სტილში – მოქსოვილი დაზგაზე თუ შეკერილი და რეგლანით, ანდა მანტიასავით... ფე-რები ხომ საოცარი, ხასხასა, გაზაფხულ-ზაფხულს რომ შვენის... ამ დროს «second hand»-ში შოპინგობს, ნარსულში ტანმოვარჯიშე, დღესაც თხელტანიანი და გრაციოზული. თავისი ბალის ყვავი-ლებს ყიდის სექტემბრამდე... მე მისი კლიენტი ვარ – ნარცისებს ვყიდულობ, პიონებს, გეორგინებს... ისეთი კარგი ენერგეტიკის ადამიანია, მასთან შეხვედრის შემდეგ სამყარო მშვენიერდება და სიძნელე აღარ გაშინებს. აქეთ გეუბნება კომპლიმენტებს, გლო-ცავს და დროის სასიამოვნოდ გატარებას გისურვებს. ცოცხალი აფიშაა – ქალაქის ყველა გამოფენა, ახალი სპექტაკლი და საინ-ტერესო ღონისძიება – ყველაფერი იცის, ესწრება და გირჩევს... გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ანა იოანოვნა თილისმასავითაა ჩემთვის... ამ სისხამ დილით, კულინარული კონფუზის შემდეგ ანა იოანოვნა რომ არ დამილოცავდა გზას, ვიცოდი, მაგრამ ჰო, საოცრებავ! უკატო ქალაქში თილისმა ბებოს ადგილას შავი კატა წამოსკუპებულიყო. ის იყო მივუახლოვდი, წამოხტა ეს საიდან მოვ-ლენილი კუნაპეტივით შავი ქმნილება, გადამირბინა წინ და გაუჩი-ნარდა... ვახ, როგორ დავითარსე – გავიფიქრე და რადგან გზას ვადექი, სამუშაო დღე კიდევ შეთქმულების თეორიის ფონზე იწყე-ბოდა, დავითრგუნე...

მარჯნისფერი

ნარინჯისფერი

მეტროს ელმავალის მგზავრები ჩემსავით სადღაც მიიჩქაროდნენ, უმრავლესობა ბარგით იყო. გასაგებია – სარკინიგზო სადგურები და აეროპორტიც ამ ხაზზეა, ამიტომ ზოგი ჩამოვიდა უკვე, ზოგი მიემგზავრებოდა... დაჯდომას ყველა ცდილობდა, ამიტომაც ფართხაფურთხით შეცვიდნენ და მოიპოვეს დასაჯდომი ადგილი... არც მიცდია ადგილის ძებნა, ვიგრძენი, მძიმეწონიანი ქალი დამეჯახა, სადღაც ახლოს ადგილისკენ მიიწვდა, მაგრამ გზაზე მე გადავეხირე საკვოიაუიანად და სხვამ დაასწრო. დარჩა ქალბატონი უადგილოდ, რისხვიანი მზერა მესროლა და კარებთან ჩამოდგა სახით ჩემეკნ... ეტყობოდა, რომ ძალიან უნდოდა დაჯდომა, წონა ხელს უშლიდა, გაოფლილი სახის განიავრებას ცდილობდა, თან თვალებით მრისხავდა, თან ვაგონში მჯდომარე მგზავრებს ამონმებდა – არიქა, ვინმე თუ ადგებოდა, სასწრაფოდ დასკუპებულიყო. რამდენიმე სადგური-გაჩერება ისე გავიარეთ, არავინ არ მოგველბია, მარტო გვემატებოდნენ. ფაშფაშა ქალბატონი უფრო გაწყრა ჩემზე, ისე მიბლვერდა, თვალთა ისრები ტანში უსიამოვნოდ მერჭობოდნენ. სიმართლე გითხრათ, შემეცოდა... საკმაოდ მოვლილი ქალი, დასიებული ქუთუთოებითა და მძიმე ტანით მაღალ ქუსლებზე იდგა და წვალობდა. შემომატებული ხალხის ტალღამ მისგან საკმაოდ შორს გამრიყა, მაგრამ პერიფერიული ხედვით ერთმანეთს ვაფიქსირებდით. არავის არ აინტერესებდა მისი მდგომარეობა, მით უმეტეს არავის არ ეცოდებოდა. მჯდომარე მსაჯულთათვის ის ჩვეულებრივი «მადამ ბრომკინა» გახლდათ... ვაგონი მგზავრებით გადაიჭედა, ვიღაცა მათ შორის აშკარად ქართველი იყო, რადგან ყურსასმენიდან გამოჟონილი მელოდია ჩემამდე აღწევდა. ანა მალაზონია მღეროდა – «ვით ფოთოლი შენი, მზეზე მოციმციმე, ქარებს გაჰყოლია»... არ ვიცი მინიშნება იყო ჩემთვის თუ გამხნევება, მაგრამ ამ მომენტში ქართულ მელოდიასა და სიტყვებს თერაპიული ეფექტი ჰქონდა... მორიგი გაჩერება ახლოვდებოდა, როდესაც

ჩემ წინ, სკამიდან ქალი წამოდგა და გასასვლელისაკენ გაემართა. უფს!... მოვკალათდები ახლა, საკვოიაუით დალლილ ხელსაც დავასვენებ, მშვიდად დავალაგებ ფიქრებს, იქნებ ოპტიმისტურ ნოტამდეც მივიდე. ერთ წამში მივიღე გადაწყვეტილება – ჩემი დათუთქული პირი დაცხრებოდა, დათრგუნვილი განწყობილება გამოკეთდებოდა... ვგრძნობდი, ვიცოდი, მჯეროდა... საკვოიაუი თავისუფალ ადგილას მჭიდროდ მივნიე, რომ სხვა არ დამჯდარიყო და გაფაციცებით დავიწყე ხალხის მასაში «მადამ ბრომკინას» ძებნა... როგორც კი ჩემქნე გამოიხედა, მეგობრულად გავულიმე და ხელით ოდნავ ვანიშნე ვაკანტურ ადგილზე. გაოცდა, თვალები გაუდიდდა, მერე შეცბა... რამდენიმე წუთი ასე იდგა, ბოლოს დაიძრა, ხალხის რიგი გამოარღვია და ჩემამდე მოაღწია. უკვე დამთბარი თვალებით შემომხედა, მადლობა გადამიხადა და სკამზე დაეშვა. სული მოითქვა, მოხერხებულად მოკალათდა, გამიღიმა და ჩემი საკვოიაუის მუხლებზე დადება შემომთავაზა, მე ვიუარე, მაინც იძალა... ისეთი მადლობელი მიყურებდა, რომ შემრცხვა და მზერა ავარიდე. ჩემი გაჩერება რომ გამოცხადდა და კარებისკენ დავიძარი, კიდევ ხუთი მადლობა მითხრა და ლოცვასავით დააყოლა: «– چудесного вам дня, удачни!...» რაღაცნაირი სინათლე და სიმსუბუქე ჩამეღვარა სულში, მშვენიერ ხასიათზე დავდექი... შევუერთდი ჩვენი მიკროავტობუსის შემადგენლობას და დავიძარით. როზმარინიანმა კრეკერებმა ძალა მომცეს, საგზაო თერმოსით მწვანე ჩაიმ ელექტრობა იკისრა. სადღაც სამ საათში ადგილზე ვიყავით. შუა სამუშაო პროცესში მობილურის ვიბრაცია ვიგრძენი, მირეკავდნენ... გადასაღებ მოედანს გავცილდი და ეკრანს დავხედე: – უცნობი ნომერი იყო. ვყოყმანობდი, მეპასუხა თუ არა, როუმინგი მოქმედებდა და ნებისმიერი ზარი ხარჯანი იყო. არ ვიცი, რატომ დავაჭირე ლილაკს თითი – «როგორა ხარ ?» – გავიგონე ტკივილამდე ნაცნობი ხმა... როდის იყო «ხმა» საბოლოოდ ხაზზე? წელინადი გავიდა ალბათ,



რაღაც გაიცრიცა, რაღაც გაუფერულდა... ალბათ უნდა გამხარებოდა, მაგრამ კონკრეტულად რა, ვერ ვხვდებოდი, აი გაკვირვებით კი მართლა მიკვირდა. მაინც მეტროდან წამოყოლილმა კეთილგან-წყობამ, პოზიტიურმა ემოციებმა და ცნობისმოყვარე ნეირონებმა იმძლავრეს, მომედნენ და მაიძულეს თუ მიკარნახეს – გამხარებოდა... «მადლობა, კარგად, შენ როგორა ხარ?» – ზრუნვა და ზრდილობა პასუხად დავუბრუნე. – «რა ვიცი, ისე რა» – განელასავით... აშკარად ჩემგან ელოდა კითხვებს. მე არც კითხვებს ვაძლევდი, არც პასუხებს ვთავაზობდი. სხვა დარდი მქონდა: – ღელვა უნდა დამეფარა... – «ოფისში ხარ თუ ქალაქში?» – ხანმოკლე პაუზის შემდეგ მკითხა, ეტყობოდა ისიც ღელავდა, სიტყვებს ფრთხილად ალაგებდა. – ქვეყნის გარეთ ვარ, ფინეთში, ექსპედიციაში. ჩამოდი, თუ გინდა, დაგხვდები-ნიშნისმოგებასავით ვუთხარი (ვუკინე, ხომ ვიცოდი მულტივიზა არ ჰქონდა) ... – «შენ არ იცვლები, ყველაფრის ხალისი გაქვს და ინტერესი» – თან შემომნატრასავით, თან სევდა გაურია ხმაში. – მგელმა შეიძლება სოფელი შეიცვალოს, მაგრამ ხასიათს არ შეიცვლის-ვუთხარი სიცილით (მწარე, სიცილით). და-დუმდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა – «მომენატრე» – ჩუ-მად თქვა. – ნეტავ შენ თუ გჯერა შენივე სიტყვების! – ვუპასუხე. – «რაც არის, იმას ვამბობ» – სწრაფად თქვა და მიაყოლა: – «ხშირად მესიზმრები»... მე გავიცინე და ვუპასუხე: – ალბათ იმიტომაც ვერ ვიძინებ, რომ შენს სიზმრებში ვიმყოფები». მასაც გაეცინა, – «ალ-ბათ»... ორივენი ვიცინოდით, რაღაცნაირად, თბილად, სანდოდ... – «ჰო, მალე ჩამოვალ» – უფრო თავისი თავის დასარწმუნებლად თქვა. – ნება თქვენია, მეფევ ბატონო! – ვუპასუხე და დავაყოლე «ნერეგი სებя!»... – «ты тоже» მიპასუხა და მის მხარეს უცხო ხმები გაისმა, ეტყობოდა, უკვე ალარ იყო მარტო... – «пока, пока» აჩქარებულად დამემშვიდობა და ორ წუთში საფინალო მესიჯი გამომიგზავნა: – «тебя можно ненавидеть, но нельзя не любить»... გამეღიმა:

– «разве?» მივწერე და ლოყაგანითლებული სმაილიკი მივუხატე... აღარ მიპასუხა... წლის საუკეთესო დიალოგი შედგა... პოზიტივი იზრდებოდა... რთული სცენა ორ დუბლში გადაწყდა. გადასაღებ მოედანზე სასიამოვნო განწყობილება სუფევდა... რეჟისორმა შესვენება რომ გამოაცხადა, გადავწყვიტე ქვევით, ციხესიმაგრის მხარეს გამესეირნა, ვიცოდი, იქ პატარა საოჯახო კაფე-საცხობში გემრიელი ფუნთუშები ცხვებოდა. ავტობუსების ჯარი რკალივით ერტყა ციხესიმაგრეს, რუსი ტურისტები ჭარბობდნენ. მეც მათში უნდა გავრეულიყვა – ბილიკი ერთი იყო. კაფეს უკვე ვუახლოვდებოდი, როცა თვალწინ ძალიან ნაცნობ ფერთა გამა აისახა, თეთრი თმით და ჯადოსნური ღიმილით. ვერ ვიგებდი, ეს ილუზია იყო, ცრუ ხედვა თუ გამოცხადება... ანა იოანოვნამ მოდური მზის სათვალე მოიხსნა და გამიღიმა: «– добрый день, деточка! Вот это встреча...» თურმე მულტივიზა უმთავრდებოდა და შესაძლებლობა გამოიყენა: – ტურისტულ ავტობუსს გამოჰყვა პროდუქტების საყიდლად (ეს პეტერბურგელებისთვის ჩვეულებრივი საქმეა – არ გაგიკირდეთ, წითელი თევზი, ხიზილალა, რძის ნანარმი, ჩაი, ყავა, სარეცხი საშუალება – მაღალი ხარისხის ფინური თუ ევროპული ნანარმის ადგილზე შეძენა...) ფუნთუშებზე დავპატიუე, თან ვიბაა-სეთ. მე რა თქმა უნდა დილის მარცხის შესახებ მოვუყევი. თილისმა ბებო ჩვეულებისამებრ იღიმებოდა: – სიმწრის გემო თუ არ გავიგეთ, სიტკბოს, სიყვარულს ვერ ვიგრძნობთო – მითხრა... მისი ცხოვრება სულაც არ იყო და არაა ტკბილი და ნარნარი, მაგრამ არ გატყდა, არ დაეცა, არ დაიბოლმა. სიბერე დათემულ დროს კი მოვიდა, მაგრამ იფიქრა, – შემეშალაო და, გაბრუნდა. ანა იოანოვნას ყვავილები უყვარს და ხელოვნება.– სანამ ჩემი ბალის ყვავილები შემოვა, სხვისგან ვყიდულობ, სულ პატარა თაიგული მაინც ყოველთვის მიდგას მაგიდაზეო... პენსიით ვცხოვრობ, მა-გრამ თვეში ერთხელ ქალაქის საუკეთესო, ძვირ რესტორნებში

მარტინი

მარტინი



майбиз міндоузаң და მხოლოდ ფინჯან ჩაის ვუკვეთავო, «я называю это светский выход» – митხრა... аღტაცებული ვუსმენდი, გონებაში ანა მალაზონიას ხმა ულერდა: – «ჩვენ ცხრათვალა მზეთა და მძვინვარე ზღვათა ტრფობა გაგვყოლია... – «Вы восхитительны и так молоды – вижу тебя...» ნამოვდექით. – «Деточка, а как иначе, надо жить и радоваться, я же Шувалова, не имею право»... მიპასუხა. ავტობუსამდე მივაცილე და რაღაცნაირი ნეტარი ჰაეროვნებით სავსე დავუბრუნდი სამუშაოს.

დღე ლამაზად იწურებოდა... ბედნიერების განცდა არ მტოვებდა... სამყაროში ყველაფერს თავისი სახელი ერქვა, თავისი ადგილი ჰქონდა, მისია და დანიშნულება, სიმწრით თუ იწყებოდა, სიტკბოთი მთავრდებოდა. თუ ჰირიქით ხდებოდა, ესე იგი არ იყო დასასრული, ვინაიდან ყველაფერი მაინც კარგად დამთავრდება! ამიტომ ჩემო კარგებო, არ შეგეშინდეთ, თუ შავმა კატამ გადაგირბინათ – არ გეგონოთ, არ ახსოვხართ... გამორიცხულია, არ უყვარდეთ... არ დაიჯეროთ, რომ ყველაფერი დამთავრდა და თქვენ დამარცხდით... ავ სახეებს ლიმილი მიაგებეთ ფარად, მახვილად იქცევა და გაიმარჯვებთ... ჩვენ ყველანი ძალიან კარგები ვართ, ოღონდ ყველასთან არა, ყოველთვის არა და ყველაფერში არა...

P.S. მეგობრობა უდიდესი საგანძურია ჩემთვის, უპირველესი და უსაჩინოესი, ვინაიდან მასში ურთიერთგაგებაა, ერთგულებაცა და სიყვარულიც.

ამ ესსეს, უსაზღვრო სიყვარულით ვუძღვნი ჩემს ძვირფას მეგობრებს...

ამბობენ – შემთხვევითობა თავისით არ არსებობს, ის სინამდვილეში ღმერთის ფსევდონიმია, როცა ვინაობის გამომჟღავნება არ უნდა... ხომ ადამიანური რეზიუმეა, გულწრფელი და ვითომ მიამიტი, არადა, შემოქმედის ხელწერას სად არ ვაწყდებით, ჩემი შემთხვევაც ამ კალიგრაფითაა შექმნილი. არ გეგონოთ მონუმენტალური შუბლის მქონე ფილოსოფოსივით თეზისებისა და სენტრუციების ნაკადს დაგაბლერტებთ თავზე, ჰირიქით ... ფსკერიდან ნამოსული, ჰაერმონწყურებული აკვალანგისტივით ამოყვინთავს სუმრობის სურვილი და მე ამბავად ავაგებ განცდილს...

იმის ნაცვლად, რომ კუთვნილი უიკ-ენდი მეგრძნო (კინოსეანსი, შოპინგი, პიკნიკი), ათასი საქმე მოვიგროვე, «დასვენების დღეებისა» რისხვა დავიმსახურე და რისხვის გემოც ვიწვნიე... ათას-მეერთე საქმემ, მოულოდნელად დაბადებულმა დღის წესრიგი ხომ შემიცვალა, ეგეც არ იკმარა და «შარში გამხვია»... ასეც ვიცოდი, ყოველი შემთხვევა ხომ ან დასჯაა, ან გამოცდა, ან ბედის საჩუქარი. ბედზე რა მოგახსენოთ, მაგრამ საჩუქარი მქონდა შესაფუთი (ჩვენი კომპანიის დირექტორის იუბილე ახლოვდებოდა) და უახლოეს სავაჭრო ცენტრს მიგაშურე... სანამ მუყაოს ლამაზი ყუთი ამოვარჩიე, მერე შესაფუთი ქაღალდი და ლენტი, სანამ შეფუთეს – საკმაო დრო გავიდა. სახლში მოსულს ბარათი დამზდა ბინის კარზე მიკრული: – თქვენ ქვემოთ ბინაში წყალი ჩამოდის და მილები შეამონმეთ სველი წერტილების მიდამოებშიო... ერთ საათში რა უნდა მომხდარიყო, როცა ბინა წესრიგში და, ბოლოსდაბოლოს, აბსოლუტურ სიმშრალეში დავტოვე – მეთქი, – გავიფიქრე და მეზობლებიც გამოჩნდნენ. საერთოდ, უმშვენიერეს ქალაქურ პეიზაჟში, მხოლოდ კარგი მეზობლები იგულისხმება. პრინციპში ასეცაა, ჩვენი



სადარბაზოს ბინადრებს თუ ჩავთვლით, მით უმეტეს... ახლა ხახვის, მარილისა და ფქვილის სათხოვნებლად ერთმანეთთან არავინ არ დადის (სხვა დროა), მაგრამ ურთიერთმოკითხვა-მისალმება და დილით, ლიფტში შეხვედრისას კარგი დღის სურვილი არ გვეშლება. მადლობა ღმერთს, რომ წყენა-შეურაცხყოფები არ გვქონია.

ქვედა სართულზე ადრე ერთი კოლორიტული, გადამდგარი პოლკოვნიკი ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად... ცოტა კოჭლი, ცოტა პოეტი და ცოტა ლოველასი, როგორც ბაირონი. შვილიშვილი გადმოვიდა მერე მათთან საცხოვრებლად, პოლკოვნიკს ინსულტი რომ დაემართა. ბებიას ეხმარებოდა, თან სკოლას ამთავრებდა. ცოტა ჯმუხი, ცოტა უსალმო, ცოტა ასოციალური— მოკლედ პაპის ანტიპოდი. ჰოდა, ეს ჯმუხი შვილიშვილი, ახლა რომ სტუდენტია და ბებია, პოლკოვნიკის მეუღლე, როგორც დაზარალებულები და «დატბორილები» ვიშვიშებდნენ, თუ რა წითელი ცრემლებით ტიროდა მათი გაერთიანებული აპაზანა-ტუალეტის ჭერი. გადავირიე: — რა შუაშია წითელი ფერი, მე, ჩემი ბინა და რატომ უნდა გამოვიძახო სასწრაფოდ ავარიული სამსახური?

ბინის კარი გავალე და მოვიშვიშე მეზობლებთან ერთად დავიწყე დამნაშავე ადგილის დაზერვა-ძებნა-ანალიზი... «ბინა კი ირონიულად, ნიშნის მომგები სიმშრალით გვიყურებდა»... «კაზუს ბელე» ჩაიფუშა... მე უკვე მაღლითა სართულის რეპუტაციით დავიწერესდი. როდესაც სახლის მომსახურე სანტექნიკოსებმა მომაკითხეს და პროფესიონალურმა ძებნა-ძიებამ კაფელით შენიღბული, უანგით და დარდით შექმული, მოღვარლვარე ცრემლებით მოტირალი ცივი წყლის ცენტრალური მილი აღმოაჩინა. თურმე, დარდი და ცრემლი ზედა სართულიდან მოდიოდა, უანგავდა დროის განმავლობაში ჩემი მილის სეგმენტს, გროვდებოდა ძირს და ამ წითელ უანგიანი ცრემლების ნაკადი სევდიან ავანგარდისტულ სურათს ქმნიდა ქვედა სართულის აპაზანის ჭერზე. «ლია კარის»

დღე დაიწყო: – დადანაშაულებული ზედა სართულის ურნმუნო ბინადარნი მოვიდნენ, ნახეს, დარწმუნდნენ და წავიდნენ; ავარიული სამსახურის მუშაკები მოცვივდნენ, გადაკეტეს ცივი წყალი და სახლმმართველობის სანტექნიკოსებს გადასცეს ესტაფეტა; სანტექნიკოსებმა ქვედა სართულის ხალხი დამტებული გააცილეს და დასხდნენ მათივე გამოძახებულ შემდუღაბებლებთან (ცვარშიკი), დემონტაჟიორებთან და ჩემთან ერთად მრგვალ მაგიდასთან საკონსილიუმოდ. ბოლოს მთელი სადარბაზო უწყლოდ დარჩა და დროის საკითხი ჩემს ხელში, ჩემს ბინაში წყდებოდა, ვინაიდან ზედა სართული უინიციატივოდ გაიძურწა...

კავკასიელები სტრატეგები უფრო ვართ, ვიდრე ტაქტიკოსები, ამიტომ «შტაბი» რომ დროზე «ათესილიყო» ჩემი ბინიდან, გამოვუცხადე: — «მაღლითა სართულის პრესინგს მე ვიწყებ და დინამიკურად ვაიძულებ ქმედებას, თქვენ მობილიზებულად მუშაობთ ჩემს სეგმენტზე, ჭრით-დგავთ-ადუღაბებთ-გაგაქვთ ნაგავი. ახალი მილი სახლმმართველობიდან უფასოდ მეკუთვნოდა, მოტანის ფაქტორი იყო მთავარი, ამიტომ ჩვენი «კონსილიუმის» ძირითადი მომენტი მოტივაცია გახლდათ. რაც უფრო ოპერატიული და შედეგიანი იქნებოდა მათი მუშაობა, მით კარგ «ჯილდოს» ვპირდებოდი: — მატერიალური თუ «ალეოპოლური» ნახალისების სახით...

მართლაც «სტანოვური» მოძრაობა დაიწყო. ამდენ ხალხში, მტვერსა და ნაგავში, საშინელ ხმაურში ჩემი გრეფფი, ეს არის-ტოკრატი ცუგა გაგიუდა, ამიტომ კაბინეტს შევეხიზნეთ, სადაც ოჯახური ბიბლიოთეკა გვაქვს. ამ კაკაფონიაში წიგნის კითხვა შეუძლებელი იყო, დრო რომ გამომეყნებინა, გადავწყვიტე, ცოტა მომენტისრიგებინა წიგნების წყობა, ადრინდელ წყობას შავი დღე დაადგა, იმ დონეზე გადმოვაპირევავე ყველაფერი. თქვენ რა გგონიათ, სანტექნიკური ფორსმაჟორული მოვლენის ნიუანსებზე მოგაცდენდით? ახლა იწყება ნამდვილი story...



მოკლედ, ვალაგებ წიგნებს, ზოგიერთს კიდეც ვფურცლავ (ამ დროს ყველა წაკითხული მაქვს), ზოგიერთს ცალკე ვაწყობ, რომ მერმისად კვლავ წავიკითხო... ასე მივყვები თარო-თარო შეუსვენებლად. იასუნარი კავაბატას მოთხოვბების წიგნი სანამ ადგილს მივუჩინდი, გადავშალე... 3000 მანეთი (სამი ათასმანეთიანი კუპიურა) იდო. ჰმ... წეტავ ვინ შეინახა, მე თუ ჩემმა ბიჭმა? წიგნებში ფულის შენახვა ბავშვობიდან მომდგამს, რაც ელექტრონული საკითხი საშუალებები-გაჯეტები, სმარტფონები და აიპედები გაჩნდა, ეს თვისება დავკარგე, მადლობა ღმერთს... ხომ იცით, გენეტიკა რა მკაცრი მეცნიერებაა, ამიტომ ერთმა შვილმა მანიც მიიღო ეს «მემკვიდრეობა» – ბიჭმა... არადა იაპონურ ლიტერატურას გოგო კითხულობს, ბიჭი კავაბატას ნალდად არ შეეხებოდა, მით უმეტეს სეიფის ვარიანტად... მე ხომ არ შევინახე? მაშინ როდის?.. მაცდური აზრი მომივიდა: – ყველა წიგნი გადაიფურცლოს, გაისინჯოს, დაიფერთხოს ერთ დღეს, იქნებ რა თანხა მოგროვდეს მავნე ჩვევის წყალობით?.. არა, მანიც ვინ შეინახა, მე? რომ არ მახსოვს? ბიჭმა? უნდა ვკითხო, საღამოს რომ მოვა... აეჰ, სტუდენტობისას რაც მამა ჩემდა უნებურად მიწვალებია... სტიპენდიას წიგნებზე, ლიტერატურულ აღმანახებზე და გრამატიკულზე ვხარჯავდი, დამიგროვდებოდა ეს «სიმდიდრე», ორ კვირაში ერთხელ ჩამოვიდოდა მამაჩემი მანქანით სოფლიდან: – «მნათობი»-«ცისკარი»-«განთიადი» ცალკე, ცალკე წიგნები – მაგიდაზე აკოკოლავებული დახვდებოდა, მომიტანდა მამა გემრიელობებით, სურსათ-სანოვაგით სავსე ჩანთას, კიდევ ფულს მომცემდა, მე ფულს იმ წიგნებში ჩავდებდი, სურსათდაცარიელებულ ჩანთაში ჩავაწყობდი და წასვლისას გავატანდი. ბარტერი იყო თითქმის: წიგნები – სანოვაგე... ჩავიდოდა მამა სოფელში, მოუყვებოდა დედას ჩემსა და ქალაქის ამბებს, ამოალაგებდა დედა ვახშმის მერე წიგნებს, მოირგებდა სათვალეს, რომ წაეკითხა, იპოვნიდა ფულს, ატეხდა ვაი-უის, შეიცხადებდა

ჩემს მდგომარეობას, შესტირებდა მამას: – ბავშვი უფულოდ დარჩაო. აბუზლუნდებოდა მამაჩემი, შორიდან შემიკურთხებდა, მერე დილაადრიანად მიუჯდებოდა საჭეს და გომბორის გადმოლახვით კვლავ თბილისში გაჩნდებოდა. ფულის გარდა წიგნებში გამხმარ ყვავილებსაც ვაწყობდი, ძირითადად იებს, კიდევ ფოტოსურათებს, მისალოც ბარათებსა და წერილებს... მომეწონებოდა რამე ციტატა, გამონათქვამი, ლექსი – გადმოვინერდი-ამოვინერდი (დღევანდელი ამოკოპირების hand made ვარიანტი), სამოქალაქო ბიბლიოთეკებში რამდენი მიწერია... ჭავჭავაძეზე ერთი პატარა, მაგრამ ძალიან ძვირფასი ბიბლიოთეკა იყო, სამკითხველო დარბაზიცა და ფონდიც გადასარევი. მკითხველებთან შეხვედრები და თემატური საღამოებიც ხშირად იმართებოდა... ძალიან საყვარელი და პროფესიონალი ქალბატონი ედგა სათავეში ამ ღონისძიებებს. გვარი არ მახსოვს, ქეთინო ერქვა. ასე დავესწარი, აქტიური მკითხველის სტატუსით და ქეთინოს წყალობით ანა კალანდაძის, ზურაბ ქაფიანიძის, წონა გაფრინდაშვილის, აკაკი ბაქრაძის, მერაბ კოსტავასთან შეხვედრებს. შინაარსიანი ხომ იყო და იყო ეს შეხვედრები, თავისებური რომანტიზმი და გაურყვნელი ილუზიებით შეფერილი ოცნებებიც ახლდა. ყველანი ერთსა და იმავე წიგნებს ვკითხულობდით, მაგრამ განსხვავებულად ვაზროვნებდით.

მახსოვს, საზღვარგარეთ მყოფ ქართულ ემიგრაციაზე ძალიან მცირე მასალას წავაწყდი, გამიტაცა და გამიტაცა... საფრანგეთი... ლევილი... «წმინდა გიორგის სახელობის ლეგიონი»... ქართული დასი... ულამაზესი ქართველი ქალშვილები. ყველაფერი აირია, აზვირთდა და უზარმაზარ ინტერესად, სევდად, ოცნებად გადმოიღვარა კინკილა სტუდენტი გოგოს სულში. მშველელად სახელმწიფოებრივი იდეოლოგით გაუღენთილი წიგნი მომევლინა, მოდით და, ნუ გაიკვირვებ – «სიცოცხლე ბევზზე ჰკიდია, ანუ 500 წაბიჯი სამშობლომდე», საბჭოთა მზვერავზე, მტრის ზურგში გა-

სამშობლო

სამშობლო

დასროლილ ქართველ ვაჟკაცზე – პეტრე ნიუარაძეზე (წიგნი აბსოლუტურად რეალურ ისტორიაზეა აგებული), რომელსაც მენშევიკი, პიტლერთან მოთანამშრომლე ლეო კერესელიძის უმშვენიერესი ასული-მარო შეუყვარდა. ეს სიყვარული ორმხრივი აღმოჩნდა, თავბრუდამხვევი და ცეცხლოვანი... ოღონდ მარომ არ იცოდა, რომ შეუყვარებული საბჭოთა მზერავი იყო. ცნობისათვის, აქვე გეტვით – ლეო კერესელიძის ქალიშვილი, მარიამი, ვერმახტის ქართული ლეგიონის ერთ-ერთი მეთაური იყო. იგი ომის დასასრულს სხვა ქართვლებთან ერთად იტალიაში ინგლისელებს ჩაბარდა. მარო როცა მიხვდა, პეტრეს არ აგრძნობინა, არც გასცა, პირიქით გაერიდა... იტანჯებოდა სიყვარულით შორიდან, გულში ლოცავდა და თანაუგრძნობდა, მაგრამ მამისაგან განსხვავებით მეტად ქეჯნიდა სინდისი ფაშისტებთან კავშირის გამო, მეტად გრძნობდა შეუყვარებულთან ურთიერთობაში იდეურ სხვაობას და მიუხედავად გამარჯვებული საბჭოთა ხელისუფლების დიდსულოვანი წებართვა-თანხმობის, ექორწინათ შეუყვარებულ წყვილს, მარო კერესელიძემ თავი დაისაჯა, არ გამოჩნდა, მხოლოდ გამოსათხოვარი წერილი-აღსარება მისწერა მამაკაცს, ვინც თავზე მეტად უყვარდა. ეს სულისშემძვრელი წერილი გადმოვიწერე ფურცელზე და ჩვეულებისამებრ, ერთ რომელილაც წიგნში სათუთად შევინახე...

ხანი გავიდა... რაც მთავარია, თითქმის ზეპირად ვიცოდი წერილის შინაარსი, ამიტომ ფურცელი არ მიძებნია. ლექციებზე ვიყავი, მამა შუა კვირაში რომ ჩამოვიდა ელთი ხანგოშვილთან ერთად მეურნეობის საქმეზე. ელთი ძია უაღრესად ნაკითხი, ერუდირებული ადამიანი, დიდად კულტურული და საინტერესო მოსაუბრება გახლდათ, ჩემისთანა ღლაპს თქვენობით მომმართავდა ყოველთვის. მოამთავრეს საქმე მამამ და ელთი ძიამ და მივიღნენ ბინაზე, სადაც ოთახს ვქირაობდი. არაჩვეულებრივად კარგი ბინის მეპატრონე მყავდა – კეთილი, ჩემზე მზრუნველი ქალბატონი.

პატივისცემით მიიღო მოულოდნელი სტუმრები ჩემმა დიასახლისმა, ასადილა კიდეც. მე ლექციები დღის მეორე ნახევარში მქონდა იმ პერიოდში, რადგან უნივერსიტეტის მეორე კორპუსს ქიმიის ფაკულტეტის მხრიდან – ლაბორატორიების ფლიგელს ხანდარი გაუზიდა და აღდგენითი სამუშოები მიმდინარეობდა, ქიმიკოსები დროებით ფიზიკოსებსა და ფიზქოლოგებს ვიყავით შეხიზნულნი. ჩემს არყოფნაში მამამ მაგიდაზე დახვავებული წიგნების მიმოხილვა გადაწყვიტა, ელთი ძიამ ალმანახის კითხვა აირჩია და ტახტზე გადაინაცვლა. სულ მახსოვს, მამა ჩუმად, მაგრამ ხმით კითხულობდა საერთოდ, ადრინდელ უფროს თაობაში ბევრისთვის შემიმჩნევია ეს თვისება. მამამ გადამალა, გადაათვალიერა რამდენიმე წიგნი, ერთ-ერთიდან ბარათივით გზავნილი აღმოაჩინა შვილის კალიგრაფიით და «ჩემი საყვარელო»-ს მიმართვით, იმძლავრა მასში ცნობისმოყვარეობამ და შიშმა – გოგო რამე შარში ხომ არაა გახვეული და საერთოდ ვინაა ეს «საყვარელი», მე რომ არა ვარ საქმის კურსში და დაიწყო თურმე კითხვა. ამ დროს მამა ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი იყო, ყველაფერს ვუყვებოდი და ვანდობდი, დედა უფრო მკაცრი და დისტანციური... კითხულობს მამაჩემი სიყვარულის წერილს (რეალობას ის ფაქტი ამძაფრებდა, რომ სახელები არ იყო ბოლოს გარდა მოხსენებული.), ანყდება ვნებითა და გრძნობით გაუდენთილ სტრიქონებს, თან უკვე გადახდილ-განცდილის ასპექტში და კაცი გაგიუბასაა, ეს მისი კრავივით გოგო რაებს ჩადის თურმე. ელთი ძიასაც მიუნებებია ალმანახისთვის თავი და გასუსული, თან გრძნობის სილამაზით მოხიბლული, სუნთქვაშეკრული უსმენს «ვისრამიანის» კონსპირაციულ დოკუმენტს. ალმურმოდებულ მამაჩემს ნერწყვი გაუშრა მღელვარებისგან და კითხვა შეწყვიტა, სული რომ მოეთქვა. ელთი ძიამ იგრძნო არსებული საფრთხე, მაგრამ რომანტიზმოძალებულმა ეს თქვა: – «რა ძალიან ჰყვარებია ეგ ბიჭი, თან როგორი გრძნობით, ესაა ნამდვილი სიყვარული, თუ ღმერთი

მარტინ გარება

მარტინ გარება

გწამს, არაფერი არ აუტეხო გოგოს, არ ეჩხუბო, მოუსმინე ჯერ და ეგ ბიჭიც ნახე ახლოს, დარწმუნებული ვარ კარგი ბიჭია»-ო... მამაჩემმა მაშინდა მოისაზრა, რომ კოლეგამაც გაიგო მისი გოგოს «კაიქალობა» და ბრაზისა თუ სირცხვილისაგან სულ გადაირია, მაგრამ კითხვა მაინც განაგრძო... აპოკალიფსი მაშინ იგრძნო მამამ, როცა სტრიქონებმა სიყვარულის დემონსტრაცია შეწყვიტეს და უფრო დიდი საშინელება ამცნეს... «მე იმდენი რამ დავუშავე ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას, რომ მისი წილი ჰაერის სუნთქვის უფლებაც კი არა მაქს»... მამაჩემსაც აღარ ჰყოფნიდა ჰაერი, გაფითრებულს ცივი ოფლი ასხავდა. ელთი ძიაც, რომანტიკული ეიფორიდან კონკულსიურად გამოვიდა და გაოგნებულმა ისლა მოახერხა მამასთვის მაგიდაზე მდგარი 『ბორჯომი』 ესხურებინა, თორემ დრამა ტრაგედიის სახეს იღებდა... სიტუაცია განიმუხტა, როცა კითხვა გაგრძელდა. – «ბერლინში გავიგე, ნიუარაძემ კედია და მისი დასი გააცურაო, გავიგე და უფრო შემიყვარდი»... სახტად დარჩენილი კაცები ერთმანეთს გაოგნებულნი შეჰყურებდნენ – გვეშველა... დიდება ლმერთს!... გადავრჩით... ეს ლიტერატურულ ფრაგმენტს ჰგავს, არადა, როგორ ვიფიქრეთ... რამ დაგვაჯერა...

გახარებული მამა თავის თავს ეჩხუბებოდა: – ჩემს შვილს ხომ ვიცნობ, რანაირად შემეპარა ეჭვი, რამ მაფიქრებინაო?.... ელთი ძიაც თვითერიტიკაში იყო: – მე მაინც როგორ ვერ მივხვდიო... ინტერესი გაუჩნდათ, გაეგოთ რომელი წიგნიდანაა წერილი და თვითონ ნაწარმოები წაეკითხათ. რომ მოვედი, გამაკვირვეს ხომ ჩამოსვლით, მერე ერთმანეთს რომ არ აცლიდნენ, მეკითხებოდნენ რომელი ნაწარმოებიდანაა წიგნში ნაპოვნი წერილი, რატომაა ჩემი ნაწერი და რა დავმართე ამხელა კაცებს... როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა, სიცილის დრო დაგვიდგა...

სოფელში ჩასვლისთანავე ბიბლიოთეკას მიაშურა ელთი ძიამ, პირველმა წაიკითხა და მამაჩემს გადასცა. დღემდე ახსოვს მამას

ეს ნაწარმოები, მარო კერძელიძისა და პეტრე ნიუარაძის სიყვარულის ისტორია. ჩემი ამბავი კი დავიწყებულია, ვინაიდან უმნიშვნელოა და გულსა და სისხლს არ აჩქროლებს.

წიგნში ნაპოვნმა კუპიურებმა ყმანვილქალური მოგონებები გამიცოცხლა – «ხივათიკა, კრიმიტე, იცენიტე რაბოტუ»... კაბინეტის კარზე აკაკუნებდნენ... მე და გრეფფმა ჩავიბარეთ სარემონტო სამუშაოები, შევაფასეთ ცივი წყლის ნაკადი, «დავაჯილდოვეთ» ენთუზიასტები და ზედა სართულისკენ გზა დავულოცეთ. ბინა საღამომდე ვწმინდე და ვალაგე. შევილები გაოგნებულები აბაზანის ახლებური არაპრეზენტაბელური ინტერიერით, ყურადღებასაც არ მაქცევდნენ უკან რომ დავდევდი კუპიურებით ხელში და ვარკვევდი მფლობელის ვინაობას. მაინც არ მოვეშვი. ბიჭმა თავიდანვე უარყო, გოგომ გაიხსენა, რომ 7 წლის წინ თავის კურსელს ათხოვა იასუნარი კავაბატა და კობო აბე, კურსელმა დაუბრუნა ორივე წიგნი და ალბათ, მას ჩარჩა ფული, სხვა ვერსია გამორიცხულიან. ოლონდ კურსელი სალეხარდიდან იყო, მერე ავსტრალიაში წავიდა სამუშაოდ, იქ გათხოვდა და არაფერი არ ვიცი, ახლა სადაა და მით უმეტეს შენი 3000 მანეთის გამო, მე სად ვეძებო, დაწყნარდიო. მეც ვითომ დავწყნარდი, მაგრამ დაღლაზე და დაკარგულ უქმე დღის ამბავზე ავწუნებულდი. ბიჭმა საქმიანი წინადადება მაჯახა – რესტორანში აღგვედგინა დაკარგული განწყობილება და ეს 3000 მანეთიც იქ გამოგვეყენებინა. შორს არ წავსულვართ, ქართული რესტორანი 『თამადა』 მეზობელ ქუჩაზეა და ჩინებულად გვიმასპინძლა... კიდევ სხვაც ყოფილა ჩემნაირი 『მავნე』 ჩვევით და ამ სხვამ მშვენიერი საღამო მაჩუქა. სანტექნიკოსთა პრიგადასაც ხომ ეკუთვნის მადლობა, კაბინეტში რომ 『მაიძულეს』 მეყურყუტა, საქმით დავკავებულიყვავი, მერე ამ საქმისას წიგნში ფული შემხვედროდა. მადლობა კავაბატას, რომ არა მისი ნაწარმოების მიმართ ინტერესი, ამ წიგნს არ გადავშლიდი. მადლობა თქვენ, რომ

ბერლინი

ბერლინი



გაინტერესებთ და კითხულობთ ჩემს განცდილს, თქვენს გულებს,
რომელთა სიყვარული ამდენს მაწერინებს... ვგრძნობ თქვენს სუ-
ლიერ სიახლოვეს და მიხარია... მაიაკოვსკის სიტყვები მახსენდება:

«...А вы
ноктюрн сыграть
могли бы
на флейте водосточных труб?!»

განვლილ დღეთა პალიტრა, ციფრული პეიზაჟი – ცხოვრებააო,
– იტყვიან!... აბა, მეხსიერებად წოდებული, გონებას შეკედლებული
ტკბილ-მწარე მოგონებები რალაა, ჭეშმარიტად განცდილ დღეთა
ჯამური რეზულტატი თუ ნამდვილად ყოფნ-ყოფის დამოწმებული
ასლი?!... ორიგინალის ფაილი ჩვენშია, გამოცდილებად, ემოციების
დაუსრულებლად გრძელ შლეიფად ქცეული, იხსენებ, იგონებ და
დღევანდელობაც სხვა ფერსა და არომატს იძენს... დგახარ სინათ-
ლის მეციხოვნედ, ერკინები მღვრიე გრძნობებს და თუ ნაღველი
იავარჲყავი, დღესასწაულივით განწყობილებას დააგემოვნებ. აგრე,
შლეიფზე რომ ვიძახდი, «Rouge Hermes» – სუნამოს რამდენიმე წვე-
თი და მონაკოში გატარებული შარშანდელი ზაფხული ცოცხლდე-
ბა, მაჟორულად უტევს ბულგაკოვისეული სიუჟეტით «დადგმულ»
პეტერბურგულ ზამთარს და მის ატრიბუტიკას: ნაცრისფერი თოვ-
ლისა და უღიმდამო სახეების სინქრონს. სასიამოვნო განცდა-მო-
გონებები უყისმათო დღეებსაც კი ექიმბაშობენ, შეძენილ-ნაჩუქარ
ნივთებსა და საგნებს ინსტრუმენტებად იყენებენ, მერე თვალს
გვიპაჭუნებენ და იდუმალ ჩურჩულზე გადადიან: – გამოამზეურე
ჩვენი ისტორიები, ნუ უცდი ზაფხულს და კბილებმეჩერა გვირი-
ლებსო. ფოტოგრაფიები პირველობას იჩემებენ, ნაცნობ სახეებით
მოქარებულ დროს აკონკრეტებენ. ნანას ადგილებს სიმბოლიკა აც-
ოცხლებს – ზუსტად იქაური სუვენირ-მაგნიტებითაა დაჯილდოე-
ბული სამზარეულოს ხაზინა – მაცივრის კარი, რომელიც სწორედ
ამიტომ იყურება ამაყად ტრიუმფალური თაღის ასპექტში. ქალი
ვარ და ტკბილი მიყვარს, მით უმეტეს პეტერბურგში. ქართულ
ნამცხვრებს შავ ხიზილალაზეც კი არ გავცვლი. ალტერნატივად
შოკოლადი ვაღიარე და ხსნა ვპოვე კიდეც – მოსკოვ-პეტერბურგის



შოკოლადის ნაწარმს ჩემი სახით «გრანდმსუსნავი» ჰყავს, თუ არ ჩავთვლით მსოფლიოში ცნობილ «Lindt»-ს, რომელთანაც ღალატი მეპატიება. მარციპანთან მწყრალად ვარ, ამიტომაც ჩემი და «Anton Bergf»-ის სიყვარული არ შედგა. ხელით ნაკეთებ ბელგიურ შოკოლადსაც ადგილზევე უარი «ვუთხარი». სახელდახელოდ ჩემთვის დასხმულ გემრიელ შავ მასაში, ბერლინსა და მიუნხენში, კონდიტერებმა ერთი დიდი პლასტინა მოხალული თხილით გაამდიდრეს, მეორე – მოხალული ნუშით; გააციეს, ლამაზად შემიფუთეს, სამაგიეროდ ქისა გამიღარიბეს და გზა დამილოცეს. პეტერბურგში ყველა, ჩემი ჩავთვლით ნუშსა და თხილს ეტანებოდა, ამოკენკილი შოკოლადის პლასტინები ნამცხვრებში გამოვიყენე და ცხელ კაკაოში. მოკლედ გერმანულმა საგამაც ვერ მომხიბლა. ხელით ნაკეთი შოკოლადი პეტერბურგშიცაა, მართლა არაჩვეულებრივი, საამაყო და თავმოსაწონი გემოთი, იერსახითა და შეფუთვით. ოლონდ მსუსავი ფასი შარავანდედივით ადგას. სამაგიეროდ, საჩუქრად წაუგებელი ვარიანტია – რამდენიმე ცალი, სხვადასხვა შიგთავსით, ლამაზად შეფუთული ფეშქაშად ნებისმიერ ტკბილის მოყვარულ ნაცნობს, ნათესავს, მეგობარს, თანამშრომელს ისე ასიამოვნებს და დაატკბობს, რომ ენდოფინებით სავსე სული ღიმილად, სიკეთედ და სიყვარულად დაიღვრება. აბა, აბაა, ახლა მოემზადეთ, ჩემთან ერთად მოგინევთ მგზავრობა... დროში! თუ ნერწყვი მოგერიათ, მით უკეთესი – ნერწყვი და ტკბილი ასოციაციები სანვავად გამოგადგებათ, რადგან ჩვენი მარშრუტი მწარეა და შორეული...

2000 წელია, შვილები დაწყებითი კლასების მოსწავლეები არიან, – გოგო გიმნაზიაში სწავლობს, ბიჭი მუნიციპალურ-ექსპერიმენტულ სკოლაში, სახლიდან საკმაოდ შორს. შუადღისას გოგო მომყავს სახლში, პიკის საათის მერე ბიჭი. შემოდგომის მიწურულს ადრე ღამდება ისედაც მზეს დანატრებულ ქალაქში, ხოლო თუ წვიმამაც წამოურია, ლანჩისას უკვე სიბნელე შემოკრთება სარკმელში.

ეს ისტორია განცდილი და დავიწყებულიც იყო, მაგრამ წარსული აწმყოს დაესესხა ჩემს უკითხავად და დეტალების გახსენება მომისაჯა. როგორც კინოსამყაროს მუშაკი «Flashbask» – ივით კვლავ ვაგრძელებ. ბიჭი 8 წლისაა, გამოვიყვანე სკოლიდან, ეზოები გადმოვჭრით, ცენტრალურ ქუჩასთან გამოვედით და ტროტუარზე გავჩერდით – გამვლელი რომელიმე მანქანის გაჩერების მიზნით და იმედით. ვდგავართ, ვიბუზებით სიცივისაგან, ვბუზლუნებთ, ვწუნუნებთ, ვიმედოვნებთ რომ ან ეს მანქანა გაგვიჩერებს ან ის. მანქანების ნაკადი უმოწყალოდ ცდილობს, ხახადაფჩენილ სიბნელეს შეგვატოვოს... როგორც იქნა, ერთი გაჩერდა «ჟიგული»-ს მარკის ავტომობილი, დამთანხმდა მარშრუტზეც და თანხაზეც. საერთოდ, ავტომობილში უკანა სავარძელში ვჯდები (რაიკომის მდივანივით), მაგრამ კარი რომ გავადე, იქ ყუთი დავინახე, ამიტომ ბიჭი დავსვი, მისი პორტფელი გვერდით დავუდე, მე კიდევ წინ, მძღოლთან მომიწია დაჯდომა. რაღაც ნევროზულად, დაუნანებლად მართავდა მანქანას, თავისთვის ხანდახან ჩაიბუზლუნებდა ხოლმე.

ეს რა არაადეკვატური სიურპრიზი შეგვხვდა-მეთქი – ვფიქრობდი. შუქნიშანთან ისე უხეშად დაამუხრუჭა, რომ გავპრაზდი, მაგრამ მაინც დელიკატურად მოვუწოდე ფრთხილად, ზომიერად ეარა. თითქოსდა ელოდა, თითქოს მიზეზს ეძებდა, საბაბი უნდოდა რომ დებთის კასრივით აფეთქებულიყუ და აფეთქდა კიდეც – «что, не нравится вождение?... Какие вы важные, с претензиями... Избалованные жизнью... Таким всегда плевать на других, на их беду и боль... Вот я, с огромными проблемами, да ещё такими, что жить не хочу... Понимаете не хочу... Может я специально вожу машину так, чтобы удариться и завершить эту паршивую жизнь... Хотя могу вас грохнуть, ограбить, но не делаю этого... Поэтому сидите и помалкивайте ... Вам все равно со мной ехать живым или мертвым» – ვიგრძენი, საფრთხეში მოვხვდი, თან შვილთან ერთად. რა უნდა



მექნა! – გონებაში ციებ-ცხელებით გეგმა დაიბადა – ფსიქოლოგის როლი მექისრა და დრო გამეყვანა, სანამ მანძილი სახლამდე მნიშვნელოვანი იყო. საბედნიეროდ, ჩვენი ვაი-მძღოლი – ვაი-ადამიანი მარშრუტს სწორად მიჰყვებოდა.

ფრთხილად, თანაგრძნობით ვკითხე თუ რა აწუხებდა. აღმოჩნდა, რომ სამთო-საინჟინრო განათლება ჰქონდა, 4 წელია დაქორწინდა, ცოლს შვილი ჯერ არ უნდა, ახალგაზრდობა ვიგრძნოთ; ცოლი მომთხოვნი აღმოჩნდა – კარგი ჩაცმა, კვირადლეს რესტორანი, კურორტები, საჩუქრები უნდოდა – ინჟინრის ხელფასით კი ცოლს ვერ ასიამოვნებდა; ამიტომ სხვა სამუშაოზე გადავიდა, თან დამატებით პორტში მუშაობს ფიზიკურად. ძალიან იღლება, სმაც დაიწყო, ბევრს ეწევა, წონაშიც დაიკლო. ცოლი მუდმივად წარუმატებლობაში ადანაშაულებდა. ამიტომ ცოლის სურვილით კერძო ფირმისაგან აიღო კრედიტი (დღევანდელი კურსით სადღაც 2000 \$); სანამ პროცენტებს იხდიდა, ბიზნესი წამგებიანი აღმოჩნდა. ახლა დასაფარი აქვს დარჩენილი თანხა, ემუქრებიან, მოხუცი დედამისიც კი გააფრთხილეს. რაც შეუძლია, ყველაფერს ცდილობს. აგრე, ყუთში ტელევიზორია, არ ეყიდება...

ეს მონოლოგი მიდიოდა საშინელი ნევროზული სიმპტომების აკომპანიმენტით, კი არ მივდიოდით, მივქროდით, თითოეულ წინა-დადებას გინებას არ აკლებდა; ყველა და ყველაფერი ეზიზლებოდა – ხალხი, ღიმილიანი სახეები, გათენება, სიცოცხლე...

სიმართლე გითხრათ, იმ დღეს მე თვითონ საშინელ განწყობაზე ვიყავი, ნაღვლიანი და დაღლილი. დედა უკვე გარდაცვლილი იყო, ახლად დაქვრივებული მამა – ორი პატარათი; ჩეჩენითის ომს გამორიდებული ძმის ოჯახი ცალკე გაჭირვებაში, ნაოპერაციები რძალი; ქმრის «გასტროლები» ამ სევდიანი სურათის ფონზე ...

იმ წუთებში ყველაფერი გამახსენდა – ამოვთქვი და, რა ამოვთქვი – ჩემი ყოფა ხომ ამოვიტირე, მერე ის ვუსაყვედურე,

რომ როგორ შეიძლება მერკანტილური, უთავო ცოლის მიერ დაქცეულმა კაცმა ასე მოიძულო და გაწირო საკუთარი თავი, მოხუცი დედა, როცა საყვარელ ადამიანებს სხვები ვმარხავთ; როცა არ გვიხარია და მაინც ვცხოვრობთ, რომ ყველა სინამდვილეში ბედნიერია, რადგან გამოსავალი მხოლოდ კუბოდან არ ჩანს; რომ მე თვითონ, მაქვს მომენტები – სული კბილით მიჭირავს, მაგრამ მადლობელი ვარ უფლისა ყოველი დღისთვის, რადგან შვილების გვერდით ვარ. ვტიროდი კიდეც, ვუყვიროდი კიდეც... მძღოლი შოქში ჩავარდა, იქით შევეცოდე, მაწყნარებდა. მერე მოულოდნელად მკითხა: – მირჩით, რა გზას დავადგეო? ნამტირალევი ხმით ვუთხარი: – დედასთან გადადი საცხოვრებლად, ცოლის დაფინანსება შეწყვიტე, სამწუხაროდ შენი შესაფერი ქალი არ ჩანს. ხელფასი, სხვა ნამუშევარი თანხა, მეგობრებში-ნაცნობებში. კაპიკ-კაპიკადაც რომ მოიძიო, ესესხო, ეს ყველაფერი შეერიბო, კი გექნება თანხა და სულ მოკლე ხანში დაფარავ სესხს; სთხოვე ფირმას, იქნებ კიდევ გადროვონ... დარწმუნებული ვარ, შეძლებ, რაღა დაგრჩა (სადღაც 700\$ – მდე იყო კიდევ დარჩენილი); მანქანა სიდედრის აღმოჩნდა... არ დაუბრუნო ჯერ, იტაქსავე-მეთქი – ვუთხარი; იფიქრე დიაბეტიან დედაზე და საკუთარ მომავალზე, ცხოვრება წინა გაქვს – დავამთავრე რჩევები და შვილმა მითხრა: – ჩვენი ქუჩააო. ჩანთაში სასწრაფოდ ვალიდოლი მოვძებნე გული რომ გამემაგრებინა, სახლთან რომ შეგჩერდით, ფული გავუნდე. მკაცრად შემომხედა: – «может мы вежливость потеряли, но не достоинство» – მითხრა და, არაფრის დიდებით არ გამომართვა – «не грустите, все изменится к лучшему... Все поправится» – დაამატა, დაგვემვიდობა და წავიდა...

ჩემი შვილი, ამ უცნაური სპექტაკლის უნებლიერ მონაწილე, კიდევ კარგ ჭკუაზე იყო – «ему просто не повезло в любви»-ო, – მოზრდილივით აღნიშნა და მეტად ეს შემთხვევა არასდროს უხსენებია. მე კი ხშირად მახსენდებოდა ხოლმე...

სამართლებრივი სამსახური

სამართლებრივი სამსახური

მას შემდეგ უამრავმა წყალმა ჩაიარა, ანკარამაც და მღვრიემაც. ჰოდა, ამ წლის იანვრის დასასრულს სცენარისტს უნდა შევხვედროდი, რედაქტირებული მასალის ვარიანტის გადასაცემად, რადგან სამუშაო «ემეილში» ვირუსი ბოგინობდა. არ ვიცოდი, რომ რუბინ-შტეინის ქუჩაზე არსებობს კაფე «სчастье» და სცენარისტმა, რომელიც იქვე სადღაც ახლომახლო ცხოვრობდა, ამ კაფეში დამითქვა შეხვედრა. ძალიან პუნქტუალური გახლავართ, დროს ვგრძნობ და ვაფასებ უაღრესად. ცოტა ხნით ადრეც კი მივედი, მწვანე ჩაი შევუკეთე და სცენარისტის ლოდინში კაფეს თვალი მიმოვავლე. შუადღე იყო, მხოლოდ ორი მაგიდა იყო შევსებული. ოფიციანტმა, ჩემი მარტოყოფნა საფირმო შოკოლადით გამოაკეთა – საკუთარი წარმოებისააო – დაიკვეხნა და პატარა თეფშზე, მართკუთხა პარალელური ფორმის შავ ქალალდში გამოკვართული შოკოლადი დამიღო, წარწერით «სчастье». ხუგბარი სასწრაფოდ «ავითვისე». მე, როგორც შოკოლადის გურმანმა, შეფასების ათბალიანი სისტემიდან, შოკოლადი 10 ქულით შევაფასე და გადავწყვიტე, შეხვედრის ბოლოს შემეძინა რამდენიმე ცალი. აქვე მოგახსენებთ, რომ ცალი დაახლოებით 2\$ ლირდა. შავი «სчастье», რომელიც გავსინჯვე, რბილი გრილიაჟივითაა, ოლონდ ზღვის მარილითაა შეკმაზული და ყვავილი რომაა «василёк», იმის ფურცლებსაც კი შეიცავს; ფანტასტიური გემო და შეგრძნებაა; მწვანე «სчастье»-ში ჯანჯაფილი ურევია (იმბირ), ისიც უგემრიელესი; მოკლედ, 2 შავი და 2 მწვანე «სчастье» უნდა წამელო სახლში. ისეთ მშვენიერ განწყობაზე დავდექი, სცენარისტის დაგვიანებასაც კი აღარ განვიცდიდი. მარტო უცნაური შეგრძნება მეუფლებობდა, თითქოსდა ვიღაცა თვალებით მჭამდა. კაფე კვლავ დავლაშქრე მზერით. ერთ-ერთ მაგიდასთან ეტყობოდა, რომ ოჯახი იჯდა: – სანდო სახის ქალი, ბავშვი ხატავდა, კაცი კი... კაცი თვალს არ მაცილებდა. შევცბი, ჯერ შემრცხვა, მერე გავპრაზდი. სანამ თავდახრილი ტელეფონში სცენარისტის

ნომერს ვეძებდი, ჩემს მაგიდას ჩრდილი მოადგა – «Здравствуйте» – გავიგონე. ავიხედე – კაცი უცნაური მოწინებით ცდილობდა გამსაუბრებოდა: – «простите, вы случайно не на Звездной улице живете или жили ?» დავიზაფრე, მაგრამ შიში არ შევიმჩნიე და რიხით ვუპასუხე: – Да?! გაუხარდა, – «простите Бога ради ещé раз, но может вы вспомните безумца, который вас с мальчиком возил на стареньком Жигули и не на шутку напугал вас? «Ес უკვე დაზაფვრაზე მეტი იყო, მეხსიერებამ ლამის იკივლა – «Да, помню» – მახსოვს ძლივს ამოვილუდლულე. კაცი მუხლებზე დაეშვა: – «этот безумец я ... Я запомнил вас... Вы так помогли меня... Образумили, спасли Спасибо вам огромное, спасибо и простите ради Бога, очень прошу прощите». კაცი ტიროდა, ბავშვმა ხატვა შეწყვიტა და მამისკენ წამოვიდა, მოეხვია, თან გაკვირვებული მე მიყურებდა. შოკირებულმა მაგიდასთან დარჩენილ ქალს გავხედე – ისიც ტიროდა. ოფიციანტები გაქვავდნენ, მეორე მაგიდაზე მსხდარი ახალგაზრდები გაოგნდნენ; დარწმუნებული ვარ სცენარისტი ლენაც, რომლის შემოსვლაც ვერ გავიგე, შეშინებული აკვროდა კედელს; ჩემს მდგომარეობაზე კი რა მოგახსენოთ – ერთი სიცოცხლე გავათავე (ტირილით მერე, სახლში ვიტირე, შვილებს რომ ვუამბობდი).

ვიცი, თქვენც აგეტირათ ჩემო კარგებო, მაპატიეთ ამისთვის. აქვე გაგახარებთ: – ანტონი, (ასე ჰქექევია), გაშორებულა ცოლს, ვალი მალევე დაუფარავს, სტენოკარდის შეტევით კლინიკაში მოხვედრილა; იქ მკურნალობისას გაუცვნია ექიმი – კარდიოლოგი ლიდა, რომელზეც იქორნინა (ზუსტად ლიდა იყო მაგიდასთან მჯდარი სანდომიანი ქალი), ჰყავთ ორი შვილი, 10 წლის ბიჭი და 6 წლის გოგონა (ბებიასთანაა ახლა სტუმრადო); თვითონ ანტონი ელექტროკონვაციების, თან რთულ კომუნიკაციებზე ერთ-ერთ მსხვილ კომპანიაში. ცხოვრებით კმაყოფილია, ოჯახით ბედნიერი; კარგი მანქანა ჰუნდაი ჰყავს, მალე სხვას შეიძენს და ამას ცოლს





აჩუქებს. ამ მონოლოგს უკვე ჩვენს მაგიდასთან მჯდომი სცენარ-ისტი ლენაც უსმენდა (მერე მითხრა, რომელიმე სიუჟეტში ჩავრ-თავ – იცოდეთ). ცოლმაც მომიხადა მადლობა. მათ ყურებამდე განითლებული, დარცხვენილი დავემშვიდობე. მე და ლენა ერთხ-ანს კიდევ ვისხედით. ახლა მას ვუყვებოდი 17 წლის წინანდელ ამბავს. ისე შევყევით, ლამის სცენარის მოცემა დაავიწყდა. წა-მოსვლისას ოფიციანტს შევახსენე: – «ჩემი შერჩეული 4 «счастье» შემიფუთეთ და ქვითარიც მოაყოლეთ, გადავიხდი, უკვე მივდივარ-მეთქი». ოფიციანტი მალევე დაბრუნდა, ოღონდ დიდი ყუთით და კმაყოფილი სახით გამომიცხადა: – «это для вас, просили передать ... Ничего платить не надо, все уже оплачено, и ваш стол тоже, и чаевые оставили»... Мы желаем счастья вам». გადავირიე, ყუთში 24 ცალი, ყველანაირი «счастье» იდო – ორ ფენად...

ეს გრძელი ისტორია დღეს იმ ყუთში დარჩენილმა ბოლო შო-კოლადმა დამაწერინა, მაგრამ ამით ბედნიერება არ მთავრდება, მთავარია ბედნიერების ფასი ვიცოდეთ (Счастье это – когда нет несчастье Галина Вышневская)...



დავინახე თუ არა, სუნთქვა შემეკრა...

ძველი დრო გამახსენდა, ჩემი თავი – უფრო ახალგაზრდული სახით, მეოცნებე მზერით, სულ ახლად ჩამოთხელებული ტანით... არადა, მაშინაც ასეთი დღე იყო – მოღრუბლული, თოვლითა და მოსისინე ქარის კანტატით ავსებული. გამახსენდა ჩემი პირველი ვიზიტი ევროპაში, ჰელსინკი... იქ შემხვდა, იქ ვნახე; მომხიბლა, უცბად შემაყვარა თავი, მერე პეტერბურგში ჩამოვიდა და, დარჩა, რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. მახსოვს, სულ სამჯერ გავისეირ-ნეთ, დავენახეთ ხალხს, მეგობრებს. ოჯახი მშვიდად შეხვდა, ახ-ისა და უხ-ის გარეშე, ჩვენ კი ვლაშქრავდით გზებს ბედნიერნი, კმაყ-ოფილნი, მხიარულნი. მერე პეტერბურგული გაზაფხული დადგა – მოულოდნელად თბილი, მეტისმეტად მზიანი და ჩვენს შორის შავმა კატა გაირბინა, გავიყარენით ყოველგვარი დანანების გარ-ეშე, თითქოს ასე იყო საჭირო. შევთანხმდით, ტაიმ-აუტი აგველო შემდეგ ზამთრამდე. დარწმუნებული იყო, არსად წაუკიდოდი.

ჰმ, მერყევი აღმოჩნდა ჩემი ბუნება, ხედვამ და განწყობილებამ მოილაპარაკეს და უმონყალოდ მირჩიეს ცოტა ხნით მიმეტოვებინა. მივატოვე, როგორც აღმოჩნდა – «на всю вечность». დრომ არ მაპა-ტია – ნაოჭები შემმატა, თმაში ვერცხლი გამიჩინა, შემოდგომა მომაყენა. მის მხრიდან ამაყი დუმილი იდგა, მოლოდინში განვ-ლილი წლების სიმკაცრე. ამასწინათ მეგობარმა დამირეკა აგარაკი-დან. ეტყობა, ერთდროულად შემოგვაწვა ორივეს ურთიერთმონა-ტრების სევდა, რადგან გავიფიქრე თუ არა, ტელეფონის ზარიც გა-ისმა. ქალებს სალაპარაკოს რა გამოულევს... ჰოდა, ამ თემატურად უკიდეგანო საუბარში მეგობარმა ტყვიასავით მესროლა: – გირჩევ ნახო, არ ინანებო.





ღამე ვერ მოვისვენე, ვფიქრობდი – გავუგებთ და მოვუხდებ-ით კიდევ ერთმანეთს ამდენი ხნის შემდეგ?! გავტედე... მყისიერად მიცნო, გავწითლდი, ის გაშავდა. მიყურებდა... ხმა არ ამოულია, მაგრამ «დამიბრუნდით» – მაინც გავიგონე... «ტანზეც არ შეცვ-ლილხარო» – არ უთქვამს, მე კი ესეც გავიგონე... ჩავეკარით ერთმანეთს... შემომეხვია თუ არა, გავთბი, სასიამოვნო შეგრძნება დამეუფლა. ადრე ვგრძნობდი მის სიმძიმეს, მხრები მელლებოდა, ახლა მემჩატა, ეტყობა მე გავძლიერდი, თორემ მასში ცვლილება ვერ დავინახე. ისეთივე შავი და ბრიალა, ხავერდოვნად ალერსიანი, გაუცრეცელი. გახარებული რამდენჯერმე შემოვტრიალდი სარკის წინ, სარკემ «ტანწერწეტად» გამომაცხადა, ქუსლებიანმა ჩექმამ გაალამაზა ნაცნობი სილუეტი. მეგობარი ღიმილით გვილოცავდა ურთიერთობის განახლებას. სახლში ერთად დავბრუნდით, დილით კი ქიმწმენდაში გავაქანე, მშრალად მოვუყევი ჩვენი «I love story» და ვთხოვე, განსაკუთრებულად ფაქიზად მოქცეოდნენ. დამპირდნენ ... შეასრულეს... ახლა ისევ საოცრად ბზინავს, ჩახუჭუჭებული კულულები თავს იწონებენ და კოცნას მიგზავნიან. ახალი ღილები ვაჩუქე, მოდური ქამარი შემოვუჭირე, თავზე ბერეტი დავისკუპე და a-lia Dior-ის სტილში გავიჩითეთ. ანი კი ვიქნებით ერთად, ისედაც 16 წელი იცხოვრა მეგობრის აგარაკზე, ეყო უჩემობა. მადლობა მეგობარს, პენი არ დაუკარგა, არ დაჩაგრა, ასუნთქებდა ჰერს, ამზეურებდა... ამბობენ არქტიკული ზამთარი გველისო, სულ არ მეშინია – ისეთი დათბუნებული სარჩული აქვს, ჩემს შეციებას არ დაუშვებს. მელამაზება, მეთბილება და ახლად მოაქვს თავი. ხომ იცით, ყველაფერი ახალი საქმაოდ დავიწყებული ძველია...

მოგართვით საახალწლო ამბავი – მე და ჩემი კარაკულის ქურქი, ჰელინები შეძნილი, ჩვენი «სიყვარულის» ისტორია!..

აბა, თქვენ რა იფიქრეთ, რა გეგონათ?!

გაგელიმათ არა?!



ის ზაფხული მართლაც საუცხოო იყო, ცხელი, ჭრელი და «გემ-რიელი», სტეპიდან დაწყებული, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ლა-ზურულ სანაპიროზე დამთავრებული... ტალღებთან გამიჯნურებული ქარი, მზეს შეჭიდული წვიმის ბომბორა ღრუბლები, ბუფალო მაცარელასთან ჩემი ალიანსი, სათვალით შენიღბული ცნობის-მოვარეობა პატრიციების გარემოცვაში. აქ ყოველთვის თეთრი ფერი ნავარდობს, გარუჯულ სხეულს ოდას უწერს და ავანგარდულად დარდიმანდობს – «ბონ უურ მადამ»-«ბონ უურ მესიე» – ვიძირებით ყალბ ღიმილში მე და კაფეს მეპატრონე.

დალახვროს ეშმაკმა, არადა, ყალბი ღიმილი მაინც ჯობია წარბშეერულ სახეს. განა ტყუილადაა ნათქვამი: – «у иностранцев фальшивая улыбка, у русских правдивая ненависть». ორი კრუასანი და მისი ჯანი, ყავას მე არ ვსვამ, გაგანია სიცხეში მწვანე ჩაით ვემუქრები ხვატს, თან პრომენადის დალამქვრა მაქვს გეგმაში. ჩავუარე ბორცვს, რომელზედაც ჯაზური მუსიკის ფესტივალი იმართება ხოლმე და დაინყო თავდავიწყება – მოვიარე სანაყინები და ვინტაჟური სამოსელის პატარ-პატარა ბუტიკები. ნახევარი დღე შემომელია, მზე ზენიტს რომ გადმოსცდა, მე ფეხსაცმელების სა-მყაროში მოვხვდი, ტერასიდანვე «შემიტყუეს ლამაზ-ლამაზმა ბაჩიებმა, შევყევი-შევერიე კლიენტთა ნაკადს დაჯექი-გაისინჯე-ადექ-ის რეჟიმში. რაღაც მომენტში ჩანთაზე მსუბუქი ზენოლა ვიგრძენი – დიახ, დიახ, რაც გაიფიქრეთ, ის მოხდა... ზღვისპირა ქალაქები-სთვის ბანალური ისტორიაა: დამაშე, ჩემმა ჩანთამ ვიღაც აც-დუნა. არადა, ამ შობინგში კინკილა ათი ევრო დამრჩა, რაღა იყო მოსაპარი? მხოლოდ საფულე, ნაჩუქარი და ძვირფასი. ქურდთან დიალოგის «ონ-ლაინში» ასე წარიმართა: – შეშინებული ჩავეჭიდე





ჩანთას და დაბნეულმა ჩუმად, მაქსიმალური სიმშვიდით ვუთხარი ქართულად (ვერ აგიხსნით რატომ, მისტიკა): – არა გრცხვენიათ? ჩემი მძარცველი გაფითრდა... პაუზა... «მაპატიეთ» – მომესმა პასუხად. ახლა უკვე მე ვისუნთქავდი პაერს ღრმად. ნაცნობებივით ვიდექით – «განა რამეს იპოვნიდით, 10 ევრო მიგდია მხოლოდ, გნებავთ გაჩუქებთ» – ვუთხარი დარცხვენით. – «მაპატიეთ» – კიდევ გამიმეორა და გამცილდა, კვლავ მყიდველებს შუა დაიკარგა. მე დავრჩი, ვისინჯავდი, ვიზომავდი. ერთ ხანს კიდევ მომეჩვენა, რომ ჩანთას შეეხნენ, მაგრამ საფულე თავის ადგილზე იყო და რაზე უნდა მენერვიულა?! გამოსვლისას კვლავ შემხვდა, თითქოს სპეციალურად, თითქოს მელოდა. – «კარგად ბრძანდებოდეთ», – რაღაცნაირი მოწინებით მითხრა. «გმადლობთ, თქვენც»-ვუპასუხე. პრომენადი ბოლომდე დავლაშქრე, მომშივდა, პატარა რესტორანში შევედი ბოსტნეულის უბრალო სალათი მინდოდა, სადღაც 9-10 ევროს ფარგლებში. საფულე რომ ვნახე, გავშრი ზემოდან 50 ევროიანი კუპიურა იდო. შეკვეთის მომლოდინე ოფიციანტს ბოდიში მოვუხადე, გადავიფიქრე-მეთქი.

ყელში ბურთი მედგა, მეტირებოდა... რატომ, რატომ გააკეთა, რატომ?!.... დღემდე ვფიქრობ... არის რაღაც, რაც მხოლოდ ქართველს ახასიათებს, წესიერსაცა და გზააცდენილსაც...

იმ ფულით მერე რომანო რიჩის სუნამო ვიყიდე «ჯულიეტა პისტოლეტით» ოქროსფერი ვერსია... «Juliette has a gun»...

მძივივით აკინძული დღეები, მშვიდი, «მთვლემარე» სამუშაო კვირა, საკუთარი გემოვნებით «შეკმაზული» განწყობილება და «უიკ-ენდი», ყოფა-ცხოვრება მთელი სიმშვენირით; მე და ჩემი «შემოდგომის სონატა». ის შაბათი რომ დინამიკური იქნებოდა, ცელქი და თავგადასავლიანი, დილითვე მივხვდი. ჯერ იყო და, მზის სხივებმა მიპოვნეს-დამაშუქეს-გამაღვიძეს (არადა, პეტერბურგში მზის გამოჩენა სასწაულია); მერე «პიტერ-fm» გადმოსცემდა ჩემს საყვარელ სიმღერას და საუზმე იქცა – «The king breakfast»; მოულოდნელად, სულ რომ აღარ მქონდა იმედი, მომართვეს მოსაწვევი ყველაზე მაგარი ადვოკატის, ალექსანდრე დობროვინსკის დახურული შეხვედრისა თაყვანისმცემლებთან სასტუმრო «ასტორია»-ში (ამ კაცის ნიჭა და გემოვნებაზე ვგიუდები); კიდევ აღმოჩნდა, რომ თითქმის «გარდაცვლილი» ორქიდეა გაყვავდა (მისტიკაა ნამდვილად); მთავარი კი ის არის, რომ ბატონმა ქმარმა სუპერმარკეტში სანოვაგის საყიდლად ერთობლივი წასვლა შემომთავაზა. წავედით. მისი სურვილით, მისი (ჩვენი) მანქანით, მისი საყვარელი სალათების, ჩემი არასაყვარელი საყოფაცხოვრებო-ქიმიური საშუალებების საყიდლად. ეს ოფიციალური ვერსიით! სინამდვილეში, ბატონი ქმარი თავგადაკლულად, ფანატიკურად შეყვარებულია თევზაობაზე და სათევზაო ინვენტარს გულგრილად ვერასოდეს ვერ ჩაუვლის. იმ სუპერმარკეტში კი ამ ინვენტარის დიდი სექციაა, თან კვირადღე მოდიოდა – თევზაობის დღე. სუპერმარკეტში ერთმანეთს დავცილდით და სალაროსთან შევხვედრა დავთქვით. მას სალათები უნდა ეყიდა (მეტი არა ჩემი მტერი), მე – რაც მჭირდებოდა (მე-ეს ოჯახია). ვიარე, ავავსე გორგოლაჭებიანი კალათა, შვილებს ვურეკე – რა უნდოდათ, როგორც ყოველთვის, მათ



არაფერი არ უნდოდათ. ჩავდექი სალაროსთან რიგში და დავურეკე ბატონთა ბატონს. ამაოდ... არავინ მპასუხობს. 19-ჯერ რომ დარე-კავ და არ გიპასუხებენ, მირჩიეთ, როგორ უნდა მოვირგო სახეზე ლიმილი, ან ხმაში ხავერდოვნება?! წინასწარ განყნარებთ ყველას, ვინც ახლა განიცდის ჩემს ყოფას სალაროსთან გადახდის ლოდინ-ში დატვირთული სანოვაგით, ბატონი ქმრის საფულე მე დამრჩა, რადგან მას ხელში არაფრის დაჭერა არ უყვარს. ჩემს ხელჩანთას კი საფულესთვის ადგილი როგორ დაენანებოდა. ასე რომ, პოტენ-ციური გადამხდელი ნამდვილად მე ვიყავი, მაგრამ რა უბედურებაა – ელოდო ამდენი ხანი, ურკო, ექებო იმხელა სუპერმარკეტში, მათ შორის სათევზაო ინვენტარის მყიდველთა შორის, იქაც ვერ იპოვო, წახვიდე და სალათებიც შენ იყიდო, თავიდან ჩადგე რიგში სალაროსთან; კიდევ ურკო, მერე შეუკურთხო და გამოხვიდე სამი მძიმე პარკით, გაიტიალო ისედაც გატიალებული ხერხემალი; ასეთ სამხედრო-საველე ჰირობებში გადარჩენილი სულმოუთქმელად გაეშურო მანქანისაკენ, იმის იმედით, რომ ბატონმა რაც უნდოდა, საკრედიტო ბარათით შეიძინა, ზის სალონში, გართულია ნავაჭ-რის აღქმით და თან ელოდება მიხვედრილ, გამგებ, გულთმისან მეუღლეს. გავაღე მანქანის კარი და გაბრაზებულ-გადაქანცულმა სამივე პარკი რიგრიგობით «შევყარე», თან მეც მივყევი. მომკალით ახლა და ქართულად ვერ ვიხსენებ «ციდენია»-ს მნიშვნელობას... მოკლედ, უკანა «ციდენია»-ზე ვითქვამ სულს – და სადაა კაცი?! კაცი არაა!. აღვშფოთდი: – «მოხვალ სახლში ამხანაგი ჭიპილია»... უცბად საშინელი ჩხავილი გაისმა და თვალწინ შავი ღრუბელივით არსება აისვეტა, უფრო სწორად, სახეში მწვდა, ძლივს მოვასწარი ხელჩანთის აფარება. კატა! შავი, გრძელებენვიანი, კაპასი. ეს კატა საიდანლა გაჩინდა-მეტეი, – ვფირობ, თან გამწარებული ვიგერიებ. ამ უხმლო ომში ვაი-ვაგლახით ვიმძლავრე, გავაღე მანქანის კარი და მივაბარე ქუჩას ჩემი მეტოქე. გაოგნებული და დაღლილი ვიყ-

ურები მანქანის სარკმელიდან, – მოდის თუ არ მოდის ამხანაგი ჭიპილია ბოლოსდაბოლოს. თქვენ წარმოიდგინეთ, მოდის, ოღონდ ჩემკენ და ჩემთან კი არ მოდის, არამედ მიდის სხვა მხარეს. მეს-მის, სადღაც ახლოს როგორ ფუნქციონირებს სიგნალიზაციის გას-ალები და სალონში ვიწყებ კონვულსიურ ექსკურსიას. სალონი ღია კრემისფერი ტყავითა, ჩვენი ღია ნაცრისფერია, წინ მძღოლის ადგილას აწყვია სიგარეტის კოლოფები «winston», ბატონი ქმარი მხოლოდ თეთრ «მარლბორო»-ს ენევა, კიდევ ალექსანდრე როზემ-ბაუმის სიმღერების დისკები, ჩვენი კაცი როზემბაუმს ვერ იტანს. სად ვარ ახლა მე?! ჭირისა და შიშის ოფლი ერთნაირად მასხამდა, როცა ის სამი მძიმე პარკი ბუმბულივით მემჩატა და კენიელი მორ-ბენალივით გავქანდი ჩვენი მანქანისკენ, რომლის საბარგულში ბა-ტონი ჭიპილია კონსპირაციულად ცდილობდა ანკესების ჩამალვას. მღელვარებისაგან ძლივს ამოვთქვი: – ბიჭო, სადა ხარ, ყურმილს რატომ არ იღებ-მეთქი?!

– შევყევი ანკესების არჩევას, მერე ელექტროინვენტარის სე-ქციაში გადავინაცვლე, მობილური თურმე მანქანაში დამრჩენიაო.

დებატების თავი არ მქონდა, მთელი გზა მარტო იმას ვფირობ-დი, რომ შემთხვევითობას საკმაოდ ზუსტი სქემა გააჩნია. აბა, თუ ასე არაა, მაშინ როგორ დარჩა იმ ვიღაც დალოცვილს მანქანა ჩაუკეტავი, ან მეც რომ დაჯერებით გამოვალე უმძღოლო მანქანის კარები, ფირმა და მოდელის ანალოგიურობამ გამაბრიყვა; ქუჩაში გავუშვი სხვისი კატა და სანაცვლოდ ჩემი სუნამოს სუნი დავტოვე. ბატონ ქმარს გვიანდა ვამცნე ეს ამბავი და... კატა შეეცოდა. მე კი ერთი რამ ვიცი – განკითხვის დღეს, ის კატა ჩემ წინააღმდეგ მისცემს ჩვენებას უზენაესს, თუ მართლაც ვაი და მანქანასთან ველარ დაბრუნდა....

მარტოვაც

მარტოვაც



მშვენიერ დღეთა რიცხვში ჩავწერე...

დარწმუნებული ვარ ზეციურ კანცელარიაში მოღვაწე ბეჭის გამგებელიც ასე ფიქრობდა. დეკემბერში სულ ვაწყდები ასეთ «ხუმრობებს», არ მიკვირს. თორმეტი პორცია ხიბლი გვამხნევებს და ლამაზი ფინალით გვასაჩუქრებს. მიყვარს ეს თვე – გემრიელად ჩაციებული, ფერადი და სურნელოვანი, შრომაჩატეული წლის მქუხარე ეპილოგი.

თავისებურად მკაცრია დეკემბერი, ვითომ კეთილი ზრახვები ამოძრავებს, არადა, გვცდის, რა შევძელით და რა შეგვიძლია, წუნუნი გვიყვარს, თუ ლილინი, ვნანობთ თუ ვამაყობთ. 31-მდე ჟანდარმის როლს ასრულებს, მერე გვაპატიებს წარუმატებელ საქმეებსა და ნებისმიერ შემთხვევაში, საუკეთესო სურვილებითა და დადებითი რეკომენდაციებით გადაგვცემს მეფე იანვარს! დიდსულოვანი თვეა დეკემბერი – ზომიერად დიდგული, სასარგებლოდ «მავნე», მისი მავნეობა მაშინ გამოჩნდა, თოვლი და ყინულიანი წვიმა ერთმანეთში რომ აურია და საეჭვოდ განწყობილი დღე წამომასურა. ასეთ ამინდში ვუფრთხი ტრანსფერულ ავიარეისებს, მაგრამ სურვილებისა და კაპრიზების დრო აღარ იყო; სანკტ-პეტერბურგი-მოსკოვი-მინერალური წყლების ავიაბილეთი უკვე ავად იღრინებოდა. მობილურმაც შემაფუცხუნა – 15 წუთში ტაქსი მომაკითხავდა აეროპორტში წასაყვანად.

მომაკითხა კიდეც კატაფალკის მსგავსმა შავმა მანქანამ, გასისინებულ-გარეცხილმა, ნომრით «666». ტიტუუ, ეს მინდოდა ის-ედაც უპერსპექტივო ამინდის ფონზე? – გულიანად ვუსაყვედურე ტაქსომოტორპარკს, სასწრაფოდ მოვითხოვე სხვა ავტომანქანა და თან შევახსენე, გაეთვალისწინებინათ ჩემი ბარგი (რადგან კინო-

ექსპედიციაში მივდიოდი, საშუალო ზომის ჩემოდანი ბარგად თან მახლდა, რომელიც ტაქსის საბარგულში უნდა მოთავსებულიყო). სანამ დროში «დავიწვებოდი», ტაქსოპარკმა სხვა ტაქსი მომაშველა, კარდინალურად განსხვავებული წინა ტაქსისაგან – ქათქათა თეთრი, ნომრით «777», სტუმართმოყვარე და ფართო, ჩემი ბარგის გარდა წახევარი სადარბაზოს დამტევი, 16-18 მგზავრზე გათვლილი «მერსედეს ბენცის» მარკის მიკროავტობუსი. მძღოლს ეწყინა ჩემი «ჩემოდანი» დიდი ბარგი რომ არ აღმოჩნდა, შეუკურთხა დისპეტჩერებს, მერე 16 მგზავრის სამყოფ სალონში შეაბრძანა და მე წინ შემომთავაზა ადგილი. ასე «უმაყრიონოდ», კინკილა «მზითვით», სამაგიეროდ პომპეზურად, აეროპორტისკენ ავილეთ გეზი.

პულკოვოს მისადგომებს არ ამშვენებს წარწერა «kiss and fly» როგორც ნიცაში, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის. აეროპორტი უამრავი კოცნის მოწმეა ყოველდღე, ვიდრე ქორნინების სახლის კედლები. ავიატაბლომ დამამშვიდა, რეისები შეუფერხებლად ხორციელდება. ჩემი სიმშვიდე იქ დამთავრდა, სადაც მგზავრებისა და ბარგის გასინჯვა-დათვალიერება იწყებოდა. დაახლოებით 200 ჩინელი ტურისტი კალიასავით მოედო ამ ზონას, დაითრია ნივთების ჩასადები ყუთები და ხუთივე გასასვლელი დაიკავა. დავრჩი ბახილებში, უყუთოდ, პირდაღებული. ზონა ბაბილონს დაემსგავსა, მე ამაოდ ვცდილობდი ნივთების დაწყობას მოძრავ ზოლზე, რომ ეკრანს გაეშუქებინა და დროზე მიმეღნია ჩასხდომის ზონამდე. კავკასიური გულადობა და რიხი მოვიშველიე, შევუტიე ვინროთვალებიანთა მორეეს და როგორც იქნა, გავაღწიე, გზადაგზა ვიცვამდი პალტოს, საათს, პლანშეტს ჩანთაში ვაპრუნებდი. ჩასხდომის ადგილი ჩემი რეისისა საკმაოდ შორს აღმოჩნდა, თან უსასრულოდ გრძელი ესკალატორით ჩავედი. საფრენი ზოლის დონეს გაუთანაბრდა გასასვლელი. საათი 15 წუთს მჩუქნიდა, დრო ჯერ იყო «duty free»-ში შემევლო.



კინოექსპედიციაში ორი ტელეფონი მაქვს ხოლმე – სამუშაო და პირადი. ამ დროს საკუთარი ნომრის გარდა, არავის ნომერი არ ვიცი ზეპირად, არ ვიმახსოვრებ, შემაქვს კონტაქტებში და იქ-იდან ვსარგებლობ. ექსპედიციის პერიოდში სამუშაო ტელეფონი თითქმის არ ჩუმდება, პირადი ჩუმადაა, ხანდახან შვილების მე-სიჯები თუ გამოაცოცხლებენ, თორემ ნაცნობ-მეგობრებში იციან, სადა ვარ და არ მირეკავენ, სოციალურ ქსელებში მეკონტაქტებიან. ამ რეჟიმს ისეთი შეჩვეული ვარ, რომ ძალიან გამიკვირდა, როცა საკუთარ მობილურზე (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა) «WhatsApp»-ის ზარი გაისმა. «duty free»-ში რადენიმე ადამიანი იყო, ერთმა მაშინვე დაიწყო მობილურით საუბარი, სანამ მე ჩანთაში და ჯიბებში ტელეფონს ვეძებდი. ადგილზე მხოლოდ სამუშაო ტელეფონი იდო, საკუთარი არანაირად არ იძებნებოდა. სასწაული შიში დამეუფლა, ტოტალური მარტოობისა და იზოლაციის განცდა. თავის ტკივილმა მამცნო, რომ წნევაშ ამინია – ვერ იყო ჩემი საქმე კარგად. დრო ალბათ 5 წუთამდე თუ მრჩებოდა. სათითაოდ გა-დავარჩიე ხელჩანთაში ყველაფერი, სამჯერ გავიხადე და ჩავიცვი პიჯაკი, პალტო, ბოლოს ცრუემლებმორეული თვალებით ავკრიფე სამუშაო ტელეფონზე საკუთარი ნომერი და გულის კანკალით მი-ვაყურადე. ზარი გადიოდა, ხმა არსად ისმოდა. კვლავ ავერიფე ნო-მერი და დავიწყე მთელ დარბაზში სიარული, იქნებ ჩამივარდა და სადღაც გდია, წავანწყდე მაინც-მეთქი. მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს: – «ვიღაცას სციოდა, ვიღაცა ჰკიოდა და დრო გადიოდა»-ო, ზუსტად იმ ყოფაში ვიყავი. ვკრეფდი ნომერს და ვუსმენდი. სა-დღაც მე-7-8 ცდაზე, ო, ღმერთო ჩემთ! მიპასუხეს: – «ваш телефон находится на 5 стойке зоны досмотра». გავიქეცი... თვალებამდე ჩამოსულ თავის ტკივილს, ახალი ჩექმისაგან ნატკენ ფეხს, კარზე მომდგარ გაფრენის დროს და საერთოდ ავიარეისს – ერთდროუ-ლად გამოვუცხადე: – გამანებეთ ყველამ თავი-მეთქი და გზას

დავადექი. ეს გზა უკან დაბრუნებას ნიშნავდა, განვლილ საკონ-ტროლო ბარიკადებს. სირბილით განვლიე მოსაცდელი დარბაზი, ზევით ასვლადა მრჩებოდა – იქაურ მარათონთან კომბინაციაში. მივაწყდი ამ გადამწყვეტ ადგილს და გავშრი – ორივე ესკალატორი დაშვებაზე მუშაობდა. გამახსენდა რომ დასაბუისში მეც ამ ესკალატორებმა ჩამომიყვანეს. აღარ ვიცოდი რა მექნა... გარშემო მხო-ლოდ ერთი კარები არსებობდა, ისიც წარწერით «служебный ход. Посторонним ход запрещен». ავხედე განწირული თვალებით – ორ ესკალატორს შუა ისეთი ვიწრო კიბე იყო, საცალფეხო ბილიკივით, ალბათ, დეკორაციული თვალსაზრისით გადაწყვეტილი, თორემ მისი პრაქტიკულობის დამტკიცება, ვერნობდი მე მომიწევდა. არც კიბის უსასრულო სიგრძემ, არც სიმაღლემ, არც ექსტრაორდინა-რულმა სიტუაციამ არ იმოქმედა, უმაღ გადავწყვიტე – გოლგოთის გზას დავდგომოდი...

ესკალატორის მგზავრები შოკში იყვნენ, მე ავდიოდი, ისინი ეშვებოდნენ, დაცვის თანამშრომელი კომატოზურ მდგომარეო-ბაში ჩავარდა. დროს, მანძილს, სიმაღლეს – ვერაფერს ველარ ვერძნობდი უკვე, ჰაერის საშინელი უკმარისობა დამეწყო, როცა ენაგადმოგდებულმა, ჭარხალივით წითელმა ზევით გლუვი იატაკი დავინახე. 3-4 საფეხური იყო დარჩენილი, რომ ჩავიკეცე, ძალა აღარ მეყო. რომელიღაცა მგზავრმა გადმომიყვანა, წამოვდექი და სიარულ-სრიალით განვაგრძე გზა უკვე ჰორიზონტალურობაში. გული, მაჯა, ტვინი – ერთნაირად ფეთქავდა, მუხლები მიკანკ-ალებდა, ყურებში შუილი მელავდა – ეს იყო სიგიურის აპოთეოზი. მივაღწიე მაინც... ამოვილულლულე: – «мой телефон у вас?». მომ-ცეს სიცოცხლის ფასად ღირებული ჩემი აიფონი, ავიღე ხელში და ავტირდი. სასწაული ძალა მომეცა ისევ, ახლა რეისისთვის უნდა მიმესწრო. უკვე ესკალატორით დაშვეშვი ქვევით. ოლიმპიური ცე-ცხლივით მომქონდა ტელეფონი, თან ვეშვებოდი, თან შეძრწუნებ-

სამუშაო

სამუშაო



ული ვუყურებდი იმ ავადსახსენებელ კიბეს, რომელიც გადავლახე. ჩათვალეთ რომ ხეოფსის ან აცტეკთა პირამიდები დავლაშქრე! თქვენ წარმოიდგინეთ, მხოლოდ ჩემი რეისი ფერხდებოდა 30 წუთით ტექნიკური მიზეზების გამო. ასე რომ მივასწარი და, სულიც მოვითქვი.

საოცარია, უეცრად გაქრა თავის ტკივილი, გული კი საგულეს დაუბრუნდა. უკვე თვითმფრინავში მჯდარი ვაანალიზებდი მომხდარს (ფეხის კუნთები კიდევ ორი კვირა კვნესოდა და არ მავინუებდა ჩემს ალპინისტურ ბენეფისს). წარმოდგენა და გახსენებაც კი მზარავს, რამ გამაბედინა?! ჰემინგუეის «კილიმანჯაროს თოვლიანი მთა» თუ გახსოვთ, აფრიკის ყველაზე მაღალი მწვერვალი, ზღვის დონიდან 6000 მეტრზე და მის მწვერვალზე ნაპოვნი ლეოპარდის ჩონჩხი. არადა, ამ სიმაღლეზე მტაცებელი არ ბინადრობს. მაშ, რა უნდოდა ამ სიმაღლეზე ლეოპარდს?! ჩემი მხრიდან დავამატებ – როცა ძლიერი მოტივაცია გამოძრავებს, მწვერვალებსაც კი იპყრობ. შესაძლებლობებს ჩვენ ვფლობთ, მთავარია სამყაროს გამგებელმა შანსი მოგვცეს... გვაძლევს კიდეც... დიდ არს ძალა შენი, ღმერთო!

თვალი სულ მწვანე ფერისკენ გამირბის – კაბა, პიჯაკი, კარდიგანი, ფეხსაცმელი, სამკაული... ვგრძნობ პის მივალწიე, მაინც თავს ვიმართლებ: – საოცრად მდიდრული და ფართოა მწვანე ფერის სპექტრი, აშკარად ქედმაღლობს და ჯაბნის «ნაცრისფერის 50 ვარიაციას». ზამთარში ხავერდი, ზაფხულში შიფონი და მაქმანი, გაზაფხულზე ზამში, შემოდგომაზე სამკაულები; ბოთლისფერი, სალათისფერი, ზურმუხტისფერი, ღია და მუქი, ლურჯის დაკოცნილი და ოქროსფერთან შეფიცული; აღმოსავლური თინათინები და დასავლური გვირისტი ტან-ფეხზე მორგებული; თუ მწვანე თვალები შემოგეფეთა, სივრცე დნება და გალაკტიონის ნალმერთები ცისფერი ალარ გშველის. ერთხელ, სტამბულში, დოლმაბახჩეს სასახლეში ექსკურსიისას ვიხილე მაროკოელი მოხუცი ქალბატონი გრძელი წამნამების ტევრით («Lancôme»-ს სარეკლამო ნიმუში); თეთრ სამოსასა და ნაოჭებიან მუქფერვან სახეს მეფურ შარმს აძლევდა მწვანე თვალთა ახალგაზრდული ციმციმი.

მეხსიერებამ თამამი ნახტომი იცის, თუ შენი ბედნიერი სუნთქვა ჩარჩა სადმე და იმ ადგილას ისურვე ყოფნა, წარმოსახვით იმნამსვე იქ გაბრუნებს, «enter»-ლილაკი ავტომატურად მოქმედებს. როგორც ნაბოკოვი წერდა, მთავარი ინჟინერი ჩვენს ავტომატურ ქმედებებში უზენაესია, იფიქრე, იოცნებე, გაიხსენე და ხედავ... გენიოსი ინჟინერი და ამავე დროს სამყაროს მთავარი რეჟისორი შენთან უწყვეტ კავშირშია, მუდამ ხაზზეა... პოდა, ამ უნიკალურობით «განებივრებულმა» თებერვლის ერთი კვირადლე დავიპყარი და საკუთარ თავს შთავაგონე, რომ დადგა მოცალეობის ჟამი. ამინდი ჩემს ჯინაზე დილიდანვე განყრა – ზეცა მოიქუფრა, მოილუშა, თოვლს წვიმა შეურია სანელებელივით, მერე ეგოისტური ნისლი წამოახუ-



რა ქალაქს და სევდაში ჩაძირა ჩემი გეგმები. რადიოც თითქოსდა უნისონად გადმოსცემდა სეზენ აქსუს ნალვლიან მელოდიას «Ben kedim yatağım». ასეთ ცისქვეშეთში სეირნობა ხარაკირის ფსო იყო, სახლში დარჩენა კიდევ კაპიტულაციის მსგავსი. სკამის საზურგებელი გადაკიდებული მწვანე ხავერდის პიჯაკი დაიღალა ჩემი ლოდინით და ახლა სასონარკვეთილი მიუურებდა. მე ვყოყმანობდი, სტიმულს ვეძებდი, წარმოსახვაში ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ მოგონებათა ფაილები, მათი მისია ჩემი გამოცოცხლება იყო. ბარსელონა და კოსტა-ბრავა, როდოსი და კრეტა, სტამბული უსაყვარლესი კადიკეეთი, კანები, კაპ-ფერა, ანტიბი – თითოეული მზისა და ჰაერის ცეცხლოვან დუეტს მახსენებდა, მარილიანი ტუჩებით ნამდერ მელოდიებს, მწვანე პრომენადების ხიბლსა და ჰორიზონტის მაგიას. ამის სანაცვლოდ პოლარულად განსხვავებული რეალობა მინინენიდა სულს: ფანჯრებს მიღმა უსალმო, ბრაზიანი სამყარო ჩანდა, ჩემი დაგეგმილი კვირადლე ამ სამყაროს შტრიხი იყო, მე კი მისი მძევალი. საოცარია, სხვაგან ამინდს საერთოდ ვერ ვამჩნევ. პეტერბურგმა კი მეტეოდამოკიდებულება ავტოგრაფივით მაჩუქა და, მეც მასზე უზომოდ შეყვარებული, ვერც ველევი, ვერც ვიგუებ. კი შემიძლია ბალზაკისეული ასაკი დავადანაშაულო, მაგრამ ჩემისთანა გამოუსწორებელი რომანტიკოსის მხრიდან ეს ყალბი დასკვნა იქნება, თავის მოტყუების ტოლფასი. ასე რომ, ამინდიც ძალაშია, გუნებაც და ორივე ფაქტორს რამდენიც არ ვეცადე, ვერ გავექეცი.

მოკლედ, ჩავიცვი მწვანე პიჯაკი (ისე ვიძახი, ვითომ უჩინმაჩინად ვიქეცი) და რუსულ მუზეუმში, აივაზოვსკის ნახატების გამოფენაზე აღმოვჩნდი (არ გეგონოთ სპონტანურად, მთელი კვირა ველოდი). თავბრუდასხმული და უზომოდ ბედნიერი ფერთა პალიტრით, გენის ფუნჯითა და სტიქის სიდიადით ნევსკი პროსპექტზე წიგნის სახლში გადავინაცვლე. თემატიკათა შორის «დავიკარგე» კიდეც. მარტო ვერაფრის დიდებით ვერ წამოვედი: მარკლევი, ჩარლზ მარტინი და რინატ ვალიულინიც თან «წამომყვნენ» –

ღამეების «მესაიდუმლენი». დღეების საგზლად კი, როგორც მეტროს მგზავრმა «STORY»-ს ბოლო ნომერი და დანიელა სტილის «клуб холостяков» ავირჩიე. მეგობრებთან დათქმული შეხვედრის დროც მოახლოვდა – «ფაივ ო ქლოქ» და «გრანდ პალასი»-ს კაფემ ჩაგვიკრა გულში მწვანე ჩას თამადობით. ესტაფეტა კინოსეანსმა «ლა ლა ლენდ»-ზე მიიღო, ექსტაზის ეიფორიიდან SMS-ებმა გამომიყვანეს. გოგო მთხოვდა წითელი გრეიფრუტების ყიდვას, ბიჭი მაფრთხილებდა, რომ პროექტზე მუშაობდა და დააგვიანდებოდა, თანამშრომელი აგარაკიდან მოდიოდა და შემომიელიდა – ჟოლოს და მოცხარის მურაბებს მფრეშქაშობდა.

დამთავრდა ჩემი მოცალეობა, დავეშვი ოლიმპოდან; ყველაფერი ერთდროულად გამახსენდა – რომ სახლში პური არ მქონდა, რომ შვილები ორი დღეა მთხოვდნენ ქათმის ბულიონისაგან ჩიხირთმა გამეეთებინა, რომ თმის ძირები შესაღები იყო და სალონში ჩაწერა დამავინყდა, რომ გრეფფი გასასეირნებელი იყო, ბინა დასალაგებელი, სარეცხი დასაუთოებელი და საერთოდ, სასწრაფოდ სუპერმარკეტში პროდუქტი უნდა მეყიდა, სტუმარს ხომ დახვედრა უნდოდა, ბოლოსდაბოლოს ქალს ჩემთვის მურაბები თუ ჯემები მოჰქონდა. მოკლედ სამი პარკი ხელში ისე აღმომაჩნდა, აზრზე მოსვლა ვერ მოვასწარი. წიგნები და პროდუქტი, სულისა და ხორცის საზრდო, ორივე ჩემი სატარებელი იყო. ლიფტის ანთებული წითელი ლილაკი რომ დავინახე, ტირილი მომინდა – ჩემი ბუდე მერვე სართულზე და რეპინის სურათი «ბურლაკები ვოლგაზე» ერთდროულად დამიდგა თვალწინ. თან რა ვიცოდი, რა მელოდა ტექნიკურ კიბეზე (ულიფტობისას რომლითაც ვსარგებლობთ, საბედნიეროდ, იშვიათად და, ისიც სულ რამდენიმე საათი), იყო განათება ყველა სართულზე? რა სისუფთავე მელოდა კიბის საფეხურებზე? მოკლედ, გოლგოთას გზას უნდა შევდგომოდი.

ტექნიკური კიბე სადარბაზოს გვერდით, რკინის კარებითაა შენილბული და იგივე მაგნიტური გასაღებით იღება. სანამ მივუახ-

მარტინი

მარტინი

ლოვებოდი, კარი გაიღო და ახალგაზრდები გამოჩნდნენ. ეტყობა სტუმრად იყვნენ, თორებ სადარბაზოს ბინადართ დიდ-პატარიანად ვიცნობ; ესენი უცნობები იყვნენ, ლამაზად, სათანადოდ ჩაცმულები, პენი თვალებს კბენდა. სულ ოთხი იყვნენ. მე სამი აღვწერე – მეოთხე ბოლოსლა გამოჩნდა. როცა კარებს მივუახლოვდი, დამინახა და კარი ხელით დაიჭირა, დამელოდა. მის გარეგნობას სტივენ კინგი უკეთესად აღწერდა, მაგრამ მეც შევეცები: – თმა ერთ მხარეს იროკეზივით დაყენებული, წარბები, ცხვირი პირსინგით, ყელ-კისრამდე აღწევდა მასშტაბური ტატუ, გრძელი ტყავის პალტო და ტყავის შარვალი, სქელძირიანი მოკლეყელიანი ჩექმები; სიშავე ბატონობდა და მეტალი უფრო ავად ჩანდა მასზე. ფრანკენშტეინი – გამიელვა თავში. გაღებული კარიდან სიბნელე უფრო ავად მიღრებდა. ეს კვლავ კარს იჭერდა და აშკარად მე მიცდიდა. ნინნასული სამი ახალგაზრდა ჩემს «კარისკაცს» ეძახდა: – «че ты встал, давай быстрее» ფრანკენშტეინმა გაუხედავად გასძახა: – «спокойно... Женщине помочь надо». ის იყო, სიბნელეს უნდა შევრებით, როცა, – «здравствуйте... На лестнице темно... И осколки стекла валяются... Может вам помочь? – გავიგონე ძალიან თავაზიანი, უურადლებით სავსე მომართვა. ჰმ, მონსტრი ნეტავ მოჯადოებული ურჩხული ხომ არ იყო? – «Спасибо большое, не беспокойтесь, справлюсь», – ვუპასუხე. – «Я вам искренно стараюсь помочь, там действительно не безопасно, да ещё у вас тяжесть в руках, позвольте помочь» – аრ მეშვებოდა. ზურგსუკან მე-12 სართულზე მცხოვრები მეზობელი კაცის ბრაზიანი ხმა გავიგონე, მობილურით ცოლს ამცნობდა ულიფტობის ამბავს. მოგვიახლოვდა, მე მომე-სალმა, ცოტა უხეშადაც გამნია და დაიწყო ბნელ კიბეზე ასვლა. მეც ავჩქარდი, მინდოდა მივყოლოდი. ფრანკენშტეინი არ მეშვებოდა: – «скажите на каком этаже вам донести сумки, пожалуйста. – «Не надо – газუმეორე – в конце концов не такая уж старая, донесу». ბიჭებმა ერთხელ კიდევ გამოსძახეს: – «мы тебя в машине ждём, Подойдёшь» და წავიდნენ.



ჩვენ შორის ვი ასეთი დიალოგი გაიმართა: – «Вас наверно пугает мой вид, не бойтесь это всего лишь грим, я снимаюсь, Не успел переодеться, друзья позвали».

– «я вообще ничего не боюсь, а вас тем более».

– «тогда давайте сумки и пока ваш сосед ещё тяжело топает по ступенькам, вы смело можете мне доверять, пошли» და პაკეტები გამომართვა. მეზობელს გავუსწარით, ავედით მე-8 სართულზე. – «спасибо огромное за отзывчивость, за галантность».

– «ничего особенного, пустяк... Это у нас в крови».

– «у вас, это у кого? – «у нас, у грузин»... სისხლის შეუილი მიბინდავდა უკვე აზროვნებას. მაინც ვკითხე: – «так вы оказываетесь грузин?!» – «По отцу... К сожалению Грузинский не очень знаю. Отца давно нет в живых, и в Грузии я ещё не бывал».

თვალებს «ვეხვენებოდი», არ ეტირათ...

– «вот когда женюсь, поеду в Грузию ... Хочу там провести счастливые дни».

– «пока вы неженаты, позвольте знак благодарности подарить вам книгу «клуб холостяков», читайте на досуге... Это женский взгляд на мужчин»...

– «спасибо...»

მობილურზე ბიჭები ურეკავდნენ: – «тебе ещё долго ждать? Куда ты пропал?» კიდევ მომიხადა მადლობა: – «спасибо большое, есть в вас что то родное» – მითხრა. – «Это наша с вами Родина – Грузия она всегда с нами».

მეტირებოდა... ახალგაზრდა კიბეებზე დაეშვა, სიბნელემ მისი სილუეტი მთლიანად რომ მთანთქა, მაშინდა მოვისაზრე, რომ არც სახელი ვკითხე და არც გვარი. წავიდა და წავიდა... პრინციპში არც იყო ეს მთავარი... მთავარი და მნიშვნელოვანი ამოუძირკვავი და გაუქრობელი ქართული გენი იყო და ის ცოცხლობდა...





უვარსკვლავო, უმთვარო ღამეები, ბურუსიანი, გაცრეცილი დღეები... სამყაროს უდიდესი სასწაულის – მზის მონატრება... შემოდგომამ სხივთა წყურვილის გამძაფრება იცის, სამაგიეროდ ჭრელი ფერებით გავსეს, პლედებისა და ცხელი ჩაის მეხოტბედ გხდის, სახლისკენ გაჩქარებს, საინტერესო წიგნებით გამარაგებს და ზაფხულში დაგროვილ კითხვებზე გპასუხობს... ვგიუდები მოლიმარ სახეებზე... მოღუშულ, დაღვრემილ, დაღლილ, დარდისა და ფიქრის ტყვეობაში მომწყვდეულ ადამიანთა ნაკადში სულ ღიმილს ვეძებ და როცა ვპოულობ, ბავშვივით მიხარია... ახლა ჩემი ნაპოვნი ღიმილი თქვენ უნდა გაჩუქოთ...

იცით ალბათ, განებივრებული მგზავრი არ გახლავართ, მეტრო მიმაქანებს სამსახურში და მაპრუნებს სახლში... დილით მოსწავლე-სტუდენტი-ახალგაზრდობა, მუშა კლასი, ინტელიგენცია და ტურისტები, რომლებიც გამოხინას ესტუმრნენ ქალაქს და ახლა ოტელ-ჰოსტელს უნდა «ჩაბარდნენ»... სულ რაც მაკვირვებს, ეს მოხუცი ბებია-ბაბუების თავგადაკლული დინამიკა დილაუთენია: – სად მიდიან, სად მიიჩქარიან?!... პეტერბურგის მეტროს მგზავრებს ერთი რამ აერთიანებთ (ტურისტების გარდა): თითქმის ყველა მათგანი, დილის მარშრუტზე თვლემას კითხვას ამჯობინებს... ერთეულები თუ უსმენენ მუსიკას... ბიბლიო ექსკურს თუ განვიხილავთ, იკითხება ყველაფერი: – სასწავლო ლიტერატურა, პრესა, მხატვრული და პუბლიცისტური ლიტერატურა, ენის თვითმასწავლებლები, ლოცვანი... მეც ჩემი არსენალით ვმგზავრობ...

რაც შეეხება პიკის საათის მგზავრებს, ოოო... აქ სულ სხვა სურათია: – თავის კანტურით თვლემა, დაღლილი-გამოფიტული მზერა, ერთ წერტილს მიშტერებული სახე, ნულამდე დასული

განწყობილება და გალანტურობა... ავი მასა ნავსაყუდელისაკენ მიცურავს.... ასეთი «ყიდამეთი» მარშრუტი იყო, სალამო ხაზი... გადაიტენა ვაგონი თავიდან, მერე და მერე დალაგდა ცოტა. თავიდანვე შევამჩნიე ვაგონის კართან ლამაზი გოგონა იდგა დაღვრემილი, მასთან ხელის გაწვდენის მანძილზე სიმპატიური ბიჭი. ვერ იტყვიდი, რომ ერთად იყვნენ, სანამ ბიჭის მზერა არ შევნიშნე – გოგონას თვალს არ აშორებდა, კართან ახლოს ადგილი რომ გათავისუფლდა, ხელით შეეხო გოგონას და დაჯდომა ურჩია. გოგონა არც შემოტრიალდა, პირიქით, კარს დემონსტრაციულად უფრო მიეკრო. ბიჭს სახე დაუნალვიანდა. მაშინ მივხვდი, რომ გოგო მასზე გაბუტული იყო. ორი გაჩერება ასეთ რეჟიმში გაილია. «ტექნოლოგიური ინსტიტუტისა» გაჩერებაზე ბავშვების ნაკადი მოაწყდა ჩვენს ვაგონს, მგონი ექსკურსიიდან ბრუნდებოდნენ, რადგან მუზეუმის ბუკლეტები ეჭირათ ხელში. შემოცვივდნენ ლოყებდაბრაზულები, მხიარულები, ხმაურით, ურიამულით, თაერთმანეთს ექაჩებოდნენ. ვაგონი დაიძრა, ბავშვების ნაწილი მოკალათდა, ნაწილი კარებთან იმ გოგო-ბიჭთან ახლოს ანცობდა. არ მახსოვს, რა მომენტში შექანდა ვაგონი, როგორ დაკარგეს წონასწორობა ცელქებმა, როგორ დაეტაკნენ გოგონას და თავისდაუნებურად, არადა, თითქოს სპეციალურად, ეს ლამაზი გოგო იმ სიმპატიურ ბიჭს მიაკრეს. ბიჭმა ელვის სისწავებით ჩაიკრა გოგონა გულში, თან ისე მაგრად, ძალა აღარ არსებობდა მათი დაშორების. გოგო ერთი წამით გაჯიუტდა, მაგრამ ბიჭი უკვე ლოყებს უკოცნიდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა. ისეთი ლამაზები იყვნენ ორივენი, ისეთი საყვარლები. ამ ეიფორიიდან მქუხარე ტაშმა გამომიყვანა: – ეს მთვლემარე, დაღლილი მასა აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს სიყვარულს. ყველა იღიმებოდა, თან მოწონების ნიშნად ცერა თითს მაღლა წევდნენ. გოგომ შერიგების კოცნა აჩუქა ბიჭს და მერედა მიხვდა, რომ ეს აპლოდისმენტები მათ ეკუთვნოდათ. მიხვდა და





განითლდა. ბიჭსაც შერცხვა, მაგრამ ხელი აღარ გაუშვა. ასე ჩახუტებულები, ალმურმოდებულნი ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. ვერ წარმოიდგენთ რა განწყობა იყო ვაგონში: – ყველა ბედნიერი, კმაყოფილი, ნასიამოვნები, მომლიმარე. დარწმუნებული ვარ ამ წუთებში ყველა ძალიან კეთილი იყო. არც დაღლა ეტყობოდა არავის. შეცბუნებული სახეები მხოლოდ «დამნაშავე» ონავრებს ჰქონდათ, რადგან ვერ გაიგეს «კატაკლიზმ»-ს ტაში რატომ მოჰყვა, ან რა უხაროდათ აქამდე უცინარ უფროსებს.

ბედნიერი მივედი სახლში, ხალისით მოვამზადე ვახშამი, შვილებს ვეტიტინე, გრეფფს ვეთამაშე. პოზიტივით ვიყავი გაჯერებული. ზურიკელასი არ იყოს, თოვდა კიდეც, ქროდა კიდეც, ქვეყანაც ინგრედა, მე კი მიხაროდა. არა თქვათ ახლა, რამ გადარია ამხელა ქალიო. არადა თანატოლები დამეთანხმებიან – გული ყმანვილია მუდამ, სიყვარული კი ღმერთისგან ბოძებული ფენომენი. მე კი ვინ ვარ???!!! ... (სტუდენტობის დროს რამდენჯერმე წაკითხულ), იაპონელი მწერლის ქენძაბურო ოეს წიგნიდან «დაგვიანებული ახალგაზრდობა» გავიხსენებ ასეთ «რეპლიკას» – «მე არ ვარ გმირი, რომელიც ცეცხლს უნთებს ადამიანთა გულებს, არც დაგვიანებული თაობის ანდერძის შემსრულებელი ვარ. მე ისეთივე ვარ, როგორიც თქვენა ხართ”... ასეთ მესიჯს ვუგზავნი ახალგაზრდობას... გაგელიმათ?!.

ვითომ უფრო თბილ ადგილას ვიყავი, ნოემბერი იოლად «გადავიტანე»... ვითომ მზიანი დღეებით ვანებივრე სული, სამხრეთული ქარებით ავითორიაქე აზრები; დავთბი, დავტკბი და სიზმრებშილა შევრჩი პეტერბურგს. მერე მივხვდი, დაბრუნების დრო რომ მომეპარა; სუსხი მომენატრა, მოლუშული ზეცა, ნევის აკვატორია, ხიდები და სევდაშერეული ქალაქის ხედები; აქ როცა ზამთარია, დღე ღამისფერია, და როცა ზაფხულია, ღამე დღისფერი. ამიტომაც მიმძიმებს მაჯას საათი – ჩემი თანამოაზრე და სუფლიორი. სახლისკენ მივიჩქარი. სახლს ნოსტალგია ჰქვია – იტევს მონატრებულ ჩემს სანოლს, გრეფფუნიას, შვილებს, მეგობრებსა და წიგნებს, რომლებიც წასაკითხად მელოდებიან. ქალაქი ჩაფუთნულია, ქუჩებს ადრიანად ანთებული ლამპიონები ხატავენ, მეტროსთან მოხუცი ქალები თხის ბენვისა და ბუმბულის თავშლებს ყიდიან, კაცები ბენვის ქუდებს, ფაფახების თამადობით. ბრონეულები ჩამოვაბრძანე მშვიდობით პეტერბურგში და ახლა ისინიც, ოდნავ შეციებულნი, ფარავენ გზას სახლამდე.

საღამოა, საოცრად დავიღალე. ამის მკურნალი კი სითბო და სინათლეა, ცხელი ჩაი, რბილი პლედი, ძილი და სიმყუდროვეში ჩაძირული სხეული. სინათლე ვახსენე... პეტერბურგში სინათლის ჩაქრობა, წუთიერი გამორთვაც კი წარმოუდგენელია, შეუძლებელია, ვინაიდან, შეიძლება ითქვას, რომ აპოკალიფსის ტოლფასია. დენი სტრატეგიული დანიშნულებისაა ჩრდილო დედაქალაქში და ამიტომ, სადარაჯოზე მუდამ მზადყოფნაშია მყოფი უამრავი საექსპლუატაციო სამსახური. ვართ უზომოდ განებივრებული როგორც სინათლით, ისევე ღუღუნა ცენტრალური გათბობით. მე მაინც ყველას სითბოსა და სინათლეს ვუსურვებ ხოლმე, მით

სამხრეთი

სამხრეთი

უმეტეს ზამთარში... ასეთ გაჩახჩახებულ, თბილ სადარბაზოში შევ-აბივე, ვიღაცის სუნამოს სუნი ვიყნოსე და ბინის კარი როგორც კი გავალე, გრეფფი შემომეგება გახარებული, ორ ფეხზე მდგარი; დაინყო პირუეტები და მენუეტები სიხარულ-სიყვარულისა – მონატრებისა... არ ვიცი, როგორ ვახერხებდი ერთდროულად ჩემოდნის შემოგორებას, გრეფფის მოფერებას, თან სინათლის ანთებას ვაპირებდი. ნამეტანი თამამად, თითქმის დაუდევრად ჩამოვკარი თითი და ჯერ სტენა-ჩხაკუნის სინთეზური ხმა გავიგონე, რასაც მოჰყვა ბათქის ხმა გაელვებით, მერე ნათურა დაიფშვნა ჩემს რა-დიუში, ბოლოს სიბნელე წყვდიადით შეიცვალა და, მე და ნამცეცა გრეფფი უცბად წაგვმალა. მანამდე ჩუმად მყოფი ბინადარნი ახ-მაურდნენ, გამოიშალნენ. მირჩიეს გარიზდება და სიმშვიდე, სანამ ელექტრომრიცხველში დამცველ «კნოპკებს» თავიდან ჩართავდნენ ჩემი მოწყობილი «Blackout»– ის მერე (ელექტრომრიცხველები ჩვენ ბინის შესასვლელთან გვაქვს და მისადგომად მოხერხებულია). რო-გორც გაირკვა, ბინის ნახევარზე მეტი ფართი გავწირე – «დამცვე-ლი» არაფრის დიდებით არ აპირებდა გარისკვას და საჭიროებდა პროფესიონალთა ჩარევას. სინათლე მხოლოდ ბიჭის საძინებელ ოთახს შერჩა, ვინაიდან ცალკე გამოყოფილ ელექტრონხაზზე იყო დაერთებული.

ექსტრემალურ ოჯახურ თაბბირზე გადაწყდა – სახლმმართვ-ელობიდან სპეციალისტი დილით გამოგვეძახა, რადგან ლოკალური უსინათლობა იყო. რა უნდა გვექნა, აბსოლუტურად მოუმზადებელ, შეუჩვეველ ხალხს, რომლებსაც სურდათ, ჩვეულებისამებრ, სამზა-რეულოში, ვახშამგანყობილ მაგიდასთან გაეტარებინათ საღამო დაგროვილი ემოციების, შთაბეჭდილებების ურთიერთგაზიარება-ში. საღლესასწაულო დანიშნულების შანდალი ავანთეთ, აცეკვდ-ნენ ჩვენი ჩრდილები. ჩაის მზადების რიტუალი შვილის საძინე-ბლიდან სამზარეულომდე ელექტროჩაიდანის განვლილ გზაზე იყო

დამოკიდებული. გრეფფი უყეფდა სილუეტებს და ცდილობდა, გაერკვია რა «საიდუმლო სერობა» იმართებოდა. პირველი 20 წუთი ეტიკეტმა, სიტუაციის მართვამ და შეჩვევამ წაილო. დავნაყრდით, მოვეშვით, მივენდეთ გარემოებას და ავლაპარაკდით. შვილები აღტაცებულები, აღგზნებულები მიყვებოდნენ, შემთხვევით რო-გორ წაიკითხეს მეტროში პოსტერზე, შოთა რუსთაველის 850 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება რომ იმართებოდა ვ.ი.ლენინის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში; როგორ გადაწყვიტეს, ცნობისმოყვარეობის მიზნით და არა შემეცნების, ღონისძიებას დე-დის მაგიერ დასწრებოდნენ, რათა შემდეგ მიღებული ინფორმაცია ან ცოდნა, ან სულაც შთაბეჭდილება ჩემთვის გაეზიარებინათ. ამ დროს ორივეს რუსულად აქვს მიღებული კლასიკური განათლება დაჩემდა სამარცხვინოდ, არცთუ ისე კარგად ფლობენ ქართულს. შოთა რუსთაველი მათთვის არა ცნობილი გვარ-სახელი და ერთადერთი, რაც იციან, ეს «вятязь в тигровой шкуре» ცნობილი ილუსტრაციის გამო. მაგრამ რადგან დედა სრულიად ქართული მსოფლმხედველობისაა, სულით და გულით, განათლებითა და აზ-როვნებით, გადაწყვიტეს დედის მაგივრად დასწრებოდნენ, დედის-თვის ესიამოვნებინათ (თავიანთი ჭკუით), სხვა ინტერესი არ ამოძ-რავებდათ. თქვენ როგორ ფიქრობთ, შეიძლება შოთა რუსთაველს, დიდ შოთას «მიუახლოვდე», «შეეხო», «გაეცნო» და არ «გაიზარდო», არ მოიხიბლო, არ ამაღლდე, არ დაინტერესდე მისი გენიალური ქმნილებით, არ იგრძნო რომ უკვდავებას ეცნობი?! ასე მოუვიდათ ჩემს შვილებს. ალფროვანებულები ერთმანეთს არ აცდიდნენ, მიყვებოდნენ «ვეფხისტყაოსანი» რამდენ ენაზე იყო ნათარგმნი, რამდენნაირი ვერსია არსებობს რუსული თარგმანისა, სხვადასხვა დროის რამდენნაირი გამოცემის ეგზემპლარი ნახეს სამუზეუმო ვიტრინებში დაცული, როგორ კითხულობდნენ რუსი მოსწავლეები, სტუდენტები, ლიტერატორები, სხვადახვა პროფესიის ადამიანები

მარტინი

მარტინი

ზეპირად სტრიქონებს, თითქმის მთელ თავებს, თითქოს წმინდა წიგნს ციტირებდნენ, ისეთი მონიწებითა და რუდუნებით, რამხელა სიბრძნეა თურმე ამ ქმნილებაში, ფილოსოფია და ღრმა აზრი... ვუსმენდი და ვფიქრობდი: – აბა, რა გეგონათ ახალგაზრდებო, რუსთაველს თუ «მოუსმენთ», ველარ მოისვენებთ... ერთს ვნაონდ-დი იმ წუთებში, რომ რუსთველოლოგი არა ვიყავი, ის, რაც შემე-ძლო ამ არაჩვეულებრივ მომენტში მეთქვა, აკადემიურ ქიმიკოსს, ოთარ სეფიაშვილისა და ტატა თვალჭრელიძის გამოზრდილ კინომ-ცოდნეს (მეორადი განათლება საბჭოთა პერიოდში) და მარკეტო-ლოგს პოსტსაბჭოთა პერიოდში, არ იყო საკმარისი და უფერულ-დებოდა გენიალურ ქმნილების წინაშე. ეს ნამდვილად არ იქნებოდა «დიდების 5 წუთი», მაგრამ გავპედე... ბევრ რამეზე ვილაპარაკე: – მე-12 საუკუნის საქართველოზე, მესხეთზე, თორელების გვარ-ზე; «ვეფხისტყაოსანის» შემეცნებით მხარეზე, მასშია თავმოყრილ ცოდნაზე – ასტროლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია-ჰემოლოგია, ასტრონომია, ისტორია, სოციალურ-ეკონომიური ასპექტი, ზეო-ბრივი ნორმები, ინტერნაციონალიზმი, გლობალიზაცია, გენდე-რული ფენომენი... გადავედი ასასინთა ორდენზე, ომარ ხაიამზე, ევრაზიის მაშინდელ პოლიტიკურ სურათზე, რომელიც ისეთი სი-ზუსტით აღნერა შოთა რუსთაველმა, რომ «Euronews» და «Reuter» ვერ დაიკვეხნის, თან უნიკალური ლექსთნების სახით, რომლის ნებისმიერი თარგმანი მხოლოდ მაქსიმალურადაა მიახლოებული ორიგინალთან და ისევ მხოლოდ... ბოლომდე და ქართველი პოეტ-ის, დღემდე მთლიანად ამოუცხობი, შეუსწავლელი, გამოუკვლევი, გაუშიფრავი გენიალური ქმნილება საქართველოს მეფისათვის მირთმეული, და არცერთი სიტყვა მასში საქართველოზე, ქრის-ტიონბაზე... «ვეფხისტყაოსანი» გამოცანაა, ურთულესი და ულა-მაზესი, მარად ახალგაზრდა და ცოცხალი, სიყვარულის, ვაჟაპო-ბისა და მშვიდობის ჰიმნი...

საქართველო

გვიანი ღამე შემოწოლილიყო ფანჯრებში, შანდალში სანთლე-ბი ილეოდნენ, ძილადქცეული გრეფფი მშვიდად ფშვინავდა ჩემს კალთაში, შვილები თვალანთებულნი მისმენდნენ. მე რუსთაველის ბერად ყოფნაზე ვყვებოდი უკვე, თამარ მეფის გაუჩინარებული საფლავის შესახებ. მაინც დადგა «დიდების 5 წუთი» – წამოვდექი, მობილურის ანთებული ეკრანით გავინათე გზა ჩემს საძინებელ ოთახამდე, მოვძებნე მთავარი რელიქვია, დედაჩემის ნაქონი 1957 წელს გამოცემული «ვეფხისტყაოსანი» ზიჩისა და თოიძის ილუს-ტრაციებით, დავუდე შვილებს, თან ცრემლი მდიოდა. მაშინდა მივხვდი, რომ «ვეფხისტყაოსანი» მზითევად წამომილია, როგორც დედის ხსოვნა. ჯილდა დათუაშვილი მღეროდა, თუ გახსოვთ: – «საქართველო და დედა, ორნივ ერთია ჩემთვის»...

სუნთქვაშეკრული შვილები მონიწებით ფურცლავდნენ ძველ გამოცემას, თვალებით ჭამდნენ ქართულ შრიფტს მშვენიერი ტოპოგრაფიით გადმოცემულს და შემომნატროდნენ.

თენდებოდა. – «это был лучший вечер из всех вечеров» – მომესმა... მართლა საოცარი ღამე იყო, მოულოდნელი, ემოციური, თითქოს ჯადოსნური, ინტიმურიც, იდუმალიც, დროს აცდენილი და დროზე გამარჯვებული, სანთლის შუქზე გაცოცხლებული ილ-უსტრაციები, მარადისობის ლანდები... ელექტრონულ სინათლეს სდევს მისტიკა? არავითარ შემთხვევაში! გამოდის, შემთხვევით არ მოხდა, რაც მოხდა... უნდა მომხდარიყო... უნდა გადამეწვა ნათუ-რა, თანაც ტოტალურად, მიგვეტოვებინა გაჯეტები, ინტერნეტი, ტელევიზორი...

მაღალმა ღმერთმა, დიდი შოთას 850 წლისთავი დიდებულად აღმანიშნინა...

საქართველო



ორშაბათი დღე «დაზამშული» გამომივიდა – ჩექმა, ფოჩებიანი კარდიგანი და ჩანთა... რაღაცით ინდიელ ქალსაც წავაგავდი ალბათ, სიუ-ს ტომიდან. ზუსტად ამ ქიმწმენდაგამოვლილი ჩანთის გამო ამოვატივტივე ჩემი ძველი პოსტი. ვისაც გეცნოთ, გაილიმეთ, ვინც ახლა ეცნობა, თქვენც... ლიმილი თბილია და სინათლეს იტევს... სითბო-სინათლე კი მეტად სჭირდება პეტერბურგში მცხოვრებ ქალს...

ორი წლის წინ ბერლინში შეძენილი «მიუ მიუ»... არადა, ზამშს ვუფრთხი, მით უმეტეს თუ შავი ფერი არაა, დაცდილი მაქვს, აზიზი სახმარია... მაგრამ ამ ჩანთამ რაღაცნაირად მაპოვნინა თავისი თავი უნივერმაგ Ka De Ve-ში, მიმიყვანა თავისთან და ეგრევე «შემომეყიდა»... გემრიელად ვატარე, მეტროც წახა და ავტომობილშიც არხეინად ისვენებდა. მერე შევამჩნიე, რომ პენი დაკარგა, თან შავმა ჩანთამ უმზეო დღეებთან ერთად ჩაანაცვლა, თან სულ დამავიწყდა მისი არსებობა...

საკმაო დრო გავიდა, ოქტომბერში ქორწილში დამპატიუეს და კლატჩი გამიხდა საძებნელი, სად მედო ვერ ვპოულობდი, ყველა «ჩიხოლი 『გადმოვატრიალე და ერთ-ერთიდან «მიუ მიუ»-ც გამობრძანდა, აშკარად გასანმენდი (კლატჩიც ვიპოვნე). დავიწყე ინტერნეტში ამ ჩანთაზე ინფორმაციის ძიება (როგორ და სად შეიძლებოდა მისი გაახლება, ვის ჰქონდა – რომ ფორუმებზე მეკითხა რჩევა) ხსნა ბანალური აღმოჩნდა – ყველამ ძვირი ქიმწმენდა მირჩია, მაგრამ ამ კითხვა-რჩევაში აღმოჩნდა, რომ ასეთივე ჩანთას ატარებს უმშვენიერესი ბერგიუზარ ქორელი-დიდი ჰალიტ ერგენჩის პრინცესა, ჩემი საყვარელი მსახიობი... ამ ფაქტით ნასიამოვნები ისეთი სიამოვნებით «გავტყავდი» იტალიურ ქიმწმენდაში,

გონზე ვერც მოვედი (ამ დროს ხალხი Brioni – ს წინდებს აბარებდა გასაწმენდად... ვხედავდი... თურმე მათი გარეცხვა არ შეიძლება, გაგიუდები რა).

დღეს მოვაბრძანე მისი უდიდებულესობა სახლში სუფთა და ხალასი... ახლა, ათასში ერთხელდა თუ გამოვასეირნებ სამზეოზე, თორემ მაგის წმენდის სურვილი და სახსრები მხოლოდ უსამოვნო განწყობაზე მაყენებს. სად მე და სად დიდებული ქალბატონი ქორელი თავისი უდიდებულესი ჰალიტითა და ზღაპრული ჰონორარებით... რა მახარებს ყურების სიწითლემდე? ერთსა და იმავე ნივთს ერთნაირად რომ შევხედეთ მე და ჰალიტის პრინცესამ...





შემოდგომამ ისე «მაწყენინა» ნაადრევი სიცივითა და სისველით, რომ გაზაფხული მომანატრა. ახლაც ქორწილების დროა, მაგრამ ივლის-აგვისტოში ლხინს რა სჯობია, მით უმეტეს გაზაფხული-დან რომ ინყებ ფუსფუსს – რომელ სამოსელში გაეხვიო?!. მეგობრის ქალიშვილის ბედნიერებას ხომ ლამაზად უნდა შეხვედრა. მე და მირანდას მოსაწვევი სტამბულში დაგვეწია. თეთრი აპრილი იდგა... მირანდა მეჯვარეობაზე დაითანხმეს. მოვირგეთ ეს პატი-ვი და რახან ფერებისა და სურნელების ქალაქი გვმასპინძლობდა, გადაწყდა, აქვე შეგვეძინა საქორწილო სამოსელი. მეხსიერებამ «Oleg Cassini» გვირჩია (ცნობისათვის – «Oleg Cassini» რუსული წარმოშობის ამერიკელი მოდელიერი გახლდათ, თავის დროზე უაკლინ კენედის პირადი დიზაინერი. თუ არ ვცდები, 2006 წელს გარდაიცვალა 92 წლის). კასსინს სტამბულში დიდად არ უმოლვანია, მაგრამ კომერციულმა ჟინმა და მისი ტალანტისადმი თაყვნისცემამ დღევანდელ მფლობელს შეაძლებინა ეს ბრენდი ევროპა-აზიის გა-საყარზეც ეცოცხლებინა. არ ვიცი, ვინ აგრძელებს ამ ლეგენდარული სამოდელო სახლის ტრადიციებს, მაგრამ ბრენდი ცოცხლობს, თუმცა, თანამედროვეობაში, 50-60-იანი წლების დიდებული ესკი-ზები გაქრა. ბუტიკი სტამბულში ლამაზადაა მოწყობილი – ატმის ყვავილის ფერი ჰარმონიაშია კრემისფერთან და სინათლით ავსებს ინტერიერს, ასეთივე სპექტრშია დივან-სავარძლები ურბილესი ტყავითა და იატაკს შერწყმული ნოხებით, ისეთი ფაფუკი, კრემ-ბრიულები იძირებით გგონიათ. ეს სინაზე და კომფორტი კლიენტებისთვისაა ასეთი დიალოგის თანხლებით: – დაათვალიერეთ? აირჩიეთ? მოგერგოთ? დაბრძანდით! დაისვენეთ! გადაწყვიტეთ და შეიძინეთ! მართლა ძალიან ლამაზი კაბებია: – გრძელი თუ მოკლე,

თვლებით გაწყობილი თუ პაიტკებით, კორსეტითა და მის გარეშე, ძვირფასები, ლამაზები, ჰაეროვანნი... მაგრამ რა გინდა – სასონარკეთილად ღრმა დეკოლტეთი, შიშველი ზურგით, მხარ-ილლის საოცრად ლია ჭრილებით... სულ მაკვირვებს ხოლმე სტამბულში ეს თურქული ბომონდ-ბოჰემისა და საერთოდ, ევროპული ორიენტაციის მდედრი ნაწილის საზეიმო, საღამოს თამაში ჩაცმულობა. დეპარდიე რომ წამოიძახებს ერთ ფილმში: – «Oleg Cassini» ეს პროვოკაცია! ვითომ მუსულმანი ერია... არადა, სხეულის დემონ-სტრირება საკმაოდ გამომზევევად, სიშიშვლის ფრაგმენტულად გამომზევება უყვართ.

დარბაზში ყველანირი გარეგნობის გოგოები აქტიურად ირჩევ-დნენ სასურველი მოდელების სამოსს, მათი თანამგზავრი მამაკაცები კი მშვიდად ისვენებდნენ კრემისფერ დივან-სავარძლებში. აქ «შოპინგის» დროს მამაკაცი ქალს თან დაპყება, არ აჩქარებს, პირიქით, მოთმინებით და წყნარად ელის, სანამ ქალი მრავალჯერ მოიზომავს არჩეულ სამოსს და მოირგებს. ამავე დროს, ყველა მოდელს მამაკაცის თვალი აფასებს, ისაა მოდური «განაჩენის» გამომტანი.

სავარძელში მჯდომი სიმპათიური ახალგაზრდა შევნიშნე – გე-მოვნებით ჩაცმული, მოხდენილი გარეგნობით, ცოტა ნარცისიზმის ნიშნებიც მეცნო, მაგრამ აღნაგობამ დაჩრდილა. ჩემში ცნობის-მოყვარეობამ გაიღვიძა, მაინტერესებდა ასეთივე მოხდენილი იყო თუ არა მისი თანამგზავრი ქალიც, რომელიც ფარდების მიღმა კაბას ისინჯავდა და სადაცა გამოჩნდებოდა მთელი სიმშვენიერით. მირანდა ჯერ ისევ ძებნა-ძიებაში იყო, თან მიახლოვდებოდა. ფარდის მიღმა გამოსაგოგმანებლად ემზადებოდნენ, ახალგაზრდამ ეს შენიშნა და გაირინდა. ჩემი მზერაც ფარდებს მიეყინა. მირანდა ჩემ წინ იდგა და არჩეულ კაბაზე მეკითხებოდა. ამ დროს ვიგრძენი, რომ ჩემმა ფატაზიამ გამანბილა, დაუნანებლად დამანარცხა





ცოდვილ მიწას – ნობზე საკმაოდ ჩაპუტკუნებული, მოკლეფეხება, სქელწვივიანი, დაბალი გოგო იდგა, ბარაქიან მკერდს უბრეტელო, კორსეტიან, მოკლე კაბაში ვერ ტევდა... შესცინოდა და შეჰქაროდა იმ ლამაზ ბიჭს, თურქულად ეჯღურტულებოდა.

მარტო იმასზღა ვფიქრობდი, რომელ ენაზე მეთქვა მირანდასთვის, რომ ჩემი სახის შემცბარი იერი წყვილის გარეგნული შეუსაბამობის დანახვით იყო გამოწვეული და არა – მისი არჩეული კაბის. ბიჭი გრძნობით სავსე, კმაყოფილი უყურებდა თავის ხანუმს. გადაწყდა – ქართულად მეთქვა, რასაც ვფიქრობდი. მთავარი იყო, მათ არ გაეგოთ – რუსული და ინგლისური სტამბულში ყოველ ნაბიჯზე ისმის, მირანდას გერმანული და იაპონური მე არ ვიცი, ჩეჩინური გამოვრიცხე იმის შიშით, რომ ახალგაზრდა ვითომ ჩეჩენ-საც წააგავდა. ჰოდა, ქართულად ვიყარე ჯავრი, მირანდას ვუთხარი: – «სადა აქვს ამ ბიჭს თვალები, ამას როგორ უყურებს-მეთქი». მირანდამ მხრები აიჩინა და ისევ კაბებს მიუბრუნდა, ის გოგო კი ფარდის მიღმა გაუჩინარდა. არეული ფიქრებიდან კარგი ქართულით ნათქვამმა გამომიყვანა – «აბა, ქალბატონო, თქვენი აზრით ვის უნდა ვუყურო?» გავშრი.... რამის ახსნას აზრი არ ჰქონდა... ჩავიჭრი.... წანამები ღიმილით გავუღიმე და, გავქრი. მირანდას რომ არ ვეძებნე, დავურევე – ჰოლში გელოდები-მეთქი.

ივლისში პეტერბურგში, უკვე ქორნილში, «Oleg Cassini»-ს გარეშეც ცუდად არ გამოვიყურებოდით. მომიტევეთ უთანასწორო შედარებისთვის, მაგრამ მხოლოდ ეს გამახსენდა – როდესაც დიდ ილიას ოლგა გურამიშვილის გარეგნობა დაუწენეს, მან თქვა: – «ნეტავ ჩემი თვალებით შეგახედათ ოლგასთვის, ამას არ იტყოდი-თო».

მართლაც რომ ჭეშმარიტება! უყვარდა იმ ლამაზ ბიჭს ეს შეუხედავი გოგო და მისი ყველაფერი მოსწონდა.

აზრის გამოთქმას ვინ მოხვდა?!

ყოველთვის ვცდილობ ხანდაზმული, მხცოვანი ბებია-პაპებისაგან ვიყიდო ხოლმე ხილ-ბოსტნეული. მათ ბაზარში ვერ ნახავთ, მხოლოდ მეტროსთან და რკინიგზის სადგურებთან «ბინადრობენ». დადგამენ ყუთებს, საკუთარი ჯაფით მონეულ მოსავლის ნიმუშებს დააწყობენ, ერთი თვალით მილიციელს ეძებენ, რომელიც მერე მათ დაარბევს, მეორე თვალით მყიდველებს ემუდარებიან – იყიდეთო. არადა, საღამოს უკან უნდა დაბრუნდნენ, გრძელი გზა გაიარონ, მეტრო – «ელექტრიჩის» ფული დახარჯონ და კვლავ ბალბოსტნებს მიხედონ. სურნელოვანი, არომატული, გემრიელი, ნატურალური – ამ ეპითეტებს მოვინანებით, დეგუსტაციისას ვიტყვით ქალაქელები, ოლონდ ფერმერი მოხუცები მათ ვერ გაიგებენ. დღეს ვაშლების სიუხვე დამატყდა თავს. აქედან იწყება ჩემი ამბავი. ძალიან სათნო სახის ბებიასაგან ვიყიდე რუდუნებით დაფასოებული თავისივე პარკში 2 კილო მოწითალო, უზომოდ სურნელოვანი ვაშლი... თან იმდენი მლოცა... გამოვცდი, ათი მეტრი გავიარე და პარკი გასკდა, ხელში ჭერა არ მოეწონა ვაშლით გაბლენდილს... დაიფანტა ჩემი «სიმდიდრე», გაგორდნენ უგზო-უკვალოდ ლამაზმანი ვაშლები, მე დავრჩი გახეული პარკით ხელში... ხალხი მიდიმოდის, საღამოვდება, ყველა ჩქარობს, რა დროს ჩემი ცრემლებია – თავს მაღლა ვწევ და ეპჰ... გზას ვაგრძელებ... ასე ალბათ კინოში ხდება: ახალგაზრდა, ბავშვიანი ქალი ჩანთიდან მთლად ახალ, ბრენდულ პარკს იღებს, ბავშვი დაკეცილ პარკს შლის და ღიმილით მაწვდის, ავტომატურად ვეუბნები მადლობას, უფრო სწორად ვადევნებ, ქალი და ბავშვი მეტროსკენ მიიჩქარიან... ვიღაც ხელზე მეხება: პირსინგიანი გოგო რამდენიმე ვაშლს მაწვდის, ჩემს ვაშლს... მიდებს ამ ახალნაჩუქარ პარკში... მას სპორტულ ფორმიანი ბიჭი ეჯახება,





ისიც ჩემი ვაშლებით...უცინარი სახის ტიპი ზედ არც კი მიყურებს, ნაჩქარევად, რამის ზედ მაყრის ვაშლებს და ბრბოს ერევა... გოგონა «ორიფლეიმის» ბუკლეტით ხელში, «სალფეტკით» წმენდს და ისე მიდებს პარკში ვაშლს... ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ამ ვაშლებს მჩუქნიან და გაუთავებლად ვიმეორებ «спасибо!»... თითქმის კილონახევარი შემიგროვდა, დროა სახლისკენ გზა განვაგრძო, ასეც ვიქცევი. ჯერ კიდევ ეიფორიაში ვარ, ვიღაცის ხშირი სუნთქვა და ჩქარი ნაბიჯები ზურგსუკან მაიძულებს შემოვტრიალდე: «всё что поймали... сказали, вы уронили...» ძალიან გამოწკეპილი ბიჭი ყვავილებით ხელში, აი ისეთი პიკის საათის შემდეგ მეტროსთან რომ ხვდებიან შეყვარებულს, საქმიანი სახით ორ ვაშლს მაწვდის კიდევ... უზომოდ ბედნიერი სახლს მივუახლოვდი... სანამ სადარბაზო მიმიღებდა, ცას ავხედე, ჩამავალი მზე მე მიცინოდა... რამდენი დავწერე... არა და მთელი მოქმედება რამდენიმე მშვენიერი წუთია, მერე მეხსიერებაში რეტროსპექტივად რომ იქცევა... აბა არ უნდა მომეყოლა ეს ამბავი?

ადამიანებო, მე თქვენ მიყვარხართ!

უამინდობა მეტად გვახსენებს სულის «ამინდი» ვინ მიისაკუთრა, ან უკითხავად ვინ წაიყოლა... უკვე მერამდენედ იპადება «ჰე ჩემო ესე უსტარი»-ის სტილში გრძნობა-გონების ჭიდილს გამოქცეული, სევდიანი სონეტებისგან შემდგარი ვირტუალური აღსარება – ბარათი... ჩაუტეხელ-დაუწვავი ხიდების ფონზე აფრენილი ვირტუალურივე საფოსტო მტრედი ადრესატამდე მიუღწევლობას იმიზეზებს და ისევ და ისევ მიბრუნდება...

ალბათ, ასე სჯობია: – რეალობა sms, Viber, WhatsApp-ი უსულეულოა, თბილ სიტყვებს კი აქვთ თბილი კანი, მაინც მირჩევნია, ათასი ლამაზი სიტყვის მაგივრად, თუნდაც ერთხელ მოეხვიო ადამიანს, გაუთბო გაყინული მზერა, გული და ხელები. ნაცრისფერი დღეების წყება და უვარსკვლავო ზეცის სევდა მარტოსული ლამერბის მელოდიად ქცეული, ტაიმაუტს უფრო ჰგავს. შორეთში დარჩა გაზაფხულივით ასაკი, თოვლისფერი ვარდები და ჟინი. აუხირდა ვიღაც ფერად დღეებს და დაითრგუნა ცისფერი ქალი, თეთრი ლამერების მძივი რომ უმშვენებდა ყელსა და სუსტ მხრებს; გაუცხოებულ მკერდზე მორჩილად დაწყობილმა უღონო თითებმა მცხუნვარება დაკარგეს, შერჩენ ლაქად გრძნობისაგან დაცლილ დიღას; განთიადი დაერქვა არაფერს და იზეიმა სიმარტოვემ; განიძარცვა იმედიანი ლიმილიც, ნახევარი მილიმეტრით მაინც – «თქვენ ისე მკაცრად ექცევით დღეებს, ხომ შეიძლება შემოგადნეთ ერთ-ერთი მაინც» – ასეთია უამინდობის «ავტორისთვის» მიწერილი და მიუღწეველი ფრაზები, სინანულმოკლებული და სადღაც სენტიმენტალურიც...

ოქტომბერი იწურება, ჯერ კიდევ ჭრელია ქუჩები და ჭყეტელაა ბუნება. უკვე სუსხშეპარულ ჰაერს სიგრილედ მივიჩნევ და



თბილისურ ვერხვის ფოთლებს ვნატრულობ არყის ხეთა ფოთოლ-ცვენაში. ავი ქარი უხილავი ფუნჯით ურევს ფერებსა თუ სურნელს და ჩაციებულ ღვინოსავით გვაწვდის ავანგარდულ სურათებს, სილამაზით შეზარხოშებული ვერ ვამჩნევთ მოკლე დლეებს და გონს მოუსვლელად ვერევით ნაადრევ სიბნელეს. ვხარობ, ჩემი საყვარელი დროა: – ხილთა შორის უპირველესის – ბრონქულების, გვიანი ლევის, ხურმის, კომშისა და დარბაისელი გოგრების სეზონი; ხვავისა და ხორაგის დეფილე, წითელ-ყვითელი ფერების ბენეფისი. მეც ვუერთდები: – ბიზანტიური ოქროსფერი, ძველთაძველი ვარაყის ფერი ჩანთით, მენამულისფერი ქაშმირჩადგმული სახელურებით. პირველ თოვლამდე ერთად ვიქნებით, მერე გაზაფხულს გავუღიმებთ. ჩანთას ფერიც აქვს და გემოც, სურნელიცა და სულიც, ესე იგი, სულდგმულია...

ხელები მითხება, ვხედავ გულს... განა «Chloe»-ს ბრენდია ორგანული ან სისხლხორცეული, თვით ჩანთის ენერგეტიკა და აურაა მნიშვნელოვანი თითქმის 30-წლიანი ფესვებით, უკიდეგანო სულით... წამომცდა: – «რა მშვენიერია-მეთქი»... მაშინვე დაიჭირა ჩემი აღტაცება: – «თუ ატარებ, ახლავე შენიაო» – მითხრა და აღარც მომისმინა. ჩაცალა შიგთავსი პაკეტში და დაცარიელებული ჩანთის ახალ მფლობელად იქვე მაკურთხა. ნებისმიერი ცუდი დღის გამოკეთება შეიძლება საყვარელი ადამიანებით, მათთან დაკავშირებული მოგონებებით, მათი დატოვებული ემოციებით...

გურულმა წაბლმა მოაღწია ჩემამდე «თბილისობის» მონაწილემ, არც მეტი, არც წაკლები, «Chloe»-ს ჩანთამ შეიკედლა 1 კგ წაბლი და ორივე რუდუნებით ვატარე. შემწვარი წაბლი ცივ კვირადლეს გამითბობს-მეთქი და დავინუე ჰაერლუმელთან ფაციფუცი. შეინვა წაბლი, დავინვი თითი: – ვაი-მეთქი და მოვარდა შეშინებული გრეფფი, დამიწყო ფეხებზე კოცნა. ვუბერე თითს, ვკოცნე და ვეფერე, მალამო მოვიძიე, მეამა, განელდა ტკივილი...

უკვე მწუხრის ხანს, დასაძინებლად. ვემზადებოდი, სამუშაო ტელეფონი ამოვიდე ჩანთიდან რომ დამეტვირთა. ის სურნელი ამოჰყვა... ოდესლაც ჩარჩენილი თუ იყო, ან ჩემთვის გაცოცხლდა, შლეიფი ვიყნოსე და, გაქრა კიდეც... მერე ჯადოსნური ღამე მოვიდა და პატარა ფერია მესიზმრა – ძალიან საყვარელი, ფიტქინა, ცისფერთვალა, კუდრაჭათა შორის კუდრაჭა, ოქროპირა-ოქროსთმიანი, მოტიტინე-მოკისკისე, ჯადოსნური ჯოხით ხელში, იდგა და ჩემს ჩანთაში ძილმორეულ ხუთკუნჭულებს, ნაცარქექიებს, დევებს და ეშმაკუნებს ალაგებდა. შემამჩნია, მოცუნცულდა და ის სურნელი შემომაფრქვია. პატარა ყველა საყვარელია, მაგრამ ეს ნამეტანი სახელურელი ჩანდა. მეცნო თბილისელი ნამცეცა გოგო ულამაზესი სახელით – მარიტა! დამტუქსა: – «ფრთხილად, ფრთხილად»-ო, მერე ჯადოსნური ჯოხით შეეხო დათუთქულ თითს და კმაყოფილმა გამილიმა.

გათენდა... დამწვრობის კვალი ძლივსლა შეინიშნებოდა. ერთგული გუშაგივით მელოდა ჩანთაც, როდის გავწევდით სამსახურისკენ. სარკმელს მიღმა ცრიდა და ქარი მემუქრებოდა. ტელეფონი შევამოწმე – «ადრესატს» ხომ არ გავახსენდი-მეთქი. «დისპლეიმ» თანაგრძნობით შემომხედა. რატომლაც მორის ფოცხილის ლექსი გამახსენდა:

«ჩვენ ვიცინით,
რადგან გვგონია,
ტირილს მოვასწრებთ მერეც.
ხელებს შევყურებთ,
გულებს, გვგონია
მოვეფერებით მერეც.
დავაგვიანებთ,
როგორც ყოველთვის
სადღაც საყვედურს გვწერენ.



ჩვენ ვივიწყებთ და
ასე გვგონია
გაგვახსენდება მერე»..

«Facebook»-მა მიხმო – ნაუცბათევად მოვინახულე ამბების ლენტი, მეგობართა პოსტები, სიახლე და ერთმა მომენტმა მთელი დღის მარაგი პოზიტივით ამავსო, სასიამოვნო განწყობა შემიქმნა და მეც ვუმზირე საღამომდე ცასა და ქვეყანას ღიმილიანი თვალებით, ორჯერ მეტად ხალისიანად და ხარისხიანად ვემსახურე სამსახურს. ყველაფრის მიზეზი კი ერთი ულამაზესი მელოდიაა, ჭკუის დაკარგვამდე მომხიბვლელი.

მონიკა ბელუჩი, ქალი – ქალღმერთი რომ იფერებს და აფერადებს... ეს კლიპი ცხოვრებისეული ორომტრიალის ფონზე დავიწყებული მქონდა, მაგრამ ისეთმა ლამაზმა და შუქიანმა გოგომ გამოამზეურა, ისეთი ესთეტიკური გემოვნებისა და მშვენიერი სულის მფლობელმა, რომ ჩემი დღეც სილამაზით დაიმუხტა. ჩანთამ მზრუნველად მამცნო, რომ ერთი მუჭა შემწვარი წაბლი საგზლად მრჩებოდა. სამუშაო დღე უკვე მიწურული იყო, როცა შევნიშნე, უამინდობა ამინდს ჩაენაცვლებინა, ბინდისფერი – სილაუვარდეს.

მოსკოვი-თბილისი-ახმეტა-დუისი... საყვარელი ხალხი, ნათესავები, მეგობრები... აი, ვინ ქმნის ამინდს, რომელიც სინამდვილეში ფანჯრის მიღმა კი არაა, ჩვენს სულშია...

«А вы сегодня были счастливы?!

– Ещё нет!

– Тогда поторопитесь, этот день заканчивается...»

(Ренат Валиулин).



თუ ღიმილია, იყოს ღიმილი, ოლონდ გულწრფელი და ხალასი...

2006 წელია, შავთმიანი «გოგო» გახლავართ... შვილთან და მეგობარ მსახიობთან ერთად ხურგადაში, წითელ ზღვაზე სულსა და ტანში მზეს ვიგროვებთ, ნისლიანმა პეტერბურგმა რომ არ დაგვჩაგროს... დიდი მოცურავე მე არა ვარ, მყვინთავი-აკვალანგისტი, მით უმეტეს, სერფინგს ნაპირიდან ვადევნებ თვალს... ერთი ეგაა, ვკითხულობ და ვკითხულობ, სანამ მეგობრები ზღვის სივრცეში დროებით უჩინარდებიან... შვილი მითანხმებს დიპლომატიურად, ვიყიდოთ ექსკურსია: – გამჭვირვალე ფსკერიანი კატერით გავისეირნოთ და წითელი ზღვის ბინადარი სამყარო ვინილოთ... თან ბუზლუნებს, ამაზე მაინც დამთანხმდი, რახან ბედუინების სანახავად არ გამიშვიო... ამ არგუმენტის მერე კაპიტულაციას ვაცხადებ და ვუერთდებით კატერის მგზავრებს...

მშვენიერი, ენით აღუნერელი სანახაობა იშლება ჩვენ თვალწინ, კატერი შუა ზღვაშია უკვე – მხოლოდ ჰორიზონტია ხმელეთის ნაცვლად, წინ მთელი ერთსაათიანი პროგრამაა კიდევ... და ამ დროს მეწყება «ზღვის ავადმყოფობა»... ერთი ქალიც ამ გასაჭირებია... მოკლედ ჩემს მტერს... კოპტი ინსტრუქტორი გვირჩევს გლახა მგზავრებს, დროებით გადავსხდეთ უახლოეს პატარა კუნძულზე და უკან წამოსვლისას მოგვაკითხავენ... ამ შუა ზღვაში ამოზრდილ კლდისა თუ მიწის წაგლეჯზე კი არ გადმოვსხედით, გადმოვეყარენით მე და ინგლისელი ქალი... ჩავერჯე სილაში სახით... ჰორიზონტალურ მდგომარეობაში უმოძრაოდ. როგორც იქნა, მოვკეთდი და წამოვნიე თავი, თვალები ბაჯაღლო ოქროსფერ სინათლეს შეეჩივნენ და დიდი კლდე დააფიქსირეს, უცბად თავში სისხლი ადუღდა... მთელ პერიმეტრზე, მკაფიოდ, მზითა და





ქარით შეფერილი, ამოკანრულ-ამოტვიფრულ-ამოჭედილი დამყურებდა წარწერა – ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!!! ... ვინ დაწერა წეტავ? როგორ? როდის?!.... წამოვდექი კი არა, წამოვხტი... გავიზარდე... ავმალლდი... ჩემმა ყიუინამ ის ინგლისელიც წამოაყენა... სამწუხაროდ, თან წახევარკილოიანი უკამერო «Nokia» მქონდა, კადრი არა მაქვს... კეისარივით გაბლენძილი ამაყად «დავბრუნდი» კატერზე, ინგლისელი ქალი ისევ ცოცხალ-მკვდარი იყო... არადა, 20 წელი კიდევ ვიკატავეთ, მე გადასარევად ვგრძნობდი თავს... იცოდა იმ მაღალმა ღმერთმა, რომ ეს ტურისტი ქალი სინამდვილეში «ბედკრული» საქართველოს შვილი ვიყავი და დამმართა ის, რაც მანამდე და მის მერეც საერთოდ არ დამმართია – ზღვის ავადმყოფობა... დამანახა, მაგრძნობინა, მაჩუქა სანაცვლო ბედნიერება... მოკლედ, სადაც არ უნდა ვიყოთ, საქართველო ჩვენთანაა...

დღეს რუსეთში სამხედრო-საზღვაო ფლოტის (ВМФ) დღეა... ორკესტრი უკრავს, მარშირება მიდის... თვალი წამდაუწუმ აწყდება «парадно-выходной наряд» – ფორმაში გამოწყობილ სამხედროებს ადმირალების გარდა (ისინი ფეხით მოსიარულენი არ არიან... მთავრობაა)... ღრუბლიანი, სველი, გრილი დღეა... მეზღვაურებისთვის ჩვეულებრივი... ამინდზე ისინი არ ჩივიან, როცა ხმელეთს ავსებენ...

კვლავ მეტროში ვარ, ესკალატორზე... მეღიმება, ვიხსენებ... 2013 წელია... რუსეთი, როგორც თითქმის მთელი მსოფლიო (პარდონ კრიტიკოსებთან) გონებადაკარგული, მონუსული, «დიდებული საუკუნის» მაყურებელია... ჰიურემისა და სულეიმან სულთანის ტანდემი მაგიურად მოქმედებს ყველაზე... ეს ეკრანზე... რეალობაში კი ივლისის საშინლად ცხელი დღეა, პეტერბურგი დნება... სამსახურში მივდივარ... მეტროს ვაგონი გატენილია, თან სვენებსვენებით მიდის... უკვე ვერა ვარ კარგად, ჰაერი მენატრება... მაღლობა უფალს! კარი იღება და ბრბოსთან ერთად მივცურავ... ვაივაგლახით ვდგები ესკალატორზე, ვამჩნევ მაღლა ორი ესკალატორი მიდის ხალხის სიჭარბის გამო... მეზობელ ესკალატორზე, ჩემს გასწვრივ, ორი გოგონა ვიღაცას ეპრანჭება, მაგის თავი არ მაქვს – გავარკვიო, ვის?!... თავბრუ მესხმის, თვალთ მიბნელდება და უკან მივექანები... არ ვიცი, რა იყო... მაგრამ რომ არ დავეცი, ვიგრძენი... ერთდროულად რამდენიმე ხელმა დამიჭირა. ასეთ პოზაში, ვიღაცის ხელებში მყოფს გონებასთან ერთად სინათლე მიბრუნდება. კონტურებს ვხედავ... გვერდზე რახან ვარ გადახრილი, მზერა ისევ იმ ორ გოგონას იჭერს და ვხედავ... კარგად მესმის, როგორ ეუბნება დაბოლმილად ერთი მეორეს: – «это она специально сделала...»

სამხედროები

სამხედროები



თან ორივე თვალებით მწყევლის... აი, რამ მომიყვანა გონებაზე საბოლოოდ: – თურმე ჩემ უკან კურსანტი მეზღვაურები იდგნენ, 19-20 წლისები, საზემოდ ჩაცმულნი თავიანთი სამხედრო ფორ-მით და ის გოგოები ამათ ეპრანჭებოდნენ... მე კი ყველაფერი გავა-ფუჭე... კურსანტებმა ლამის სამუშაომდე მიმაცილეს, – არ მომეშ-ვნენ, სანამ არ დავარწმუნე, რომ კარგად ვარ-მეთქი... კარგად აღზრდილი, თავაზიანი ახალგაზრდები იყვნენ... ლმერთმა გაახარ-ოთ!... მე კი მერელა მივხვდი – გოგოები რატომ გაბრაზდნენ, მათ ჩემი ცუდად გახდომა არ დაიჯერეს, პირიქით, ქალურ ეშმაკობად ჩამითვალეს... პრინციპში ჰიურემმა ასე არ მიიქცია ყურადღება?... ოო, – ამოიკვნესა და სულეიმანს ხელებზე გადაესვენა.... პოდა, გოგონებმაც იფიქრეს ჩემზე: – გაითამაშაო... მოკლედ, კავალრები წავართვი, განწყობა დავუკარგე, დღე ჩავუშამე ... მას შემდეგ ფლოტის დღეს, მეტროში, ყოველთვის მახსენდება ჩემი ამბავი... ოჰ, ეს «დიდებული საუკუნე»...

გუშინ ისეთი ხვატი იდგა პეტერბურგში, ჰაერი ადულდა, აორ-თქლდა და დაიკარგა... ამ სამხრეთელ ქალს ჩრდილოეთის ყინვიანი დლეები მომანატრა... ხალხი ხელოვნურ სუნთქვაზე იყო გადასული: ვენტილიატორები და კონდენციონერები ფილტვებს შველოდნენ, ბრონქებს კი ყოფას ტირობდნენ... მინისქევეშეთში გრილოდა, სუბ-ნაყ აშრობდა დასიცხულ-დაცვარულ მასას და მაღლა უკვე მოსუ-ლიერებულებს აგზავნიდა... პოდა, მივდივარ, მივარღვევ ამ ცოცხ-ალმკვდარ, სიცხით გათანგულ, სლავიანური სახეებით შეფერილ ბროუნის მოძრაობას სადგურ «гостиный двор»-ის ესკალატორამდე რომ მივაღწიო. ვხედავ, ამ ჭრელაჭრულა (არ უყვართ აქ შავი ფერი ქართველებივით...), ოფლიან მასაში ცენტრალურ ფიგურასავით მოდის თუ დგას (ყოველგვარი ქსენოფონბიური ირონიის გარეშე) გაბრწყინებული, კმაყოფილი სახით, ქათქათა თეთრ შარვალსა და შავ მაისურს შერწყმული ზანგი, თვითონ კუნაპეტივით... ამიტომ სახე არ ჩანს... სამაგიეროდ, შავ მაისურზე მკაფიოდ იკითხება, თეთრად, მსხვილად: «FRESH».... ეგზოტიკა ხალისობდა... იყო ამა-ში სამართალიცა და იუმორიც.





როგორ მეცოდება, რომ ლაპარაკი არ შეუძლია... არადა, ყველაფერი ესმის... ყველა სათამაშოს მოგირბენინებს, რომელსაც დაუსახელებ... ბულგარული წითელი წინაკა სიგიურემდე უყვარს, ამიტომ სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური...) დაამსეცა წინაკის სახელი და შიშით ვეღარ ვახსენებთ, რომ არ მოგვთხოვოს... გადავედი თურქულზე: ბიბერ... ასეთი დაშიფრული – კოდური სახელით ვთხოვე შვილს სუპერმარკეტში ეყიდა... მაგრამ რა, დავჭერი ეს ბიბერ-ი... სურნელი დადგა და ატყდა ერთი ამბავი: – თხოვნა წემუტუნით, ლამის ტირილით... ბოლოს კატეგორიულად მოითხოვა: – შემომყეფა... ამასობაში მე თითი გავიჭრი და ვაიმე-მეთქი, ამოვიკვნესე... კუჭის ამბავი გვერდზე გადადო და ჩემი შველა გადაწყვიტა... ერთად მოვქებნეთ პლასტირი, თითი შევფუთეთ... ამ ხნის განმავლობაში ფეხებს მიკოცნიდა, თვალებით სიყვარულს მეფიცებოდა... მიხვდა, რომ ხასიათი დამეკარგა და წარმოიდგინეთ, წინაკაზე უარი თქვა (დროებით რა თქმა უნდა...) ნამდვილი რაინდი... სადღა არიან დღეს ასეთები... ახლა მე ვწერ... ეს წევს და ფიქრობს... წინაკა ისევ ხელუხლებელია... რა ქნას, იმიჯს ვეღარ უღალატებს... ჯენტლმენია... მოკლედ ჩემს გრეფ-ფზეა საუბარი...

ვითომ წარსულზე ფიქრს უფრთხის, მაინც იქაური დარდი დააქვს; ვითომ სასწაულების არ სჯერა, სურვილების ჩაფიქრებას ჯიუტად აგრძელებს; სულში იარების ხანძარია, მესსიერებაში მაინც ისეთ მომენტებს ეძებს, რომ გაიღიმოს; ხშირად პოულობს, ხშირად იღიმება, მე მას ყოველ დილით სარკეში ვხედავ...

– დილა მშვიდობისა ნაცრისფეროვლიანი პეტერბურგო!

დილა ყველაზე მშვენიერი დროა დღე-ლამეში, თუნდაც იმიტომ, რომ ლამესავით დაუნდობლად არ გვაიძულებს, გავიხსენოთ, რისი დავწინებაც გვინდა. დილა დღეს იწყებს და განწყობილებას გვთავაზობს. სასწაული რამეა ეს განწყობილებაც – საიდან მოდის ან სად მიდის?! როცა ვეძახით, რატომ არ ჩნდება, ვითომ არ ესმის?! თუ თავს იკატუნებს?! ყოველი დღე სასიამოვნო ვერ იქნება, მაგრამ არის რალაცა კარგი თითოეულ დღეში, მით უმეტეს საყვარელი მელოდიის აკომპანიმენტით გონებაში («ბოროტულად» ამ განცდას აკვიატება ჰქვია). ლამაზ მელოდიას სიტყვები არ სჭირდება, ლამაზი სიტყვები ითხოვენ მელოდიას; სიტყვები, როგორც გორეკი ამბობდა – ყველა ფაქტისა და აზრის სამოსელი; «ჩემი აღარა ხარ, მორჩა... მწამდი უპირველეს ყოვლის»...

მინორული განწყობით ამოვდივარ მეტროდან, ნალვლიანი ცადამშტერებია და მათოვს. მივუყვები პროსპექტს, სარეკლამო ბანერს ვაწყდები თვალებით: – «Georgian legend» მართავს კონცერტს. დამთბა... სისხლმა იყივლა... როგორც მაშინ, ორი თვის წინ, ანსამბლი «ვაინახის» გამოსვლისას... გარშემო ბულგაკოვისეული ზამთარია და «შეურაცხყოფილი თოვლი». სიცივეს ვერ ვგრძნობ, სული აბობოქრდა, რა დროს სიცივეა... ჩექმა რომ არა, თითისწერებზე ავიწეოდი – «დავდგები ცერზე, როგორც ავაზა» – ცოცხლდებიან ჯანსულ ჩარკვიანის მაგიური სტრიქონები და, მოგონებებთან გადანასკვულნი, მხლებლებივით მომყვებიან.




«Flashback»: – 1992 წელია, აგვისტო, გროზნო-მოსკოვის ავიარეისზე რეგისტრაციას გავდივარ. ჩემთან ერთად ლონდონელი დენდივით გამოწყობილი 12 ჩეჩენი რეგისტრირდება. სიძე მაცილებს. დიდის ამბით ანდობს-აბარებს ჩემს თავს «12 გამოწეპილ მამაკაცს», ზოგადად მაცნობს და მემშვიდობება. ვრჩებით მე და ანი უკვე ჩემი «საჰაერო ძმები» სტიუარდესების მოლოდინში. პატარა მოსაცდელი ოთახი ჩემი მოკრძალება-დარცხვენითა და მათი ზეგალანტურობა-თვითდაჯერებით აივსო...

უველანი ტრანზიტული რეისის ტრანზიტული მგზავრები ვართ – «თბილისი-გროზნო-მოსკოვი», ავიაკომპანია «ორბის» თვითმფრინავი ჩეჩენეთის დედაქალაქში საწვავით მარაგდება და თან მგზავრებს იმატებს. საქართველოს ეკონომიკურად რთული პერიოდი უდგას, ჩეჩენეთი «ავიზოს» ნაყოფიერ შედეგებზე ჰყვავის. უცხოური მარკის პრესტიული ავტომობილები დაპერიან ქუჩებში, «სვაროვსკის» ჭაღები ანათებენ სიბრძლეს და ლამაზად, მდიდრულად ჩაცმულ ისედაც ლამაზ ერს მზე თითქოს ეცოტავება.


მერე უველაფერი შეიცვლება, წყვდიადი მოიტანს ტკივილს, ნგრევაში დაიმარხება სილამაზე და გადახვეწილი თამარა დადაშევა მოთქმით იმღერებს «სა ხაზა ღაალა»-ს... ეს მერე... ახლა კი გარშემო სიცოცხლე თავს იწონებს, სილამაზე კეკლუცობს, მემილიონე ჩეჩენი იბადება და ასაფრენ ზოლებზე ფალავნებივით გამოდიან «აერიფლო»-ს გამოყოფილი ავიაკომპანია «Stigl»-ის (ჩეჩენურად «ცა») თვითმფრინავები...

თაკარა მზე უმოწყალოდ აცხუნებს. სტიუარდესა – გროზნოს მხრიდან, პირველი ადის ტრაპზე და ხანმოკლე შეყოვნების შემდეგ თვითმფრინავის სალონში გვეპატიუება. ჩვენი ჯგუფი დელეგაციას წააგავს, რომელშიც ჯიგიტი ჯენტლმენები უპირობოდ მითმობენ პირველობას. ქართველი სტიუარდესები რუსულად გვესალმებიან და წინა ადგილებზე გვიწვევენ. მე გასასვლელთან ჯდომას ვირჩევ.




მოძღვართა ქვეყანა.
ტილო, ზეთი, 60X80.

მოძღვართა ქვეყანა



სერიდან: მეტაფიზიკის სიმბოლოები.
მუყაო, ზეთი, 20X30.




ღვთისმოსავი.
მუყაო, ზეთი, 40X40.



გაფრენა.
ტილო, ზეთი, 40X70.

100



სიცოცხლის ხე.
ტილო, ზეთი, 30X50.

101



ნაშთი წარსულისა.
ტილო, ზეთი, 40X70.

102




შემოდგომა.
მუყაო, ზეთი, 40X40.

103




ძიება.
ტილო, ზეთი, 50X70.

104



საცალფეხო ხიდი შემოდგომისას.
მუყაო, ზეთი, 40X40.

105




შემოდგომა მთაში.
ტილო, ზეთი, 60X120.



მოხუცი ჩეჩენი.
ტილო, ზეთი, 60X80.



თავისუფლების რევციემი.
ტილო, ზეთი, 50X80.



უძველესი ვაინახური კოშკები.
ტილო, ზეთი, 40X60.



ძიება.
ტილო, ზეთი, 60X80.

წიგნის ავტორი და დიზაინერი მადლობას ვუხდით ნორვეგიაში მოღვაწე გამოჩენილ ჩეჩენ მხატვარს **რუსლან ხასხანოვს** იმ უანგარო დახმარებისათვის, რომელიც გაგვიწია წიგნზე მუშაობისას, — პირადად მოგვაწოდა საკუთარი ფერწერული ტილოების ფოტოილუსტრაციები და მათი გამოყენების ნება დაგვრთო.

რუსლან სამადის ქასხანოვი დაიბადა 1973 წელს დაღესტნის ქალაქ მახაჩალაში. 1989 წელს მოეწყო მ-ჯ. ჯემალის სახელობის დაღესტნის სამხატვრო კოლეჯში. 1997 წელს განაგრძო სწავლა სანკტ-პეტერბურგის ი. რებინის სახელობის სამხატვრო აკადემიაში. ამჟამად ის ასწავლის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეალიზმის მიმდინარეობას მხატვრობაში. აქვს საკუთარი სკოლა «Renessanse kunstskole». არის ნორვეგიის მხატვართა კავშირის წევრი.

გამოფენები:

1997 - იმამ შამილის 200 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა სანკტ-პეტერბურგში.

1999 - გამოფენა სამხრეთ კორეის ქ. იულსანში

2002 - მოსკოვის სახვითი ხელოვნების აკადემიაში ჩეჩენი მხატვრების გამოფენა.

2004 - გამოფენა ნორვეგიის ქალაქ ტუნსეტში

2005 - გამოფენა გალერეა «Stasjon», ქ. მოელვი, ნორვეგია

2007 - გამოფენა გალერეა «Athene», ქ. ბერგენი, ნორვეგია

2007 - გამოფენა გალერეა «Ретт вест» ქ. შლემესტადი, ნორვეგია

2007 - გამოფენა გალერეა «Athene», ქ. დრამმენი, ნორვეგია

2007 - გამოფენა გალერეა «Stasjon», ქ. ლიერი, ნორვეგია

2007 - გამოფენა გალერეა «Athene», ქ. სტავანგერი, ნორვეგია


2008 - გამოფენა გალერეა «Ustava», ქ. პამარი, ნორვეგია

2008 - გამოფენა Lycepaviljongen-ის მუზეუმში, ქ. დრამმენი, ნორვეგია


2009 - გამოფენა Lycepaviljongen-ის მუზეუმში, ქ. დრამმენი, ნორვეგია

2010- 2018 გამოფენები ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს სხვადასხვა გალერეებში, ასევე სხვადასხვა ქვეყნებში.


წიგნის 97-108 გვერდებზე გამოქვეყნებული ილუსტრაციები ეკუთვნის რუსლან ხასხანოვს.




პანკისი. ავთანდილ არბოლიშვილი.
ტილო, ზეთი, 40X50.



სპეროზა. ავთანდილ არბოლიშვილი.
ტილო, ზეთი, 50X70.



დარეჯანის სასახლე. სპარტაკ ხორგუაშვილი.
ტილო, ზეთი, 30X80.



ძველი თბილისი. სპარტაკ ხორგუაშვილი.
ტილო, ზეთი, 70X100.



სანკტ-პეტერბურგი. სასახლის ხიდი.



სანკტ-პეტერბურგი. თეთრი ღამეები.

სალონი სავსეა ლოდინით დაღლილი სახეებით, უსიხარულო თვალებითა და მოთმინებაგამწყდარი ლექსიკით. გვიკურთხავს ყველა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი და კაცი... უკმაყოფილოებისა და დისკომფორტის განცდა, დროის ზღაზვნის შეგრძნება და ეკონომიკური სივიწროვის სიმწარე ბავშვების ტირილს მისამ-ლერად ტოვებს და ერთ დიდ მძულვარე მზერად ქცეულ ბოლმას გვიშენს. ჩეჩენები ერთმანეთში ხუმრობენ, აუჩქარებლად იკავებენ ადგილებს, იცინიან და უცინიან ყველას. ამასობაში ჩვენი «შეფასება-კურთხვა» გრძელდება. გასწვრივ მჯდომი ახალგაზრდა კაციც «სოლო-პარტიას» გვიძლვნის და მეც არ მივიწყებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლიური, მონატრებული და საყვარელი ენა მკენეს და მამათრახებს, მაინც არ მწყინს და არ მტკივა, იმდენადა ვარ მონატრებული ყველაფერს ქართულს.

ღრუბლებს ზემოთ რომ აღმოვჩნდით, გნიასი და გუგუნი ჩაცხრა, ტირილით გასავათებული ბავშვებიც კი დაწყნარდნენ. უმრავლესობამ ჩათვლიმა. ახალგაზრდა კაცმა, განსაკუთრებული მონდომებით რომ გვიკურთხავდა, ქართული გაზეთის კითხვა დაინიუო. ხელის განვდენაზე იჯდა ჩემიდან. გაზეთი საშინელი პოლი-გრაფიისა ჩანდა (ხელზე რჩებოდა საღებავის კვალი), მაგრამ მაგის დარდი ვის ჰქონდა, წაკითხვის სურვილით თავბრუდახვეული და ბლაგვი კუთხის მსგავსად გადახრილი ვკითხულობდი, რასაც ვხედავდი. გაოგნებულმა ბიჭმა ერთი კი გადმომხედა, ვერ იგებდა – ჩეჩენურად მოლაპარაკე ქალბატონი ასე რატომ დავინტერესდი ქართული შრიფტით. ადგილზე გავსწორდი, მაგრამ თვალს მაინც ვადევნებდი. როგორც კი გაზეთის კითხვა დაამთავრა და შესანახად გადაკეცა, უმალ ვთხოვე: – მაპატიეთ ბატონო, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, თქვენი ნებართვით, სულ რამდენიმე წუთში წავიკითხავ გაზეთს და დაგიბრუნებთ-მეთქი. ბიჭი გაშრა, გაოცებისაგან

საქართველო

რაღაცნაირად უაზროდ შემომხედა და გაშტერდა. ის იყო, თხოვნის გამეორება დავაპირე, რომ ძლივს ამოღერლა: – თქვენ ქართული იცით?!

– რა თქმა უნდა, – ვუპასუხე გალიმებულმა.
– კი მაგრამ, საიდან, ქართველი ხართ?
– ქისტი ვარ, – ვუთხარი და მისი სირცხვილით ალმოდებული სახე და შეძრნუნებული მზერა რომ გამომესწორებინა, კვლავ გა-ვულიმე. არაფერი არ გამომივიდა...

– «ვაი ჩემო თავო, ვაი სირცხვილო, მაპატიეთ, თქვენი ჭირიმე, ჩემო დაო, ძალიან გთხოვთ, მაპატიეთ; ოხერმა ყოფამ გადაგვაგვა-როს ლამის, დაწყვეტაზე გვაქვს ნერვები; გაზეთი რამენაირად ისე დაიჭირეთ, რომ ხელი არ დაგესვაროთ; თუ გინდათ, დაიტოვეთ, მე უკვე წავიკითხე», – ბიჭი ადგილს ვერ ირგებდა, თითებით შუბლს იზელდა.

– ნუ წუხართ, ჩვენ არ გვწყენია, ერთი ოჯახის შვილები არ ვართ განა? – მივუგე და 12 ჩეჩენიც ქართულის მცოდნე ქისტებად «ვაკურთხე» (ასე ვიყარე ჯავრი მებენარ ეპითეტებზე). თურმე, ჩვენი დიალოგი, ბიჭის გარდა სხვებსაც ესმოდა და, მთელ სალონს მოედო. შენუხდა ხალხი, რა გაეკეთებინათ, არ იცოდნენ. სანამ მე ქართულად ვჟღურტულებდი, ჩეჩენი ძმები ცალკე გაოცდნენ, ვერ გაერკვიათ ვინ ვიყავი სინამდვილეში, საიდან ვიცოდი ქართული, და საერთოდ, რას მელაპარაკებოდა ეს ხალხი ასეთი შენუხებული, ან მე რაზე ვესაუბრებოდი?!

მოკლედ, მომიხდა მათთანაც «გამომჟღავნება». ქისტი «მატა ჰარი» არ შედგა...

რაც უნდა მეთქვა, ის ვთქვი: – ქისტი ვარ საქართველო-დან, ნათესავებთან გროზნოში ვსტუმრობდი. კარგა ხანია საქა-რთველოში არ ვყოფილვარ, ახლა აქ ბევრი ნაცნობი ალმოჩნდა და ნაცნობის ნაცნობი. ჰოდა, ხალხი წუხს, რომ ჩემს ჩეჩენ ძმებს

პატივს საკადრისად ვერ სცემენ, დიდი გაჭირვებაა და თავიანთი ამგვარი ყოფის გამო იბოდიშებენ, თორემ საქართველოში მაინც ღირსეულად მიგიღებენ, იცოდეთ» – ვუთხარი და ნაჩუქარი ჩურჩხ-ელებიც შევთავაზე – ქართული «სიკერსია»-მეთქი. ჩეჩინები ცოტა არ იყოს, დაიძაბნენ, თითქოს შეფიქრიანდნენ კიდეც, ყოველ შემ-თხვევაში, ასე მომეჩვენა.

მე და ის ახალგაზრდა კვლავ გავესაუბრეთ ერთმანეთს. თავის შესახებ მომიყვა – მილიციის სკოლა მაქვს დამთავრებულიო; ნახე-ვარი წელია დავქორწილდი, მოსკოვში დასთან მივდივარ, თან იქნ-ებ სამუშაო ვნახო, ცოლსაც გადავიყვანდიო; პატარა დისშვილების სურათებიც მაჩვენა, აშკარად ძალიან ენატრებოდა; ერთ დროს ვცეკვავდი კიდეც და იქნებ ესეც გამომადგესო. მერე კავკასიის აწ-მყოზე ვილაპარაკეთ. დაფიქრდა, ჩანთიდან მუხრან მაჭავარიანის ლექსების კრებული ამოილო (1985 წელს გამოცემული) და გულით გჩუქნიო, – მითხრა. დისთვის მიმქონდა, მაგრამ თქვენ გაჩუქებოთ. უარი არ მიიღო, ეწყინა. მადლობებით დავიტოვე (დლესაც მაქვს).

ის დრო იყო, ყველაფერი უცხოური ძვირფასად რომ ითვლე-ბოდა, ტკბილეული მით უმეტეს. ჰოდა, ჩამოატარეს სტიუარდე-სებმაც «duty free»-ს სტილში სინკერსები, მარსები, ბაუნტები და ტვიქსები. ჩეჩინებმა მთელი ნუგბარის ფული გადაიხადეს და სტი-უარდესებს სთხოვეს, სალონში ყველა ბავშვისთვის დაერიგებინათ, ერთი პატარა პარკი კი ჩემთვის შეეფუთათ. უკვე მიწაზე, ბარგის მოლოდინში, ტკბილეულიანი პარკი იმ ქართველ ბიჭს გადავეცი დისშვილებისთვის მისატანად. ასეთები ვართ ქართველები და ქისტები, ვანახები და ქართველები...

ჯერ კიდევ გროზნოში, აეროპორტში ჩეჩინები ჩემს სიძეს დაჰ-პირდნენ, რომ სახლამდე მიმაცილებდნენ და ახლაც შემახსენეს: – მანქანით მიგაბრძანებთ, გადაწყვეტილიაო.

დამხვდურები არ ხუმრობდნენ: – არ ვიცი რა იყო მიზეზი,



რა თარიღს და ფაქტს ზეიმობდნენ ან ულოცავდნენ ჩემს ჩეჩენ თანამგზავრებს, მაგრამ მისალმება-მოკითხვის შემდეგ ცეკვა გა-ჩაღდა; ექსპრომტივით დაიბადა... აფეთქდა... აფრინდა... ცას ას-წვდა... ვიწრო წრე, ტაშით შექმნილი რიტმი, «ასასა» – ჰაერის გამ-კვეთი და აბსოლუტური თავისუფლების განცდა ხალიბის რკინასა-ვით გახელებული...

მოშორებით ვიდექი. ვუცქერდი და, ვგრძნობდი ჩემი ხალხის, ჩემი ერის, ჩემი და თქვენი კავკასიური ჯიშისა თუ გენის სისხლის ყივილს; მეცნობოდა სულის საოცარი სიმტკიცე, დიდგულობა და სიფიცხე. ქართველი ბიჭიც იქვე იდგა, მერე ზურგჩანთა მოიხსნა, გვერდით მყოფს გადასცა და ისიც ამ რიტმის, ამ ნერვის ნაწილი გახდა. მართლა ლამაზად ცეკვავდა. ჩეჩენებმა მოწონების ნიშნად ტაში განახლეს და ყიუინა დასცეს. რომელი მელოდია მოუხდე-ბოდა ცეცხლისა და რკინის ტანდემს, ალბათ ის, ლადო ასათიანმა რომ მოითხოვა: – «დაუკარით არწივების ასაფრრენი»...

კიდევ ერთი «Flashback»: – 2002 წელი, სანკტ-პეტერბურგი... «ნორდ-ოსტის» სისხლიანი მოვლენების შემდეგ, ფედერალური ქალაქების მაცხოვრებლების, ჩეჩენური წარმოშობის მოქალაქეთა მიმართ განსაკუთრებული მიდგომა დაიწყო – ოჯახებს ჩხრეკდნენ.

გათენებისას, 04:00 საათზე ჩემთანაც დაირეკა ზარი და არასამოქალაქო ფორმიანი ადამიანები «მესტუმრნენ». საკმაოდ კორექტულად მიდიოდა ანკეტა-დიალოგი, ათჯერ მოიბოდიშეს; ჩე-ქმა – ფეხსაცმლის კვალი რომ დატოვეს, ცალკე იმაზეც. ბინა არ გაუჩირეკიათ, ოთახებში მხოლოდ შეიხედეს. მოსკოვიდან იყვნენ.

ერთი მათგანი რუსს არ ჰგავდა, მიყურებდა, თითქოს ჩემი ამოცნობა სურდა. პასპორტი რომ მომთხოვეს, გადაშალა წოდებ-ით უფროსმა: – «ეს ეშვე რა ნაცია – კისტინკა?... კისტინკა რა ლი?» თქვა და გაიკრიჭა. აშკარად არარუსი გარეგნობის პიროვნება მომიახლოვდა და ძალიან ჩუმად მითხრა ქართულად: – ქართული

ხომ იცით?... რა თქმა უნდა, – მეც ჩუმად ვუთხარი და გავიღიმე.

– «я чеченка грузинского разлива» – ვუპასუხე კანონის მსახურსაც.

– «товарищ майор, это горские грузины», – გაისმა უნისონად.

– «твои земляки значит, Тамаз!»

– «Так точно», – მიუგო და ჩემკენ შემოტრიალდა: – არ გეც-ნობით? თუ არ ვცდები, მგონი, ერთად ვიმგზავრეთ გროზნოდან მოსკოვში.

– თქვენ მაჩუქეთ მუხრან მაჭავარიანის ლექსები, ხომ? – შეთქმულივით ვუთხარი და კარადისკენ გავქანდი.

იდგა გახარებული, წიგნს ფურცლავდა, თვალები აუცრემლი-ანდა, მეც ამეტირა.

– «ეს ვა, გოცა – გრძინი პრეკატი სენტიმენტები და დამატებით ამეტირა აუცრემლი-ანდა, მეც ამეტირა.

ნასვლისას ყველა ცალ-ცალკე დამემშვიდობა, სულ ხუთნი იყვნენ. მუხრან მაჭავარიანის ლექსების კრებული კი ჩემთან დარჩა. მე ისევ პეტერბურგულ ზამთარს ვეგუები...

კვლავ კავკასიური ცეკვის უინი მათბობს და ლამაზი სიტყვები-სთვის მელოდია მინდა...

თბილისში «ვაინახი» იცეკვებს, პეტერბურგში «Georgian legend» და მოვა გაზაფხული...

ვაინახები და ქართველები, ვფიქრობ, უკანასკნელი რომან-ტიკოსები არიან დედამიწაზე!..



ისე მოხდა, რომ ცხოვრების ადრეული წლები პოეზიამ მიითვისა,
ანტო კი პროზაიკული აღმოჩნდა... ხანდახან მაინც წავულირიკებ
ხოლმე... ჩემს საქართველოს შევძედე ახლაც – ჩემი შთაგონების
ულევ წყაროს...

* * *

ფიქრებმა დასერეს ფურცელი,
თითებმა კანკალი დაიწყეს...
აზრები არ რჩება უცვლელი,
ბარშიც ველოდებით არწივებს...
მთაში ატირდება პირიმზე,
შემყურე მორუხო განთიადს,
ყვავილთა შემზარავ კივილზე
მთები დაიგლეჯენ მანტიას...
ძარღვები წყდებიან გზადაგზა
და ქარი რექვიემს ღილინებს,
მოდის გაზაფხული ანაზდად
და კალთით იფარავს გვირილებს...
უცნაურ დასასრულს ელიან,
და ჰა, მოირჩენენ იარას,
თვალები, თვალები იტყვიან
ღიმილზე, ცრემლად რომ იარა...
ხვალ კი ბოროტების მინდორზე
დაგვხვდება დამჭერი ხვიარა...

შთაგონები

შთაგონები

* * *

ვსვამ სიანკარეს – შემოდგომის თავნება ქარებს,
მაწვდიან ზეცას – სათნოების უდიდეს ნაჭერს...
კვლავ მინორულად აჟღერდება სექტემბრის მთვარე,
თან ისევ წვიმად...
და ვვედრი უფალს, ანცი ფერებით მომიხატოს ნიღაბი – სახე,
ჩემში რომ პპოვო სიყვარულის ძახილი წმინდა...

* * *

წამად იქცევა წუთისოფელი,
ჩვენც დაგვტოვებენ ცხენები ლურჯა,
სული ნიაღვრებს გადმოიბირებს,
ათასი ეშმა სტრიქონში ბუქნავს...
ვინა, ვინ მესვრის ქათქათა გუნდას,
ცას შეკედლია წეროთა ქორო...
ო, სულის ჩემის მტვირთველო მძორო,
დამტოვებ ოდეს, დავრჩებით უბრად,
და თოვლიანი ზამთრის ცივ ლამეს
გაგახსენდებათ ფიქრებში წასულთ
წუთისოფელი და ერთი მწირი...



* * *

რატომდაც ცისფერი სევდა დამყოლია,
ხეებმაც ნისლის ნიღბები აიფარეს,
ჩემი მდუმარება ცა და ფოთოლია,
კოშკი-გოდოლია წინაპართ მიწაზე...
გინდ არ დაიზამთროს, მე ვარ გაზაფხული,
ბებერი ატმის ხე ყვავილებს მოისხამს...
რამდენი, რამდენი ლამაზი ასული,
სიმრავლე თვალ-ფერთა, ცისა და მოლისა...
სიზმრებში კეთილი ლიმილი დაიბნა,
უკვე გადმოკიდეს ჭრელჭრულა საბნები,
სინათლე გაექცა სიბნელეს კალთიდან
და თავზე მაყარა მზისფერი ვარდები...
რა გიყო, დაწყვეტილ ძარლვებს ვერ მოგაწვდი,
ჩვენ შორის კედელი ისეთი ყოფილა,
რომ ყველა მხატვარი და ყველა მგოსანი
ფუნჯით და ყალამით ამ კედელს ჰყოცნიდა...
...და მაინც, ცისფერი სევდა დამყოლია,
მაინც აიფარეს ხეებმა ნიღბები,
შეხედე, რამდენი კოშკი-გოდოლია,
გზაზე ისევ ყრია რძისფერი ფიქრები,
ცისფერი, რძისფერი სევდის მომგვრელია...

* * *

უკან მოხედვის გეშინია, უკან წარსული ძევს...
შენ გზა რომ გეგონა, ეგ ხიდია, ცრემლით გაუღენთილი მზე...
უკვე შემოდგომის ყივილია, ნატვრა სინანულად დარჩა,
შენ დღე რომ გეგონა, ეგ ბინდია, დარდით დაქარგული ფარჩა...
მე კი მიკივლია, შენთვის მიტირია, ჯავრით გაწყვეტილა ლექსი...
ჭალარა წლებია, და დიდი ტკივილია ჩვენი დაქანცული ღმერთი...
რა არ გდომნია და რა არ გიდევნია, მთვარე გაგიცვლია მზეზე...
სინათლეს თუ იცავ, სადღაც იმედია, ნუთუ გიყვარვარ და მეძებ?!



* * *

ცივი სუსხი მოგვეპარა უცბად,
არ ჩაუცვამთ ყოჩივარდებს თორი,
ფანტელები მოდიოდნენ გუნდად
და ბილიკებს მივყვებოდით ორნი...
ზამთრის ქარმა გაათავა ია,
გადათეთრდა ირგვლივ მინდორ-ველი,
და თუ მარტსაც გაზაფხული ჰქვია,
მაშინ დაცდა არ იქნება ძნელი...
აფეთქებულ ნუშის ხეებს ვეძებთ,
ხე კი არა, სულ არა ჩანს მდელო,
დაქანცულნი მივადგებით კედელს
და შევძახებთ: – ჰეი, მასპინძელო!...
ზამთრის ქარმა გაათავა ია,
ჩვენ სიცოცხლეს ქარში მაინც ვთესავთ...
სითბოს თქვენკენ გამოვატანთ ნიავს,
დღეობებზე ამღერებულ ლექსად...
ცივი სუსხი მოგვეპარა უცბად,
არ ჩაუცვამთ ყოჩივარდებს თორი,
ფანტელები მიდიოდნენ გუნდად
და ბილიკებს მივყვებოდით ორნი...
ზამთრის ქარმა გაათავა ია,

* * *

თუ არ გაეხდი სამიზნე, დავნებდები ღამის გზებს,
შენს სიყვარულს მავიწყებს წყენა, როგორც ავი ზნე...
შემოკრთება ცისკარი, ხვალე გზა გაქვს წვიმაში,
მთა გინდა და გორაკი, ქალაქია – გალია,
ბედმა ვით სადლეგრძელო, ჩვენი ყოფნის ამბავი
ფეხზე დგომით დალია...
დაიკარგა ზღაპარიც, უსასრულო იმედი...
დაუნდობლად ლამაზი როგორც დედისიმედი...
ვითომ წერა დავიწყე, ვითომ ლექსიც ავკინძე,
მაცინებ და მატირებ, შენ ზღვა ხარ, მე თოლია...
ამ ცერცეტა გაზაფხულს
ჩვენი ყოფნა-ამბავი სიყვარული ჰგონია...



* * *

სიცარიელე დგება ოთახში,
დაიკრეფს გულხელს...
ჰო, რა წყურვილი გამოსჭვივის
დღეს მის თვალთაგან...
ისედაც უძლებს ნაწილ-ნაწილ
მიჰქონდა ადრე დაფლეთილი და
განძარცვული სული სათნოებისა,
რომელიც არც ვიცი, მე მეკუთვნოდა თუ არა
და დღეს კი მართმევს ამაზე ფიქრსაც...
სიცარიელე ავსებს ჯერ სხეულს,
შემდეგ კი ოთახს,
ოლონდ ხვალზევით შუა ოთახში
დადგება სულ სხვა, უფრო ცივი სიცარიელე
და მარტოობას აჩუქებს კოცნას...

იჩქერიის უკანასკნელი პრეზიდენტის უკანასკნელი მონოლოგი

მე სისხლმჩქეფარე ჭრილობების ტკივილად ვიქეც,
კიდევ ერთ ლანდად შევერიე მამათ საძვალეს,
ობოლთ ტირილად, დედის დარდად, ძახილად მიცნეთ,
სიზმრებში მნახეთ, უქარქაშო ხმლებად მახარეთ!
თუ მაპატიებთ დაცემულთა, ჩამქრალთა თვალებს,
დედებო, თქვენი ღირსეული შვილნი გავწირე,
კი არ დავტოვე, შევუერთდი მათ წილხვედრ ღამეს
და ბოლო მზერა შევაგებე ცაში არნივებს...
განა დავმთავრდი, თუ დავეცი, გულს ახლაც მიჭრის
კავკასიონის მოდარაჯე ვაჟუაცთა ბოლმა
და დაეწევა ჩემს ტანჯულ სულს ყვირილი ბიჭის,
ვისაც ბავშვობა იჩქერიის მთებიდან მოჰყვა...
არ შემიცოდოთ, არ მიტიროთ, არ დამივიწყოთ,
მარხვის თვის ლოცვას ვინატრებდი მკვდარი ღილილო!...



ეს ლექსი ცრემლით დაიწერა...

მერიდებოდა ამ მძიმე დღეებში გამოქვეყნება, მაგრამ თემირ-ლან მაჩალიკაშვილის ტრაგიული ბედი, მისი მშობლების, ოჯახის გაუგონარი, სამყაროში დაუტეველი ტკივილი ჩვენც უნდა გვტკო-ოდეს და გვახსოვდეს...

დიდი მოქრძალება, პატივისცემა, თანაგრძნობა და მხ-არდაჭერა სიმართლისათვის მებრძოლ მამას, ღირსეულ ადამიანს, ჯეშმარიტ ვაინას მალხაზ მაჩალიკაშვილს...

ქედს ვიხრი თქვენ წინაშე...

თემირლანს!

ალაზნის პირას აფრენილო არწივის მართვევ,
ზეცამ და მინამ გიშვილეს და გაგითავისეს...
დაუნანებლად შენირული ტყვიისფერ ღამეს
სატევრიან სულს მოინაკლისებ.
მარადისობის გარიურაჟი ახლა შენია,
დაუკვნესავი, ახოვანი, წელგამართული,
სიჭაბუკე და სისპეტაკეც შენი ფერია,
შენი სუნთქვაა ქისტურ-ქართული...
დარდად და ცრემლად გაბნეული სიმართლის ოდა
დღეს დაიღამებს მამის გულში, დედის თვალებში...
ამ მეცხრამეტე გაზაფხულის ჯინაზე მოხდა
ბოროტების და ტყვიის თარეში...
ალაზნის პირას აფრენილო არწივის მართვევ –
ჩვენო თემირლან!

22.02.18

ერთის გაფიქრებით 1996-2003 წე

ნაცრისფერი ქალაქის მკვიდრი ვარ. განგებამ ინება თოვლიანი სტეპები მეცნო და ქართული იების სურნელი მეძებნა ყველგან. რამდენ შემოღამებას აუნთია სევდის ლამპარი ჩემში და მხოლოდ საქართველოს ვარსკლავიანი ზეცის მადლი მომწევია თეთრ ღა-მებში».

შენი მერამდენე შვილი ვარ საქართველოვ?!

ფერთა პალიტრა ვერ დაიტევს ამდენ ფერს, მაგრამ იტევ... უძლებ და უცინი დრო-უამს, საწუთოს უძღვებს.

შენს გაზაფხულებს ვერ შეედრება ედემის ბალი...

შენ ყველა იცნე, ყველა იგრძნე, ყველა იწამე...

შენში შეერთდა ყველას გზა და ყველას სიმართლე...

ქართული ენის გენიას შევვედრი – სიტყვა და აზრი არ მომაკ-ლოს, ენა არ გამიღარიბოს...

ჩემო ლექსები! – საქართველოს სიყვარულში კი იშვით, მაინც ვერ ვუგალობე საკადრისად ქართულ ცას და მინას; თუმცა, ამ მიწისა და ცის მადლი მომყვება დაბადებიდან და ყოველი თვალის გახელისას გილანდებ პირველს...

შენი ვალი მაქს საქართველოვ...

შენი დარდი მაქს...

შენი კვნესამე!

პეტერბურგი
2003 წლის იანვარი



ქისტებზე თქმული

დარო, ავდარო, ჩემი მთის და ჩემი ბარისა!
გეფიქრებოდეს ერთი მუჭა ხალხის იღბალი,
იცან ტკივილი რუსეთს წასულ ქისტის ქალისა,
გულვავრიანი ალაზნისა იხმე რჩევანი...
მიწაში ჩარჩათ მომავალი, როგორც წარსული,
მიწა აპურებთ, მიწა იღებთ, მიწა აწვალებთ...
ეჭვების ნისლი გაუფანტე ფიქრში წასულებთ,
დრო და ბალახი არ შეახმო მამათ საძვალეს.
დარო, ავდარო, ჩემი მთის და ჩემი ბარისა,
გეტირებოდეს ერთი მუჭა ხალხის იღბალი!..

ჩემს პანკისს

ყოველ სტრიქონში მიმღერებია
არდავიწყების შენი სამი მზე,
და ვით ზღაპარში კეთილ ფერიას
ზღვა სიყვარული მრჩება სამიზნედ.
ქისტეთის ცა და ქისტეთის მიწა...
მთვარე მიუძღვის მხედარს ნაბდიანს...
ვაგლახ, რომ შენი დიდება გაპქრა,
სტუმარ-მასპინძლის სახელს გაცლიან.
ამაყად იდექ გოროზი დევი,
წუთისოფელი დარდით სავსეა,
ეს ქვიშიანი მდინარის ხევიც
ბევრის მომსწრე და ბევრის მაცნეა...
მხედართ ყიუინი, ცხენით ჯირითი,
ქალთა როკვა და მოხუცთ ტრაბახი,
ალაზნის სუნთქვა, მთებში ბილიკი,
ცას ატყორცნილი თეთრი ფაფახი...
რა დაგვავიწყებს წასულ ვაჟკაცებს,
მამულის ერთგულ მამათ საფლავებს,
ცას მიეჭრება სულის ძახილი
და მეც ტირილში სტრიქონს ავაგებ.
«თერგდალეულებს», გადაკარგულებს
უცხო მხარეში რა არ გვაკლია,
ჩვენ ფესვები ვართ, შენში გადგმული,
შენ ჩვენი გზა ხარ, ჩვენ ნათლია.
და მომავალნიც შენს სახელს მკიან,
რამეთუ ყველა გზას და საფიცარს,
დედა-პანკისი სახელად ჰქვია!



ჩემს საქართველოს

თეთრ დამეებში დამეკარგა მთვარის ნათელი,
ნისლია ყველგან, იდუმალი, თეთრი ნალველი,
მღვრიე გრძნობებად მოქსოვილი სული იკივლებს,
უცხო მიწაზე ჩამიქრება შენი სანთელი...
ამ ღმერთგამწყრალი განთიადის ამარა დავრჩი,
შენს ხატოვნებას გამახსენებს სიზმარში არჩვი,
როდის ამენთე, ალარ ვიცი... ო, არ გამიწყრე,
შენ დაგიტოვე ჩემი ხმა და ტანი სამიწე.
როდის გამათბე, დაგივიწყე, ახლა მანძილებს ვებრძვი და,
ვფარავ გზებს დამტვერილს, ფიქრებს ვაწყვილებ,
ეს ერთი გზაა მარადი და ისიც შენამდის,
შენი გულისთვის მიტირია გათენებამდის!
სხვა ვერ ვიწამე, გულში ჩუმად ბევრჯერ გინატრე,
შენ, ჩემო ფეთქვავ, ჩემო ენავ, ჩემო სინათლევ!

იმ ხალხს, ვინც ლამაზი ბავშვობა მაჩუქა
ახმეტა, ბასილაანთ უბანი

აქ გამთენის რეკავდნენ ზარებს
და ზანზალაკებს აღლუმი ჰქონდათ,
ნაწვიმი მიწა ხატავდა ვარდებს –
პაპა კი ჩემთვის ჯადოსნურ ქოლგას.
აქ სიყვარულზე მღეროდნენ ადრე,
მე კი ჩრდილებთან თამაში მღლიდა,
და მიდიოდა ოცნების ღამე,
ავარდისფრებულ დღეების ხიდად...
შიში არ ვიცოდით პატარებმა,
ზღაპრებში ძლიერი – კეთილია,
მახსოვს საქათმეში ქანდარებმა
როგორ გამომტაცეს «ემილია».
მე ბიჭი ვიყავი პაპაილა,
და გოგო ბებიის საფიცარი,
მახსოვს ავაგლიჯეთ რანაირად
იატაკს ძველი ცხრა ფიცარი...
ლოცვა მომდიოდა წვიმებისგან,
– ე გოგო რუსსავით ლიკლიკებსო,
აღარ დამიბრუნდით სიზმრებიდან
პაპის მოკირნულულო ბილიკებო.
ახლა ცხოვრების გზა ცისკარია,
მხოლოდ არ დამტოვეს კოცონებმა,
ჩემი ოცნებები იქ არიან,
სადაც დამიმარხავს მოგონება...



აქ გამთენის რეკავდნენ ზარებს,
აქ გაზაფხულზეც ელოდნენ ქარებს,
აღარ დენიან ნიკორა ხარებს,
ზოგნი მელიან, ზოგნი კი – არა,
მე კი ყველასთვის დავანთებ სანთლებს,
რომ ამით მაინც ვკურნო იარა.

ავადმყოფობა

მგონი სინათლეში ვდგავარ,
ხელები ელიან წვიმას,
ყაყაჩო დაეძებს ფოთოლს...
ვიღაც იდუმალი კოცონს.
აპა, მატერიავ, ფრთები,
ოლონდ დამაბრუნე მიწას!
მოდის შემზარავი აზრი,
აღარც გალიმება მიცავს,
არცრა სიხარული მათბობს,
რაღა დაგაბარო ათონს,
როცა სინათლეში მკვდარი
ვუცდი გამთენის ისარს!
აღარც სიყვარული წმინდა,
ერთი გალიმების დარად,
ატმის ყვავილების ფარდა...
მაინც მწუხარება მიხმობს,
რადგან სიკეთემაც იკლო...
აპა, მატერიავ, ფრთები,
ოლონდ დამაბრუნე მიწას!



* * *

რა მაბადია ბედშავ სტუმარს ამ წუთისოფლის,
რა დაგიტოვოთ, რა გაჩუქოთ, რას გამოგაროთმევთ?
მადლობა უფალს, ქვეყნად ყოფნის ყოველი დღისთვის,
თურმე ვყოფილვარ დროისათვის ერთი მოსახლე...
ერთი ლანდი და მოგონილი წუთი ვყოფილვარ,
რატომ მოვედი, რად ვიცხოვრე, რისთვის ვიწვალე?!
წუთუ ყველანი წამოვედით ერთი სოფლიდან
და ყველა მხარეს მთვარე დაგვდევს — ჩვენი მოზარე.
ამ დაღამებას, როგორც დილას, ყველანი ვუცდით,
დაგვცინის ბედი, ნატანჯ სხეულს მაინც მივათრევთ!
როს დასრულდება ნაბიჯები, კენტიც და ლუწიც,
ცაში სიჩუმედ აგიტაცებს თეთრი სინათლე...
მადლობა უფალს, ქვეყნად ყოფნის ყოველი დღისთვის,
ჩვენ რომ გვაცხოვრებს და თვითონვე ჩვენზე მეტს იღვნის,
რომ გვაძინებს და კვლავ გვაღვიძებს რბილ სასთუმალზე,
დასაწყისიდან ამ სიცოცხლის დასასრულამდე!

ჩემს ქისტეთს

თურმე გამოგცდი, თურმე გნახე, თურმე დაგვარგე,
ამ უცნაური წუთისოფლის გზებიც დავთვალე,
სად არ გეძებე, ვის არ ვკითხე, რას არ გადარე,
ხელჩაქნეული, გულდამზრალი ბოლოს დავეცი...
აღარ მელოდი, არ გინდოდი, რას მიშველიდი,
ასე ვფიქრობდი და დაღალულ თვალებს ვხუჭავდი,
შენ არ დამკარგე! მომდევდი და მეფარებოდი...
ახლაც ნათელი დამადგი და წამომაყენე,
იმედის სხივი დამანურე გამშრალ ბაგეზე!
თვითონ კვნესოდი, მოთმინებას კბილით იჭერდი,
თურმე ტკივილებს შენც ებრძოდი, თეთრი ბელადი!
შენც ეცემოდი, მაინც ჭექდი, მაინც ელავდი
და მივხვდი, მწამდი, როგორც ღმერთი,
გასაჭირშიც შენს ერთს გეძახდი!



ზაფხული ქალაქში

გზანი დაფარულან ფერფლით,
მთებიდან მეძახის ვიღაც,
ცისკარი ახალ ჭორს მეტყვის
და მთვარე წაჟყვეპა მიწას.
ახლა მოგონებებს ვმწყემსავ,
კარს მიღებს საღამო წყნარი,
რატომ იგვიანებს ნეტავ,
სად არის სამხრეთის ქარი?!

ამ გაზაფხულზე

ამ გაზაფხულზე მხოლოდ ერთი კოცნა გაჩუქეთ,
მეტი რომ მთხოვოთ, ენყინება ამაყ ალუჩებს,
ამ გაზაფხულზე დავივინებ ყველა სიავე
და დაკარგული დავუბრუნდი ადამიანებს.
ამ გაზაფხულზე მე პირველად შევდექ ბელტებზე
და დავინახე ნავში მჯდარი ძველი მეთევზე...
ამ გაზაფხულზე შემომიჩნდა სიმლეგე მუნჯი,
ჩემი პანკისი ვერ დავხატე მეტყველი ფუნჯით!
ქარს გავატანე დაფერფლილი ჩემი ფიქრები,
ასე მგონია, დღეის შემდეგ სულ სხვა ვიქნები!
ამ გაზაფხულზე მე ვიყიდე იების კონა,
იმდენად ბევრი, რომ გამყიდველს ლოცვა აღმოხდა!
იმდენად ბევრი, რომ მე გავხდი იების მონა
და დაბნეულმა დავამსხვრიე ცისფერი «ტოლჩა».
ამ გაზაფხულზე არ დაგიგდეთ არავის ყური
და ახლა ვწევარ შეცივნული, თან ისე მაგრად,
ბებიაჩემის გამომცხვარი ეგ შოთი პური
მომეჩვენება ჭიით დახრულ უძველეს ტაბლად!
ამ გაზაფხულზე თუ ვიქეცი სინათლის მძივად,
მოდით და, ყველამ შემაფრქვიეთ ღიმილი მწველი,
დამეფინება უამრავი გვირილა ციდან
და გავვარდები ველზე, როგორც დამფრთხალი შველი!



ჩეჩენ ვაჟკაცებს

თქვენ რა მოგლალავთ, უტეს ლომკაცებს,
თვით ისტორიას წერდით ბრძოლაში...
ნისლად დიოდა სულის ამბოხი,
სიკვდილს ხვდებოდით ღმერთის ლოცვაში.
ცამ დაგათოვათ, დარდად და სევდად აგორდა ჭურვი,
მოკლულნი ვაჟნი გიდებდნენ ბილიკს, უხმობდნენ არნივთ...
სიკვდილთ მძებნელნი სიცოცხლეს ჰეთიცავთ,
მამების მიწას არ უთმობთ არვის!
იდექით ასე! ტკივილშიც იცნეთ რიტმი და გული
ცეკვით დაალბეთ,
ო, ეს ველური განთიადები...
ნეტავ მეც თქვენი ლოცვა მფარავდეს.
მუხლდაჩოქილნი ვის მოენატრეთ?
ვინ ვერ გაიგო თქვენი ყმუილი,
თავისუფლება გეცვათ ნაბადად,
სიყვარულს თქვენი სუნი სდიოდა,
ტყვიის წვიმაში «ვაი ნანა» ხმა იცნეთ და, ხმამ თუ გაგახელათ,
კავკასიონიც როგორ გაავდა,
დღემდე გრძელდება თქვენი «მარაბდა»!..
ჰე, ავაზებო, ჯიქნო, ლომებო,
ამდენ ჭრილობებს როგორ იშუშებთ?
სიკვდილ-სიცოცხლე დაამეგობრეთ,
თქვენ რა მოგქანცავთ, მეამბოხენო?!

თვით გამარჯვება, როგორც მეკობრეს, თვალზე გაკვრიათ!..
სულში გინთიათ ყველა პირიმზე,
თქვენი მთისა და მიწის ჭირიმე!

* * *

დამიზამთრდა და ბილიკებს წლები ლოკავს...
მთებო, ახლა ჩემი შველა გვიანია,
არ იზამდა, ამას ქარი არ იზამდა,
ფოთოლცვენა უქაროდაც მინახია.
და თუ მრჩება რამე ქვეყნად
ბედის მიერ დამალული,
სულ ჰატარა სინანული,
მუშტისტოლა სიხარული
სწორედ ქარმა მომიტანოს!
გულო, შენდა გიხარია
ჩვენი მთები ნისლიანი,
სადაც ყველა გალიმება
ზვავია ან ცისკარია...
დამიზამთრდა...
და ბილიკებს წლები ლოკავს,
მთებო, ახლა ჩემი შველა გვიანია,
არ იზამდა, ამას ქარი არ იზამდა,
ფოთოლცვენა უქაროდაც მინახია.



* * *

გაფაშფაშებულ ტანით,
გასიებული ცხვირით,
კლოუნი ვნახე ცირკში –
ჰქონდა თვალები ფართო,
ეხატებოდა შიში,
როგორც საფრთხის წინ მავალს,
როცა არავინ გნატრობს...
ჰქონდა მცინარი პირი,
და გაჩეჩილი თმები,
ვერ იკავებდა ღიმილს
მანდილოსანი გვერდით.
მე შიში მახსოვს მარტო,
რაც მის თვალებში იწვა
და მიდიოდა ტატნობს
განითლებული მიწა.
არენას ეცვა ამოდ,
მე შიში მახსოვს მარტო,
ვჭვრეტდი გოგონას სამოსას,
მერვე რიგში რომ იჯდა,
დაჰფინებოდა ცრემლი...

* * *

ხურდა ფულივით ვაჩხრიალებ ჯიბეში ლექსებს,
ალაზნის ხიდთან შემომხვდება ჩემი მელექსე,
ავკრეფ წინ დაყრილ სველ სტრიქონებს და გავგიუდები
იქვე ამოსულ გვირილაზე, კბილებმეჩერზე.
ჰაუ, მომდევენ ჩემი მთა და ჩემი ველები,
წინ შემხვედრ სტრიქონს ისე უცბად გავალამაზებ,
მე არასოდეს არაფერში განვმეორდები,
მე მხოლოდ ერთხელ ავტირდები, ვიდრე გნახავდე!
ის სურნელით დაბნედილი, დავიუანგები,
მაგრამ შენს სურვილს ჩემს ლექსებში მაინც გავიტან,
ჰოი, მელექსევ, ნულარ მომდევ, წადი, დაბრუნდი,
ხედავ, რითმები მომძახიან ჩემი სახლიდან?!

ხედავ, პწკარები ანთებულან და ფერფლს მატანენ,
ჰოდა, მივდივარ, ვაჩხრიალებ სულ ახალ ლექსებს,
მეგზურად ჩემი მეგობარი ღამე მომყვება,
ამოუყრიათ ძლივს ფოთლები პანია ლექსებს!
ჰოი, მელექსევ, გეუბნები – წადი, დაბრუნდი...
წადი, დაბრუნდი, სანამ რამე მომაგონდება...

ბერების დრო

ბერების დრო

გურამ მარგოშვილს

გაზაფხულზე მენატრები ხშირად
ლურჯთვალებას ლურჯი გზაი გიხმობს,
გუშინ შენი გაღიმება წვიმდა,
მთელი ღამე ასველებდა მინდორს.
გაზაფხულზე მენატრები ხშირად
და არ მყოფნის ზეცის ლურჯი სივრცე...

* * *

მოკლულ გულს თუ ეშველება რამე,
ალაზანში ჩაცივდება მთვარე,
სუფრას გაშლის ფრინველების გუნდი,
გასწორდება გზა ბნელი და მრუდი.
ნუში თვითონ გამოგინვდის რტოებს,
ამღერდება ყველა, ვინც კი გოდებს,
აცეკვდება ბალახი და მთაი,
სამხრეთიდან წამოსული ქარი.
მოკლულ გულს თუ ეშველება რამე,
ალაზანში ჩაცივდება ღამე...



* * *

სანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი
ძველი გალური ანდაზა

ვერცხლისფერ ძაფებად ცა ჩამოიძენდა,
მიწა ლურჯ აპრილებს მთხოვს,
სევდას დავინყება სჭირდება,
სევდის ნამქერები თოვლს.
ახლა მოგონებად მტკიცა
თეთრი ღამეების დრო...

* * *

ვიდექ უცხო კართან,
ქარი დღეებს რთავდა
სამოსელით ჭრელით,
და ნისლების ფარდა
მოდიოდა მთებში...
ვიდექ უცხო კართან
და სიმაღლე მეცვა,
თითისტოლა ბიჭი
მიხატავდა მერცხალს,
მიხატავდა მერცხალს –
მონატრებას თავისს,
გაღიმება ჰგავდა
შელერებულ ყვავილს
და წყეული დარდიც
მიდიოდა სადლაც,
მიდიოდა სადლაც...
ო, არ ვიცი, სადა,
ღმერთო, ეს სიზმარიც
ამიხდინე კარგად!



* * *

რა მიხაროდა, თუ არ მინდოდა
გარდაცვლილყო მწვანე მინდორი,
ახლა ნოემბრის ჩრდილები მახლავს
და ყოველ დილით, ვით «ლა-მინორი»,
თვალებს მიკოცნის უამინდობა...

მექა (მაქა) ხანგოშვილს

ქარაფებს მიეტრფი, მაქა,
მზე არ იკმარე და დარი,
ზვავთა ნაცრისფერი ფარდა,
კლდეები დარაჯად მდგარი.
შენი თოვლიანი მთები
ვინ იცის, ტკივილებს სცრიდნენ,
ნაპრალში ტიროდა ქარი,
ქარში კი თორლვაის ციხე.
ზეცის სილურჯე თუ გათბობს,
ნისლების ნათქვამი ძმობა,
«ქისტების მზისფერა ასულს»,
ქისტეთის დღეებზე მლოცავს.
მეგზურად წინაპრის ხმაა,
ბოლმით გაუღენთილი ოდით,
საფიცრად ქისტეთის მიწა,
ალაზნის ბებერი ლოდი.
ქარაფებს მიეტრფი, მაქა,
მზე არ იკმარე და დარი,
ზვავთა ნაცრისფერი ფარდა,
კლდეების დარაჯად მდგარი.

ქარაფებს მზისფერი ეცვათ...



* * *

მოლოდინი, იმედი და ლოცვა
მიტოვებენ ტკივილიან წამებს,
რა იქნება იმ ფერადი სიზმრებიდან
ერთი ახდეს!
დრო მოიმწყვდევს ჭინკა ფიქრებს,
გულსაც სევდა აწევს,
მეპარება ისევ თეთრად,
ჩემი თალხი ლამე...
შენ ვერ ნახავ მტირალ ფოთოლს,
ნახავ ბრმა ხეს,
მოინატრი თვალფოთოლა გაზაფხულებს...
რა მანამებს?
სადღაც, მთაში უმღერებენ
ახალ მთვარეს...
შენ კი რა ჰქენ,
სიხარული დამიკარგე,
რაღას ველი?
იმ ფერადი სიზმრებიდან ერთი ახდეს,
ერთი მაინც ახდეს.

* * *

კართან მდარაჯობდა ხახადაფჩენილი.
თვალებსისხლიანი სიბნელე...
პეპლები აგებდნენ ნატვრის სასახლეებს
და ვნების ნარჩენებს მიშენდნენ,
მე კი დამახრჩობდა
მხოლოდ ყაყაჩოთა,
ფრიად შენმიიერი სიშლეგე.

ბარებულება

ბარებულება

დათოს

ჩემი ბედი, ჩემი თეთრი გედი
გზა ყოფილა,
გზა ცდისა და თმენის.
მთა მეგონა გახვეული ნისლში,
მატყლის ერთი ფთილა...
სად წასულან ოცნებები ჩემი,
ოცნებები ახლაც ჩემი კბილა?..
ჩემი სიყრმე,
ფიქრიანი სიყრმე ყვავილებში მიწვა,
ბედის უცნობ ყვავილებში
ჩაბნეული მიწა ჰგავს შენს თვალებს,
მოკიაფეთ მწვანედ,
ცა მაჩუქრ მინდა...
შენში დარჩა ოცნებები ჩემი.

ჩემს გოგონას, მირანდას

სიზმრიდან მოხვედ თუ ზღაპრიდან, ვიცოდე ნეტავ,
სულ სხვა სურნელი მოიტანე ვარდისფერ დღეთა...
მთები შორს იყვნენ, დუმდა თოფიც,
მომესმა მღერა...
მტრედთა ღულუნი გადაფარა შენმა ტირილმა,
დედიკოს გოგოვ, სიხარულო და ჩემო ლხენავ,
უხვი გქონდეს ღიმილები, ძილში რომ ფერავ,
დამასაჩუქრე შუქიანი თვალების მზერით,
უცხო ფერებით აანთე ზეცა...



* * *

ტკივილო სულის, ხორცის ჩემის
დაღვრილო ცრემლად...
არ მომიტანო მომავალი დღეების სევდა,
არ ჩამიფრთლო ის სიცოცხლე,
გულთან რომ ფეთქავს.
მაცილე ელდა,
გაბზარული თვალების ბინდი...
იმედი დიდი ამიყვავე ლამაზ წუთებად.
ერთი ტირილიც გამაგონე
ყურთან რომ რეკავს...
ჩემი სიმღერა დამანახვე ხოდაბუნებთან.
ავმაღლდებოდი ალპათ, ცამდე
აფეთქებული,
შეირყეოდნენ ჩემი მთები
თოფის სროლისგან
და მწარე ფიქრიც მიმატოვებდა.

დათოს

ერთხელ ჩემთვისაც დაიღალე,
ფიქრები ტკივილად დაანთხიე,
თორემ ღმერთადა ხარ ნაკურთხი
და მრევლი ღალატს როგორ გაპატიებს.
ერთხელ ჩემს გულშიც ჩაიხედე,
მარტო სიხარული ნუ გიზიდავს,
რამდენი უფსკრული გავიარეთ,
რამდენჯერ დავიღვარეთ ცრუ ღიმილად...
ჩემს გზებზეც იარე – დაღმართებს ნუ ეტრფი,
თორემ სიმარტოვის ქარიშხალს შეხვდები,
მე შენთვის მინდოდა დიდგულა პირიმზე,
შენ გამო გამიდგნენ ზვიადი ღმერთები!
გელი და, სარკმელთან კვლავ წვიმა
ქვითინებს,
მცივა და მაღირსებ თუ კიდევ თბილ
ხელებს?
მოდი და მიშველე, მოდი და მიხილე,
თორემ უშენობა სულს ჩამომიბნელებს.



ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე

არა ტკივილებით,
კვნესით ან გოდებით,
და არც გვირილებით,
ცრემლიან ფოთლებით,
ზეცას მიდიოდა ფერების ლაშქარი
და მთვრალი ღცნებით,
დიოდნენ დარბაზში
მოკვდავთა ლოცვები...

* * *

ადამს და ევას მოვკითხავთ ცოდვებს
და უხსენებლის შხამივით მწარე
ენა გადახნავს ჭალარა ბორცვებს...
ამაოება მოგვიყრის ფარ-ხმალს,
დასწყევლის დროს და დასწყევლის სივრცეს,
ადამს და ევას მოვკითხავთ ცოდვებს,
ჩვენი ბავშვობის ფილმიც დამთავრდა.
სიჩუმე გდია შიგნით და გარეთ,
დილით მოდგება გზის გასაყართან
დამენათევი, უძილო მთვარე.

* * *

იქნებ სიხარულის ლოდინი აუგია,
მე სასწაულების მწამს,
იქნებ ოცნებაში კოშკიც აუგია,
დედოფლად დაუსვამს... ხმა.
სითეთრემ მაკოცა თვალებში პირველად,
სინათლეს ფიფქები მკიან,
დამყვება თოვლიან თბილისში იმედად
ლურჯთვალა, ლურჯთვალა ია.
არა, სიხარულის ლოდინი აუგია,
მე სასწაულების მწამს,
იქნებ ოცნებაში კოშკიც აუგია,
დედოფლად დაუსვამს... ხმა.

* * *

გაზაფხულივით მღეროდა მარტი,
მზეს შეჰპარვოდა უცნობი ეში,
უმანკოებით აღსავსე ცაში,
კაცზე ფიქრობდა მაღალი ღმერთი.
შენ მოდიოდი კვლავ მღვრიე ქარში,
კვლავ ბინდისფერი თვალების ტევრით
და გაღიმება მოგქონდა ჩემთვის.



* * *

თენდება სადღაც,
ლამდება სადღაც,
მახსენებს ვიღაც,
ვიხსენებ რაღაცას,
ფიქრებში ახლაც,
ფერებით ახლაც
ყოველ სტრიქონში
ჩემს ტკივილს ვხატავ.
მიტიროს წვიმამ,
შემინდოს ქარმა –
თუ წუთისოფელს
ვაჩუქე გამა,
თქვენც მაპატიეთ,
გამიგებთ ალბათ,
თუ ყველა ლექსში
ტკივილებს ნახავთ.
დავდივარ ნისლად,
დავდივარ დარდად
და მარტოობის უფლება დამაქვს.

მანანას

შენ ისევ დარჩი მარტოდ,
ზღვა ფიქრებთან და ნისლთან,
შემოლამებას ნატრობ
და შენი სოფლის მიწას.
სადღაც იმედი სახლობს,
წერო მომიტანს ისარს –
და ნაჭრილობევ მნათობს
მოგონებები მიჰყავს.
შენ ისევ დარჩი მარტოდ,
შენ მარტოობა გათბობს...

* * *

წუხელ სიზმარში ვეძებდი სიზმარს,
ფერადს კი არა, შავ-თეთრს კი არა,
ნუ მეკითხებით, დღეს ვერ აგიხსნით,
ბევრი მაქვს, ბევრი კიდევ სათქმელი...
ჩემი ბავშვობა მთის ძირას დარჩა
და თოვლიანი სერების გარდა
გამახსენდება მე არაფერი...



ხათუნას

თუ არ დამღალა მარტოობამ სულის
და ეჭვმაც ვერ მიქცია ფიქრი ავარად,?
ალბათ, მუდამ რომ მედექი გვერდში,
დაგრჩით და შეგრჩით, როგორც ჭალარა.
სიმშვიდის ელჩი შენ იყავი, გიმადლი სითბოს,
კვლავ ბედნიერ თვალთა სინათლეს,
მწყურხარ და გნატრობ, გიმზერ და ვხარობ –
უნდა მეტირა, ამამღერე ვარდობის თვეში,
ანგელოზივით მოვლენილო ცისკართა ქალო.
ესპანელ ქალთა ეშხი დაგაქვს ამაყ სხეულით,
ტირიფის სევდას შემოურტყამს წელი რხეული,
კაბის შლეიფებს შერევიან ტანი გრაცია
და ათწლეული, ასწლეული, ათასწლეული
ვაზი ლერნამი ამღერდება შენს კვალობაზე,
ამ დაუტეველ სიკეთის კალთას,
თან ლირსეული ცოლობაც ახლავს...

რა შემოგბედო ოთხი შვილის საფიცარ დედას,
ავი ზამთარი გაზაფხულის ელვად აქციე,
შენი ძალა და სიყვარული სულ გვერდით გედგას,
შენს ლამაზ ოჯახს – მრავალუამიერ!

ბებიას

ისევ უსახლეკარო, ისევ დამშეული
და ჩამოძენძილი ქარი ქრის ორპირად,
მომწყინდა სიბნელე და ნისლის ქალაქში
შენი თბილი ხელები მომინდა.
ზამთარში, ბუხართან, სიზმრებთან თამაშში
მიწერდი ბავშვობას, სევდიან კორიდას,
შენ იყავ ღიმილით რომ მეგებებოდი
და მე ეს ღიმილი მთელი დღე მყოფნიდა.
ახლა შენც წახვედი, მე კი გავიზარდე,
გარეთ ძველებურად ქარი ქრის, ორპირად,
და მეც ნუ დამძრახავთ, ვით ქარის მიმდევარს,
თუ ისევ ბავშვობა, ალერსი მომინდა.



ბავშვობის გახსენება

როცა ვიხსენებთ ჩვენს უკვდავ ზღაპრებს,
როცა ვიხსენებთ, მერე ვდუმდებით,
რატომ არ გაშლის ქარი ზღვის აფრებს,
რატომ ვართ ასე, სულ, გამუდმებით?
რატომ არავინ დაგვხედავს კიდევ,
გადახდილ საბანს რად არ გვაფარებს,
რატომ არ ხვნეშის ბუხარი მძიმედ,
ვიღაც პირველ თოვლს რად არ გვახარებს?
ვიღაც ვუცდით და გვინდა წვიმდეს,
ნაპერნელით თამაშს აღარ ვუნდებით,
ჩვენ გავიხსენებთ ბავშვობას კიდევ
და ბავშვობას ვერ დაფუძნდებით.

ხეებიც ვიღაცას ელიან

მოდიხარ, ნაკვალევს ემჩნევა
შენი პანანინა ტერფები,
გარეთ ცა რძესავით თეთრია,
ხეებიც ვიღაცას ელიან.
მე ვთბები!
თოვლში ფეხშიშველას რა გინდა,
ასე უფრო სწრაფად მოდიხარ?
ოთახში კვირტები მღერიან,
ისინიც ვიღაცას ელიან,
ორნი ვართ!
სითბოს მთელი წელი ველოდი,
ახლა ყველაფერი ცივია,
ფიფქებიც კი მზისკენ მიჰქრიან,
თუმცა კარადაში ხილია,
შემოდი!
დღე ისევ თეთრია და ჩუმია,
მხოლოდ ყვავი მაყრის ქოქოლას,
ხეებიც ვიღაცას ელიან,
ვიღაც თხრობას იწყებს ბოლოდან...
მე ვდგები, მივდივარ, კარს ვაღებ
და ვიღებ სასურველ მოლოცვას.



* * *

ღიმილი დაიწყეტს სევდის ანგელოზებს
და ქარი სიგიუს მშვილდს ისევ მოზიდავს,
გვირილებს რა უნდა თვალების მინდორზე,
როცა მელოდება ნამდვილი კორიდა?!

ოდესლაც თქმული – მომავალ მეულლებე

არსებობ – ვიცი, მიპოვო – იქნებ,
ახლა კი ლამეს ვესაუბრები...
ვაითუ, მისმენთ და ვეღარ იგნებთ
გზას ჩემკენ შენ და ზღვა ალუბლები.
მეძებე მაინც, მიპოვო მინდა,
არადა, ღიმილს სევდა მავიწყებს
და სიმარტოვე შერჩება ღილად
მომავალს, შმაგი სულის სამიზნეს.
და თუ ვერ შემხვდი, დავრჩები კენტად,
ეს არც ახალი განაცხადია,
ლექსებს ვიწამებ ცხოვრების კერპად,
გზას დავულოცავ ყველა განთიადს...
სადა სარ, ნეტავ?

მედეა ჯიჯავაძეს ბათუმი

შენთან ვარდები ვარდობს,
ჩემთან სანთლები იწვის,
მე ახლა მხოლოდ ხმა ვარ,
ამღერებული მიწის.
მე სანთლის შუქიც მათბობს,
შენ კი ბუხარი გლოცავს,
ჩემთან მთებია ახლოს,
შენ მანდ ზღვას ხედავ როცა.
ჩემთან ქარები ქრიან,
ხეებს ფოთლები სცვივათ,
შენთან კი ასე მახსოვს,
წვიმა ეშვება ციდან.
შენთან ვარდები ვარდობს,
ჩემთან სანთლები იწვის,
მე ახლა მხოლოდ ხმა ვარ
ამღერებული მიწის.



დაბადების დღეზე თქმული

1 თებერვალი

ჩვეულებრივი სახელი გქვია,
დედამიწაზე ცხოვრობ ჩვენსავით,
დღეს რაღაც თბილი ქარები ქრისტი
და ვიცი, ფიქრობ ახლა იმ ლექსზე,
რომელიც ჯერ არ დაგიწერია,

შენს სათქმელს ეძებ.
რატომდაც ყველგან ერთი ფერია,
შენც ერთი ფერი გიუურად გიყვარს,
რატომ გგონია და თავს ადარებ
ჭკუამოკლე მისანს?
შენი თვალები სამყაროს ჭვრეტენ
და თუ ჭრილობას სადმე იხილავ,
თან აღარც მზეა,
შენ ჯერ მრისხანებ, მერე კივიხარ,
მერე... ტირიხარ, როგორც მედეა!
შენს სულში მუდამ ქარიშხალია,
იქნებ სატანას ფრთების გაშლა
ბევრჯერ უცდია,
ციფრულ პეიზაჟს თავს რა დააღწევს,
მით უმეტეს თუ ციფრი ლუწია!
ჩვეულებრივი სახელი გქვია,
დედამიწაზე ცალ ფეხზე დგახარ,
ტკივილიანი ლიმილი გიყვარს
და სიზმრისეულ ჩვენებებს ხატავ.

ექიმ ნინო მეგრელიშვილს

მხრებს უტვირთიათ სიმძიმე დიდი,
ფიქრად დამრჩალა ფიქრი ყოველი,
სულია წმინდა, ქერუბიმის ფრთასავით წმინდა,
პერსონაჟია მხოლოდ თვალები...
უღრუბლო ციდან დაეშვება ფერადი წვიმა,
გზას გაუკვალავს უცნობ სონატებს,
ახდება ნატვრა, მომდინარე ბავშვობის წლიდან
და მე ვიხილავ სხვა ჰიპოკრატეს.
მხრებს უტვირთიათ სიმძიმე დიდი,
სულია წმინდა...

ქორწილის დღეს თქმული

არაფერიც არ მომხდარა, ვგონებ...
ვგრძნობდი, წვიმამ გადაიღო გულში,
შემოდგომის სონატებზე მლოცველს,
ანცი სიო მომეპარა გუშინ
და შეაღო სევდის დიდი კარი,
რასაც დღემდე სიმარტოვე ერქვა,
მეც დავტოვე ფიქრიანი სიყრმე,
ავედევნე ოცნებაში მერცხალს.
არაფერიც არ მომხდარა – ვგონებ,
ვგრძნობდი, წვიმამ გადაიღო გულში,
შემოდგომის სონატებზე მლოცველს,
ანცი სიო მომეპარა გუშინ.



ნონა აფხაზავას

შენგან სამი სიტყვა მახსოვს,
ხეები იცვლიან კაბას,
ქარნი მიდიოდნენ სამგორს,
შენგან გაღიმებაც მახსოვს,
ერთს რომ გამახსენებს ამბავს.
აპრილმა გვაძლია ფრთები,
ტყემლები გვათოვდა თეთრად,
აზრები გახადა ურჩი,
თან შემოგვატოვა სუსხი,
ვით ზამთრისპირული სევდა.
მე კი გაღიმება მახსოვს,
რასაც სიხარული ჰქვია,
ციფრთა ჯადოსნური რაში
თვალებს დამილაგებს წყლიანს,
და როცა ზღაპარი წყდება,
როცა მწუხარება მოვა,
მოდი, მივაკითხავ მნათობს
გზად რომ შემახვედროს, ნონა!

ერთი საუბრის გამო

(მაია მეტონიძე, მაია მარგოშვილი, მანანა კეკენაძე, თსუ, 1986წ)

გვესალმება სამყაროს უდიდესი ანტიკვარი – მზე,
გაშლილ ხელებს გვაჩვენებენ თავხოტორა ბავშვები,
როგორც შარშან და შარშანწინ დავიღლებით მთქნარებით,
«როკოკო» და «ბაროკო» და «სამეფო კობალტი» –
იცინიან ბავშვები.
თუ გადავრჩით, დავადგებით არსად წამსვლელ გზებს!
ხელოვნური ღიმილით, გრიმასებით გვიზიდავთ,
«რენესანსის» ავეჯი ულრენს წმინდა «მადონას»,
ვენეციურ სარკეში, პროფილსა თუ ანფასში
სჭვრეტთ მთვლემარე ცხოვრებას...
თქვენ იყითხეთ, თორემ ჩვენ
გვესალმება სამყაროს უდიდესი ანტიკვარი – მზე...



ქალაქში გამოჩნდა აფიშები,
 მოპრძანდებაო სახელგანთქმული მუსიკოსი...
 იჩქარეთ, იჩქარეთ, ხალხო,
 ვაშა, სიხარულის წუთებს!
 არადა, ასფალტი დნება,
 ჰაერიც დამძიმდა უცებ,
 დავეძებ, დავეძებ ტალახს,
 თან ვითხოვ პარტერში ბილეთს.
 ქუჩაში ეძებენ ყმაწვილს,
 ახლა დაჰკარგვია დედას
 საფირონისთვალება გოგო,
 თქმა არ უნდა, პირველად მხედავს,
 მეკითხება –
 უკაცრავად, ზედმეტი ბილეთი ხომ არ გაქვთ?
 ახლა რომ ჩამოწვეს ნისლი
 და მეც დავემსგავსო ღალდას,
 ჭკვიდან შეიშლება, ვიცი,
 ამიტომ ვიბრალებ მხატვარს,
 მხატვარი იქნება იგი,
 და თითქმის ვუყვირი – არა!
 თვალები ცვივიან ირგვლივ,
 ელვა ცას – არ არის – ანერს,
 მე მაინც ვდგავარ და მიკვირს,
 მთელი საათია თურმე,
 ვიცინი, ვიცინი რაზე?!

დრო რამდენი გასულა,
 ფიქრმა, როგორც ავსულმა
 ეჭვის ქსელში გამაბა...
 ღამე მხურავს ნაბადად.
 გულს რამდენი დარდია,
 გარეთ მხოლოდ მარტია,
 ველი მზეს და ყვავილებს,
 შენი მზერა მაკვირვებს...
 თავს სიშლეგე მეღვრება,
 წარსულს ვუბდვერ შენებრად.
 კითხვებს ვებრძვი უამრავს,
 არ ვუყვარვარ? ვუყვარვარ?
 გარეთ ისევ მარტია,
 რწმენა ჩემი ხატია,
 გელი შენ და ყვავილებს
 და ის გრძნობა მაკვირვებს,
 ჩვენ შორის რომ ანთია.

სამართლებრივი სამსახური

სამართლებრივი სამსახური

ჩემს შვილებს – დევის და მირანდას

წლებს გავაპრუნებ, როგორც მოვალეს,
არ დავუპრუნებ ფერად ღიმილებს,
მე თქვენში ჩემი ბავშვობა ვიცან
და დაბერება გადავიფიქრე.
სადაც დავეცი, იქ წამოვდექი,
ყველა ტკივილის ძაფი გავგლიჯე,
შემოვიტოვე მცველად ზღაპარი
და წლებს არ ვითვლი, როგორც ნაბიჯებს.
თქვენ უკვდავება თითქმის მანახეთ,
ვიყავი, ვარ და თქვენით ვიქნები,
ქისტეთის მიწას, მთებს და ბალახებს
შეეჩევიან ჩემი ფიქრები.
ბალიშთან სიზმრებს დამიწყობს ლამე,
დღენი მაწვდიან ფერად ღიმილებს,
თქვენი ლამაზი სიცოცხლე ვნახე
და თვით სიკვდილი გადავიფიქრე.

დევის, დედ-მამისა და პაპა ბებოს იმედს

მგლის მუხლიც მოიბი ბიჭავ,
სული შფოთიანი კი გაქვს,
თვალები ვარსკვლავებს გიგავს,
ვითომ გაღიმებას ნიშნავს,
გოროზად შეკრული შუბლი...
ქისტური გული ხომ გიდგას,
«ვაჟკაც ვიქნებიო» – გითქვამს...
ერთი ხმაც ისმინე მშობლის –
შენი მამა-პაპის მიწა
თან გდევდეს ფიქრად და ფიცად,
გვარი ასახელე, ბიჭავ!
ცისკარიშვილების ბიჭავ!



ბოლოთქმა

მესტუმრა!

ამივსო ხელები,
სიმწვანე მაჩუქა გუშინ...
საბრალოს ქარებთან რა უნდა
სისველე რად უნდა გულში?
ჯერ ისევ სუსტია, პატარა,
მის ტირილს ქარიც ვერ გაიგებს,
ოცნებამ ჩემამდე ატირა,
ლოცვად გაუგზავნა ტაიგებს.
როცა ჩამოიქცა გოდოლი...
პატარა, ნამდვილი პატარა.

* * *

მზეგადასულ გორაკების ფერი,
დალალული თვალები და ბინდი,
დღეს თუ მამის კარგადყოფნას ვმღერი,
გუშინ დედის საფლავზე მეც ვწვიმდი...

მაშ ასე, მაია მარგოშვილის ლექსები – ახალი წიგნი, ახალი ავტორი და მარადიული კითხვა: – ვინ მოვიდა?!

დღეს, როცა ასე გაადვილდა წიგნის გამოცემა და ახალ-ახალი პოეტური თუ პროზაული კრებულები ლამის ყოველდღიურად ჩნდება წიგნის მაღაზიათა თაროებზე, ლიტერატურულ კრიტიკას აშკარად უჭირს ამ მარადიულ კითხვაზე პასუხის გაცემა – ვინ მოვიდა?! რა თავისებურებები მოიტანა?! რით არის იგი საინტერესო?!

არადა, ლიტერატურული პერიოდიკის უმთავრესი დანიშნულება სწორედ ეს არის და ახალბედა ავტორისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია, მოისმინოს კომპეტენტური აზრი თავის შემოქმედების შესახებ, რაც მას პროფესიონალ მწერლად ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

ნათევამი მეტ-ნაკლებად მაია მარგოშვილსაც ეხება და, ვფიქრობ, მისი შემოქმედებით აუცილებლად დაინტერესდებიან კრიტიკოსები.

ამ მცირე ბოლოთქმაში კი მხოლოდ ის გვინდა, მკითხველს ჩვენი პირველი შთაბეჭდილება გავუზიაროთ. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, თუ რით არის საინტერესო ამ ავტორის წიგნი, რა არის მთავარი ნერვი მისი პოეზიისა და აქ გამოჩენილი რა ყლორტები იძლევიან სამომავლო იმედს.

უმთავრესი ალბათ ის არის, რომ მია მარგოშვილი ქართულ პოეზიაში თავისი სათემელით არის მოსული, არ მიმართავს ლიტერატურულ კლიმებს და მის ნაწერებში არ ისმის «სხვათა ხმა»; ამავე დროს, საოცრად გვხიბლავს მისი ლექსების გულწრფელობა და სიხალასე.

მაიას პოეზიაში ტკივილი და სევდა ძალავს ყველა სხვა გრძნობას. ავტორი საქართველოში, პანკისში აღზრდილი ქისტია და ლექსებშიც თანამედროვე ქისტურ-ჩეჩინური ჭრილობები შიშვლდება, იბერიელ კავკასიელთა საერთო კვნესა ისმის:



* * *

«ცას მიეჭრა სულის ტკივილი
და მე ტირილში სტრიქონს ავაგებ».

* * *

«გარდაცვლილიყო მწვანე მინდორი».

* * *

«ქარს გავატანე დაფერფლილი ჩემი ფიქრები,
ასე, მგონია დღეის შემდეგ სულ სხვა ვიქნები».

* * *

«ერთხელ ჩემთვისაც დაიღალე,
ფიქრები ტკივილად დაანთხი».

* * *

«პეპლები აგებდნენ ნატვრის სასახლეებს
და ვნებების ნარჩენებს მიშენებდნენ».

როგორც იტყვიან, ასეთი სტრიქონები ციდან არ ცვივა და, ისინი
მაია მარგოშვილის ნიჭიერებაზე და გულწრფელობაზე მეტყველებენ.

* * *

დაბოლოს, ავტორის ბიოგრაფია ჩემთვის უცნობია. მხოლოდ ის
ვიცი, რაც მისივე ლექსებიდან ჩანს: – მაია მარგოშვილს ქალ-ვაჟი
ჰყავს; გოგონას მირანდა ჰქვია, ვაჟს – დევი. გვარად ცისკარიშ-
ვილები არიან. მოდით, ეს მცირე ბოლოთქმაც ლოცვით დაგასრუ-
ლოთ: – ღმერთმა დიდი დღე მისცეს ქალბატონ მაიას ოჯახსა და მის
ლექსებს.

მამუკა წიკლაური

ჰერცილენი



შეიარაღდის ასული მარგოშვილი დაიბადა 1966 წლის 1 ოქტომბერის ახმეტის რაიონის სოფელ დუის-ში. 1983 წელს დაამთავრა დუისის საშუალო სკოლა.

1984 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე. რომელიც წარჩინებით დაამთავრა ფიზიკური ქიმიის სპეციალობით 1989 წელს. ამავე წელს მის ერთგროულად სწავლობდა მეორად ფაკულტეტზე კინომცოდნების განხრით.

1992-1996 წლებში მოსკოვში კვოლოგია-პოლიტოლოგის დამოუკიდებელ საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე სწავლისას ეუფლება სარეკლამო მარკეტინგის სპეციალობას.

1997 წელს გადადის საცხოვრებლად სანკტ-პეტერბურგში, სადაც 2005 წელს იწყებს ტელევიზიაში მუშაობას. 2006 წლიდან მუშაობს „Триакс Медиа“ („ტრიაქს მედია“) კერძო პროდიუსერულ კინოკომპანიაში, რომელიც რეჟისორის ერთ-ერთ უმსხვილეს კინოკომპანიად ითვლება.

შეიარაღდის ასულ-ვაჟის დედაა.

ISBN 978-9941-25-243-3



9 789941 252433